ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 225 (12 600) 25 სექტემბერი ხუთშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი



# 37:0 რუსეთი დავამიწეთ

რაგბი. U 19 »»» 11

## ლევან მქედლიძის დებიუტი ნეაპოლში

### ...და იაშვილის სათასო გოლი




ლეგიონი »»» 2





## არაბიძე და პაიკიძე ევრომწვერვალზე

გუშინ საღამოს ჩერნოგორიიდან შესანიშნავი ცნობა მივიღეთ: ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატში თოთხმეტ და თექვსმეტწლამდე ასაკის გოგონათა შორის პირველები **მერი არაბიძე** და **ნაზი პაიკიძე** გახდნენ! ქართველ მოჭადრაკეთა წარმატებები არავის უკვირს, მაგრამ ყოველ ჯერზე ალალად ვხარობთ, მით უფრო დღევანდელ ყოფაში, როცა ასე ძლიერ გვჭირდება გამარჯვებები...

მერიც და ნაზიც აქამდე არაერთხელ ყოფილან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები თანატოლთა შორის და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათი სახით ქართულ ჭადრაკს დიდებული ცვლა ეზრდება. რამდენიმე წელიწადში ეს გოგონები უფროსებსაც შეუტევენ და გვჯერა, ძველი დიდების დაბრუნებაში უდიდეს წვლილს დაიდებენ... მივულოცოთ ტრიუმფატორებს და ევროპული მწვერვალიდან მსოფლიოს ყველაზე დიდ სიმაღლეებზეც დაედგათ ფეხი!

**ზვიად შათირიშვილი**

## ვინ გახდება ახალგაზრდულის თავი?













## ვარიაციები სამწვრთნელო თემაზე

»»» 3

ქართული ფეხბურთი

U 17. ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# მშვიდობით ელიტრაუნდი?



შეყილაძემ ჩეხებთანაც გაიტანა, მაგრამ...

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები, რომელსაც **გელა შეყილაძე** წვრთნის ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ მატჩში 2:3 დამარცხდა ჩეხ თანატოლებთან და ელიტრაუნდში გასვლის შანსები ერთობ შეიმცირა. ეს მატჩი უნგრეთის ქალაქ ბუკში გაიმართა. არადა, მატჩის განმავლობაში საქართველო ორჯერ იგებდა: ჩვენებმა მე-7 წუთზე გახსნეს ანგარიში, ჩეხებმა მეორე ტაიმის პირველ წუთზე გაგვითანაბრეს. 63-ე წუთზე ისევ ჩვენ გავედით წინ, მაგრამ 2:1 მხოლოდ ორი წუთით შევინარჩუნეთ, ჩეხებმა კი მე-80 წუთზე გამარჯვების გოლის გატანაც მოახერხეს – 2:3. ქართველთაგან გოლები **ირაკლი შეყილაძემ** და **ჭანტურიამ** გაიტანეს. ჯგუფის მეორე მატჩში მასპინძელმა უნგრეთმა ბოსნია-ჰერცეგოვინას 1:0 მოუგო.

27 სექტემბერს დასკვნითი ტურის მატჩები გაიმართება, საქართველოს ნაკრები ბოსნიას ეთამაშება, ხოლო უნგრეთი ჩეხეთს ხვდება. ელიტ-რაუნდში გასასვლელად, სულ მცირე, მეორე ადგილზეა გასვლა საჭირო. ამისთვის კი საჭიროა, უკვე გასულმა ჩეხეთმა უნრგეთი დაამარცხოს, ხოლო ჩვენ ბოსნიელებს მოვუგოთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| | თ | მ | ფ | ნ | ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| 2. უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 3. საქართველო | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| 4. ბოსნია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

ლეგიონერები

# არის დებიუტი სერია A-ში

## კალაძე ერთადერთი აღარ არის



კახა კალაძე

სერია A-ში „მილანმა“ გასვლით მატჩში იმარჯვა „რეჯინასთან“ – 2:1. **კახა კალაძემ** შეუცვლელად ითამაშა, მაგრამ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა ნეაპოლში მოხდა - ზედიზედ მეორე ტურში **ლევან მჭედლიძე** სათადარიგოთა სკამზე იჯდა და აი, მატჩის 78-ე წუთზე ის მოედანზე გამოჩნდა – ქართველმა ფორვარდმა **მარკ ბრეშიანო** შეცვალა. ამ დროისთვის ანგარიში 2:0 იყო „ნაპოლის“ სასარგებლოდ, ხუთ წუთში კი მასპინძლებმა საჯარიმოში ხელით ითამაშეს და **მიკოლიმ** სხვაობა მინუმამდე შეამცირა. მეტისთვის „პალერმოს“ ძალა არ ეყო. ბოლო წუთებზე ლევანი ორჯერ დააჯარიმეს.

გერმანიის თასზე **ალექსანდრე იაშვილმა** გაიტანა. ეს მისი პირველი გოლია ახალ სეზონში. იაშვილმა „ოფენბახს“ 45-ე წუთზე გაუტანა, ეს „კარლსრუეს“ პირველი გოლი იყო, მატჩი კი 2:0 დასრულდა ბუნდესლიგელის სასარგებლოდ.

ინგლისში სეზონში მეორედ ითამაშა **ზურაბ ხიზანიშვილმა** და კვლავ ლიგის თასის მატჩში. „ბლექბერნმა“ შინ „ევერტონი“ დაამარცხა 1:0. ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა.

ავსტრიულ ბუნდესლიგაში ქართული დუეტის „შტურმი“ სტუმრად 1:3 დამარცხდა „ზალცბურგთან“. 48-ე წუთისთვის უკვე ეს ანგარიში დაფიქსირდა, ორ წუთში კი მწვრთნელმა მოედნიდან **გიორგი შაშიაშვილი** გაიყვანა, რომელმაც პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. **ილია კანდელაკმა** შეუცვლელად ითამაშა. ამ ნაგებით „შტურმმა“ მეორე ადგილიდან მეექვსეზე ჩაინაცვლა. მეორე ბუნდესლიგაში ლუსტენაუს „აუსტრია“ შინ 0 3 დამარცხდა „ნოიშტადტთან“ და ბოლო ადგილზე დარჩა. აუტსაიდერის შემადგენლობაში **მირზა ბჟალავას** არ უთამაშია.

### ტატანაშვილი შემდეგ წრეში

**დიმიტრი ტატანაშვილის** პლზენის „ვიქტორია“ ჩეხეთის თასისთვის ბრძოლას განაგრძობს. ქართველის გუნდმა სტუმრად მეორე ლიგის „ფულნეკი“ დაამარცხა და გათამაშებიდან გააგდო. ჩვენებური სასტარტო შემადგენლობაში იყო, იგი 63-ე წუთზე **მილკამ** შეცვალა, მასპინძელთა კარში მეორე გოლი სწორედ ტატანაშვილის შემცვლელმა გაიტანა.

### სკონტო ფინალშია

რიგაში ბალტიის თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში „სკონტომ“ „რიგა“ 5:0 გაანადგურა და ფინალში გავიდა. „სკონტოს“ ბომბარდირი **ვლადიმერ დვალიშვილი** 66-ე წუთზე შეცვალეს, მას გოლი არ გაუტანია. **დავით გამეზარდაშვილი** სათადარიგოთა სკამზე დარჩა. პირველ მატჩში „სკონტომ“ 3:2 იმარჯვა, მაშინ ანგარიში დვალიშვილმა გახსნა.

ჯერ არ გარკვეულა „სკონტოს“ მეტოქე ბალტიის თასის ფინალში – მეორე ნახევარფინალურ წყვილში ერთმანეთს ლიტვის ჩემპიონი „კაუნასი“ და ლატვიის ჩემპიონი „ვენტსპილსი“ დაუპირისპირდებიან. წუხელ ამ გუნდების პირველი შეხვედრა ლიტვაში 1:1 დასრულდა. საკმაო ხნის შესვენების შემდეგ „კაუნასის“ რიგებში გამოჩნდა **აკაკი ხუბუტია**, ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა. სამაგიეროდ, განაცხადშიც არ ყოფილა ძირითადის ფეხბურთელი **ნუკრი მანჩხავა**, ასევე არ უთამაშია ვენტსპილსელ **ზურაბ მენთეშაშვილს**.



დავით მუჯირი

### მუჯირი სასტარტოში

გაიმართა რუსეთის თასის მერვედფინალური მატჩები. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ პოდოლსკის „ვიტიაზს“ უმასპინძლა და მხოლოდ 1:0 გაიმარჯვა, თუმცა ეს ბრძოლის გასაგრძელებლად საკმარისი გამოდგა. რკინიგზელთა სასტარტო შემადგენლობაში **დავით მუჯირი** ვიხილეთ, რაც ძალზე იშვიათად ხდება ხოლმე. შემდეგ ეტაპზე გავიდა ყაზანის „რუბინიც“, თუმცა ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს „ლოკომოტივზე“ მეტად გაუჭირდა. „რუბინმა“ 120 წუთი ვერაფერი მოუხერხა პერმის „ამკარს“ და მხოლოდ პენალტების სერიაში აჯობა – 4:1. **დავით კვირკველიასა** და **ლაშა სალუქვაძეს** არ უთამაშიათ. მეოთხედფინალში „ლოკომოტივი“ ცსკა-ს შეხვდება.

### ალადაშვილის საგოლე პასი

ყაზახეთში ერთი გადადებული მატჩი გაიმართა. ლიგიდან გაგდებულმა და შემდეგ შებრალებულმა „ვოსტოკმა“ შინ 2:3 წააგო ლიდერ „აქტიობესთან“. ძმებმა **ზვიად** და **გიზო ჯელაძეებმა** სასტარტოში ითამაშეს, გიზო მეორე ტაიმში შეცვალეს. „ვოსტოკი“ 38 ქულით მეხუთე ადგილზე დარჩა.

უკრაინის ჩემპიონატის პირველ ლიგაში, როგორც იქნა, მოიგო კიევის „დინამო-2-მა“, რომელმაც შინ „იგრო-სერვისი“ დაამარცხა – 3:1. „დინამო-2“ 8 ქულით მე-16 ადგილზეა. **კახა ალადაშვილი** სასტარტოში იყო, მის ანგარიშზე საგოლე პასია, ხოლო **ოთარ მარცვალაძე** შეცვლაზე (58-ე წუთიდან) შევიდა. გუშინ კიევის „დინამოს“ მეტოქე გახდა ცნობილი უკრაინის თასის მორიგ ეტაპზე – ეს ლუგანსკის „ზარია“ გახლავთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ექტორ კუპერის მასტერკლასის შემდეგ. ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან

# დარწმუნებული ვარ, კუპერი ბევრ საინტერესო მოთამაშეს აღმოაჩენს

## გეგუჩაძეს მიაჩნია, რომ სამშაბათის ვარჯიშს ორმხრივი თამაში სჯობდა

გია გეგუჩაძე იმ იშვიათ მწვრთნელთა შორის იყო, ვინც 23 სექტემბერს ექტორ კუპერის მასტერკლასს დაესწრო. მასთან საუბარში არგენტინელი სპეციალისტის მიერ ჩატარებული ვარჯიშის ზოგად და კონკრეტულ მხარეებს შევეხეთ...

- ზოგადად, კუპერის იდეას დადებითად ვაფასებ. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ კუპერმა საინტერესო მოთამაშეთა პლუს-მინუსები ნახოს. არგენტინელი ხომ ახლა იწყებს ნამდვილ სელექციას. ეროვნული ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელების ნახვა კი აუცილებლად სჭირდებოდა. დარწმუნებული ვარ, სამშაბათს მან თითოეულ მოთამაშეზე ბევრი რამ შეიტყო. ალბათ, უკვე გარკვეული წარმოდგენაც ექნება, მათგან ვის უნდა დაეყრდნოს და ვის არა.

**- კახა ცხადაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ კუპერის მიერ ჩატარებული თეორიული და ტაქტიკური ვარჯიშები ჩვენი ფეხბურთელების მომზადების დაბალი დონის მანიშნებელია...**

- ვფიქრობ, ეს უფრო ინფორმაციული ხასიათის ვარჯიშები იყო. თუმცა ამ კუთხით, ყველაზე საინტერესო მაინც ორმხრივი თამაში იქნებოდა. ჩემი აზრით, თამაშიდან მეტი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი. ვარჯიში ტაქტიკურ ხასიათსაც ატარებდა. მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ – „კვადრატით“, ორმხრივი თამაშითა და ასე შემდეგ, ცოტა მეტის გაგება შეიძლებოდა ფეხბურთელებზე. ასე ვთქვათ, კუპერს უფრო მკაცრი შეფასების საშუალება მიეცემოდა. არ ვიცი, ეს ვარჯიში კონკრეტულად რა მიზანს ემსახურებოდა და ამიტომ დეტალებზე ვერ ვილაპარაკებ. არც ის ვიცი, უახლოეს მომავალში რა სახით ავარჯიშებს კანდიდატებს. ისე არ გაიგოთ, თითქოს კუპერს ვაკრიტიკებდე. არა, ეს არც მიფიქრია, პირიქით, უკვე აღვნიშნე, რომ მშვენიერი წამოწყებაა და იმედია, მომავალშიც ასე გააგრძელებს. სხვათა შორის, ყურადღება მივაქციე იმას, რომ მოთამაშეები მცველებად და შემტევებად დაყო და ხაზზე თამაშისას კოორდინაციას ასწავლიდა. ვფიქრობ, ეს ჩვენმა მოთამაშეებმა, წესით, უნდა იცოდნენ. ალბათ, სელექცია უნდა გაგრძელდეს. არაა გამორიცხული, პირველი ვარჯიშის შემდეგ ვიღაც დაიწუნოს და მომდევნო სამშაბათს სხვა მიიწვიოს. სელექცია ცოცხალი პროცესია და ვფიქრობ, კუპერი საქართველოში ბევრ საინტერესო მოთამაშეს აღმოაჩენს. პირადად მე, ამაში დარწმუნებული ვარ.

**- იქნებ, კუპერი მოთამაშეთა თეორიულ ცოდნას ამოწმებდა?**

- არაა გამორიცხული. თუმცა ის ფეხბურთელებს არა მხოლოდ აკვირდებოდა, არამედ კარნახობდა კიდეც.

**მერაბ მამულაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

ნომრის მორიგე რედაქტორი დავით თავართქილაძე

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ შეცვლის შეგრტს?

## უგულავა ადასტურებს: ქართველი!

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა ოქტომბრის დასაწყისში, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე გახდება ცნობილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდული გუნდის ამჟამინდელი დამრიგებლის **პეტარ შეგრტის** საკითხი გადაწყვეტილია. ეს გუშინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** გვითხრა:

*„შემიძლია დავადასტურო, რომ შეგრტი, ფაქტობრივად, გათავისუფლებულია თანამდებობიდან. ეს არის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, მაგრამ ჯერ ოფიციალურად არ გაფორმებულა. საკითხს განიხილავს აღმასკომი, რომლის სხდომა ოქტომბრის დასაწყისში ჩატარდება“.*



უჩა უგულავა

შეგრტი, რომლის კანდიდატურა ცოტა ხნის წინ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზეც კი განიხილებოდა, რუსეთთან (0:4) და პოლონეთთან (0:5) მტკივნეულ ნაგებებს გადაჰყვა. მაგრამ მარტო ამაშიც არ არის საქმე. მანამდე დავმარცხდით ყაზახეთთანაც (1:4), საბოლოოდ კი ჯგუფში ბოლო ადგილზე გავედით. ესპანეთთან რომ ვერას გავხდებოდით, თავიდანვე ცნობილი იყო, მაგრამ ყაზახეთმაც რომ გაგვასწრო, ამას კი შეგრტს ნამდვილად ვერ აპატიებდნენ.

ალბათ, ფედერაცია გაალიზიანა მისმა გამომწვევმა ინტერვიუმაც, სადაც დაიქადნა, ამას და ამას ვიტყვიო, მაგრამ არაფერიც არ უთქვამს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ხორვატმა პასუხი არ გასცა „ლელოს“ კითხვებს, არადა, კითხვები მართლაც მრავლად დაგროვდა.

მოკლედ, შეგრტის გაშვება ფორმალობაა. საქართველოდან **კლაუს ტოპმიოლერის** გუნდის უკანასკნელი მოჰიკანიც მიდის. ახლა ისაა საკითხავი, ვინ დაინიშნება მის ნაცვლად? ფედერაციის გენერალურ მდივანთან ჩვენი ინფორმაცია გადავამოწმეთ - რამდენად რეალურია, თითქოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე **გიორგი ჩიხრაძის, კახა ცხადაძისა და გია გეგუჩაძის** კანდიდატურები განიხილება?

*„მწვრთნელის შერჩევა რომ მიმდინარეობს, ეს დასამალი აღარაა. არც იმას დაგიმალავთ, რომ კანდიდატურებს ქართველ სპეციალისტებს შორის ვეძებთ. განვიხილავთ თუ არა ცხადაძის, ჩიხრაძისა და გეგუჩაძის ვარიანტებს? დიახ, იყო ამაზე მსჯელობა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომელია რეალური და რომელი - არარეალური კანდიდატურა“* - გვითხრა უგულავამ.

**მერაბ მამულაშვილი**

ახალგაზრდული ნაკრები

# მწვრთნელთა კალეიდოსკოპი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ისევ მოუწევს მნიშვნელოვან საკადრო საკითხზე წამუშავება. ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ფორმალურად ისევ ხორვატი პეტარ შეგრტია, თუმც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩაფლავებული შესარჩევი ციკლის შემდეგ ის ამ პოსტზე დარჩეს. შეგრტმა თავი მოგვაწონა პიარის (Public Relation) უნარით, ვინძლო წმინდა სამწვრთნელო საკითხებშიც მისი ზოგიერთი შეხედულება სწორი იყო, მაგრამ ახლა სხვისი ჯერია, გაწვრთნას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები.

როგორც უნდა იყოს, შეგრტი კლაუს ტოპმიოლერის ეპოქის ბოლო გადმონაშთია, გერმანელი მწვრთნელის ხელდასმით დაინიშნა და ვერ გაამართლა. ქართული ფეხბურთის ყველა უბედურებას შეგრტს ნამდვილად ვერ მივაწერთ, მაგრამ ჩვენს 21-წლამდელებს რომ ის აღარ სჭირდებათ, ვგონებ, დროის მოთხოვნაცაა.

არა გვგონია, ფეხბურთის ფედერაციამ ახალგაზრდულის დამრიგებლად ისევ უცხოელს უხმოს, რომელიც ძვირია და შედეგის გარანტიასაც ვერ იძლევა. ეროვნული ნაკრების თავკაც ექტორ კუპერსაც არ აუხირებია, ახალგაზრდულ ნაკრბეში გინდა თუ არა ჩემი რეკომენდაციით დანიშნეთ მწვრთნელიო.

ერთი სიტყვით, საქმე იქითკენ მიდის, რომ შეგრტს ქართველი შეცვლის. არჩევანი დიდი არ არის, საქართველოში ახალგაზრდა თუ საშუალო ასაკის კარგი მწვრთნელი დეფიციტია, თანაც ისეთი, ათასგვარ მაიმუნობა-მამაძაღლობაში რომ არ არის გარეული.

ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატად ექვსი სპეციალისტი შევარჩიეთ. ცხადია, ეს სუბიექტური, ჟურნალისტური თვალთახედვაა, თუმც ფაქტებითაცაა გამყარებული.



### გია გეგუჩაძე, 43 წლის

მისი ხელმძღვანელობით თბილისის „დინამო“ 2004 წელს უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ასეთი წარმატებისთვის არც ერთი ქართული გუნდის მწვრთნელს არ მიუღწევია.

გეგუჩაძე ახლა უმუშევარია და შეთავაზებებს ელის. ბოლოს ის „გაგრის“ ტექნიკური დირექტორი გახლდათ. მას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ B სამწვრთნელო ლიცენზია არ მისცა. გეგუჩაძე უკრაინაში წავიდა და იქიდან პროფლიცენზიით დაბრუნდა.

ამ დროისთვის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა კეთილგანწყობილია ამ სპეციალისტის მიმართ და უნდა ვივარაუდოთ, რომ მას 21-წლამდელთა დამრიგებლის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილავს.

გეგუჩაძე წლების განმავლობაში იყო „დინამოს“ ერთ-ერთი მწვრთნელი, მათ შორის მაშინაც, როცა საქართველოს ყველაზე ტიტულიან გუნდს **იოჰან ბოსკამპი** ხელმძღვანელობდა.

გეგუჩაძეს უყვარს რისკი, ავანტიურისტული ფეხბურთი, მისი გაწვრთნილი „დინამო“ მართლაც საინტერესო გუნდი იყო.

### გიორგი დევდარიანი, 35 წლის



მის ხელში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი დაწინაურდა. ის ძალიან მონდომებული მწვრთნელია, სულ იმას ცდილობს, რაღაც ახალი შეიძინოს, ცოდნა გაიღრმავოს, არ კმაყოფილდება იმით, რაც უკვე იცის, საქმეში სულსა და გულს სულს დებს.

დევდარიანის გაწვრთნილი „თბილისი“ 2003-04 წლებში მისი სამწვრთნელო სახე იყო.

**გოჩა ხოჯავა, ზაალ ელივა, დავით ოდიკაძე, გიორგი ჭელიძე, გოგი ფი**ფია... დევდარიანმა მათ დაწინაურებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. „თბილისში“ მისი მწვრთნელობისას დიდი პროგრესი ჰქონდა **გოგიტა გოგუასაც.**

თქმა არ უნდა, დევდარიანი ნიჭიერი მწვრთნელია, ეს პროფესია სისხლში აქვს გამჯდარი. ის **გიორგი ნემსაძის** მეგობარია და ფეხბურთის ფედერაციის ეს ხელმძღვანელობა მას ერთი პერიოდი ახლოს არ იკარებდა, მაგრამ სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვალა, ჩემიანი-იმისიანის პრინციპი თანდათან იმსხვრევა და დევდარიანი უკვე საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად მუშაობს.



### კობა ჟორჟიკაშვილი, 46 წლის

ბავშვთა და ახალგაზრდულ ფეხბურთში უდიდესი გამოცდილება აქვს. როცა საქართველოს ყველა ნაკრებს **გაიოზ დარსაძე** ხელმძღვანელობდა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს. **კლაუს ტოპმიოლერის** ეპოქაში ნაკრებთა სამწვრთნელო შტაბის წევრიც იყო, მაგრამ მერე და მერე იქაურობას ჩამოსცილდა, პრესაში ფეხბურთის ფედერაციის პოლიტიკაც გააკრიტიკა ნაკრებებთან დაკავშირებით.

მეორე სეზონია, რაც ჟორჟიკაშვილი ცხინვალის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელია. „სპარტაკი“ ახალგაზრდული გუნდია მწირი ბიუჯეტით. მან წინა სეზონში უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ შეინარჩუნა, ჟორჟიკაშვილის დიდი დამსახურებაცაა.

თუ ფედერაცია მისი კრიტიკის გამო ნაწყენევ წყენას დაივიწყებს, არ არის გამორიცხული, ჟორჟიკაშვილი ნაკრებთა სამწვრთნელო სტაბს დაუბრუნდეს. თუმც მის შანსებს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობისთვის, დიდ პროცენტს ვერ დავუწერთ.



### კახა ცხადაძე, 40 წლის

მისი თავკაცობით თბილისის „დინამომ“ და ბოლნისის „სიონმა“ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვეს. ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი ამბიციურ მწვრთნელად ჩამოყალიბდა. თუმც ფიცხი ხასიათის გამო არაერთხელ შეექმნა პრობლემები და დისციპლინარების სანქციებს ვერ ასცდა.

ბევრს არ ეყოფა მხნეობა და ნებისყოფა, რათა აზერბაიჯანში წავიდეს სამუშაოდ. იქ ძალიან სპეციფიკური გარემოა და მწვრთნელობაც განსაკუთრებულად რთული უნდა იყოს. ცხადაძე ბაქოს „სტანდარდის“ მწვრთნელია და ჯერჯერობით ურიგოდ როდი უძღვება გუნდს.

ტოპმიოლერის საქართველოში პარპაშობისას ცხადაძე ფეხბურთის ფედერაციის ოპონენტი იყო, თუმც ეს ალბათ არ იქნება მნიშვნელოვანი მისი კანდიდატურის განხილვისას.

ცხადაძეს ისიც უმაგრებს ზურგს, რომ ფეხბურთელობისას დიდი საერთაშორისო გამოცდილება დაუგროვდა.



### გიორგი ჩიხრაძე, 43 წლის

მისმა გაწვრთნილმა „ამერმა“ ორჯერ მოიგო საქართველოს თასი. თუმც შედეგი ერთია და მწვრთნელის ინდივიდუალური თვისებები მეორე. ვერ ვიტყვით, რომ ჩიხრაძე განსაკუთრებული სპეციალისტია, მაგრამ შედეგს გვერდს ვერ ავუვლით.

ერთსაც დავძენდით: მხოლოდ სტატისტიკით არ ეგების საფეხბურთო ასპექტების განსჯა, რადგან სტატისტიკა მაინც დამხმარე საშუალებაა.

ჩიხრაძის „ამერი“ ახლა პირველ ლიგაში თამაშობს. ის საკმაოდ გაწონასწორებული მწვრთნელია, ერიდება კონფლიქტებს, კორექტული და შრომისმოყვარეა. მოკლედ, ერთობ საყურადღებო კანდიდატურაა.

### რამაზ მუმლაძე, 52 წლის

„ვიტ ჯორჯიაში“ საქმე კარგადააწყო, საკლუბო მწვრთნელის კარგი რეპუტაცია შეიქმნა. საერთაშორისო გამოცდილებაც აქვს, ევროტურნირზე რამდენჯერმე უხელმძღვანელა „ვიტ ჯორჯიას“.

ვეტერინერებამდე მუმლაძემ კარგა ხანი დაყო თბილისის „დინამოში“ ასისტენტად და ახალგაზრდებთან მუშაობის გვარიანი სტაჟი დაუგროვდა. ის არ არის ფავორიტი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე, თუმც მიგვაჩნია, რომ საინტერესო კანდიდატურაა.

მისი „ვიტ ჯორჯია“ მოძრავი, მობილური გუნდია - მწვრთნელის ნამუშევარი სახეზეა.

*მხოლოდ ეს ექვსეული არ მიგვაჩნია ჩვენი ახალგაზრდული ფეხბურთის სამწვრთნელო რესურსად. თუნდაც გი**ორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთრაძის** დუეტი ავიღოთ, თუმც მათ ალბათ მეტი გამოცდილება სჭირდებათ საერთაშორისო დონეზე გასასვლელად.*

**დავით თავართქილაძე**



რამაზ მუმლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს ეროვნული ნაკრები

# მომდევნო შერჩევის მოლოდინში

...18 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდნენ. თითოეულ მათგანს წარმატებაც მეტ-ნაკლები ჰქონდა: ზოგს უსამართლოდ მოექცნენ, ზოგს დრო არ ეყო, ზოგი „გაუგებრობაში" მოხვდა, ზოგიც დღენიადაგ გვაბრუებდა და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, ამათ სათვალავში შედიან ის მწვრთნელებიც, მხოლოდ ერთ, ორ ან სამ მატჩში რომ მოუწიათ ნაკრების თავკაცობა. მოდით, კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ ყველა ის მწვრთნელი, 1990 წლიდან საქართველოს ნაკრებს რომ თავკაცობდა: **გივი ნოდია, გიგა ნორაკიძე, ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, გიგლა იმნაძე, ვლადიმერ გუცაევი, რევაზ ძოძუაშვილი** (დავით ყიფიანთან ერთად), **ივო შუშაკი, მერაბ ჟორდანია, გოჩა ტყებუჩავა, ალენ ჟირესი, გაიოზ დარსაძე, კლაუს ტოპმიოლერი** და **ექტორ კუპერი**. ალარ გვინდა ისტორიული ექსკურსის მოწყობა და ნურც ზოგიერთი მწვრთნელის უტოპიურ დაპირებებს გავიხსენებთ: ამა თუ იმ წელიწადს საქართველოს ნაკრები მსოფლიო გრანდების გვერდით იქნებაო!



გიორგი მერებაშვილი



გოჩა ხოჯავა



ლევან გვაზავა

რეალობა კი საპირისპიროს ამტკიცებს - 1994 წლიდან მოყოლებული, დღემდე, ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატების ყველა ფინალურმა ტურნირმა უჩვენოდ ჩაიარა! თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ზაფხულს, ავსტრია-შვეიცარიაში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზეც... ვერ მოვხვდით; არადა, კუპერის წინამორბედის ერთ-ერთი პირველი ინტერვიუც კარგად გვახსოვს, საქართველოში ჩამოსვლის დღეს ჩვენს გაზეთს რომ მისცა. ხვდებით, ალბათ, პატივცემული ტოპმიოლერი რას შეგვპირდებოდა: „საქართველოს ნაკრები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად იასპარეზებს!" ის ფოტოც კარგად გვახსოვს, ამ ინტერვიუს რომ ერთვოდა: სასტუმრო „მარიოტის" ფოიეში ძმები ტოპმიოლერები ნამეტანი კმაყოფილი სახით რომ ისხდნენ. 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ჩვენმა ნაკრებმა რა შედეგით დაასრულა, ალარ შეგახსენებთ...

და აი, ახალი მწვრთნელი და ახალი იმედი. რა თქმა უნდა, პირველივე მატჩში უელსთან გამარჯვება ყველას გაგვიხარდა, თუმცა ასევე ყველამ ვიცოდით, რომ ეს არ იყო „კუპერის ნაკრები". ანუ, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა საკუთარი გუნდის ფეხბურთელები, ფაქტობრივად, მატჩის წინ გაიცნო. მოკლედ, სურდა თუ არა, კუპერი იძულებული იყო, ნაკრების სწორედ იმ ბირთვს დაყრდნობოდა ირლანდიასა და იტალიასთან. ერთი მხრივ, არგენტინელი მწვრთნელის გადაწყვეტილებას (ნაკრების ჩაბარება უშუალოდ შესარჩევი ციკლის წინ) ჩვენთან არაერთგვაროვანი რეაქცია ჰქონდა. თუმცა, მეორე მხრივ, კუპერის გამოცდილება და ავტორიტეტი მაინც გარკვეულ იმედს გვისახავდა. აქვე, მთავარიც არ დავივიწყოთ: თუ არ ვცდებით, ირლანდიასთან მატჩის წინ იყო, არგენტინელმა უცხოელ ჟურნალისტებს ერთობ გულახდილად რომ განუცხადა - 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ამ გუნდით ვერ გავალთო. ანუ სალად და რეალურად შეაფასა ქართული ფეხბურთის დღევანდელი შესაძლებლობები...

მაგრამ ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ ვილაცებზე გადაბრალება და თავის მართლება კი არ დაუწყია, ძიებასა და მუშაობას შეუდგა. ჰო, ჩამოვიდა თბილისში, საცხოვრებელი ბინა შეარჩია და, თანაშემწეებთან თუ ცალკე, ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მატჩებზე სიარული დაიწყო. სამშაბათს ჩატარებული ღია ვარჯიში კი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ საქართველოს ნაკრებში მოხვედრა ყველა თავგამოჩენილ ფეხბურთელს შეეძლება. რა თქმა უნდა, უაზრობაზე მეტიც არის ევროპაში მოასპარეზე ქართველი ფეხბურთელების იგნორირება, პირიქით - სწორედ მათ გვერდით უნდა აიმაღლონ ოსტატობა ნიჭიერმა ახალგაზრდებმა, საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე მოთამაშეებმა.

და მაინც, კუპერზე კარგად, ალბათ, არავინ იცის, რომ საქართველოს ნაკრებს „ახალი სისხლი" სჭირდება. ამიტომაც შეარჩია კიდეც პირველი ვარჯიშისთვის 18 ფეხბურთელი, თუმცა მათგან ვის გამოიძახებს კვიპროსსა და ბულგარეთთან, ამის თქმა ძნელია. მით უმეტეს, რომ ამ ოფიციალურ მატჩებამდე კუპერი კიდევ ერთ ასეთ ღია ვარჯიშს ჩაატარებს და შესაძლოა, სრულიად სხვა კონტინგენტიც შეკრიბოს. მაგრამ ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ისევ „ძველ ნაცნობებს" დაეყრდნოს. მთავარი სხვა რამ არის და ჩვენც უკვე მერამდენედ ვიმეორებთ: საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე თითოეულ ფეხბურთელს აქამდე არნახული სტიმული გაუჩნდა!

კვიპროსსა და ბულგარეთთან მატჩებამდე საქართველოს ჩემპიონატში სამი ტური უნდა ჩატარდეს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, კუპერი ერთხელ კიდევ შეარჩევს აქაურ ფეხბურთელებს და ამ სამი ტურის განმავლობაშიც ქალაქიდან ქალაქში ივლის. ახალს არაფერს ვიტყვით - ნაკრებში საუკეთესოებმა უნდა ითამაშონ. არც ფეხბურთელის ასაკს უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, არც ძველ დამსახურებასა და არც... „ვილაცის" სატრანსფერო ინტერესებს. არადა, ჩვენს ჩემპიონატში მართლაც მრავლად არიან საინტერესო ფეხბურთელები. კუპერის მიერ შერჩეული 18 მათგანი სამშაბათს ვნახეთ. ამათ გარდა, ჩვენი აზრით, დაკვირვებას სხვებიც იმსახურებენ: მეკარეები - **მირზა მერლანი** (ოლიმპი), **გიორგი სომხიშვილი** (მესხეთი); მცველები - **შოთა კაშია** (დინამო), **თენგიზ ჩიკვილაძე** (ოლიმპი), **თეიმურაზ ფარულავა** (ლოკომოტივი), **დავით ლომაია, გიგა ბეჭვაია** (ორივე - ვიტ ჯორჯია), **ვლადიმერ კაკაშვილი** (სიონი); ნახევარმცველები - **ვიტალი დარასელია, ირაკლი ჩირიკაშვილი** (ორივე - ლოკომოტივი), **გიორგი დათუნაიშვილი** (ვიტ ჯორჯია), **შოთა გრიგალაშვილი** (მესხეთი), **გიორგი ფეიქრიშვილი** (ოლიმპი), **ნიკა კვასხვაძე** (ზესტაფონი); თავდამსხმელები - **ჯაბა ლიპარტია** (ვიტ ჯორჯია), **მათე ვაწაძე, გიორგი მერებაშვილი** (ორივე - დინამო); იქნებ, **სანდრო იაშვილიც** (სიონი) მალე შევიდეს ოპტიმალურ ფორმაში, ისევე, როგორც **ლევან ცქიტიშვილი** (ლოკომოტივი), რომლის უდიდესი გამოცდილება ნაკრებს ჯერ კიდევ წაადგება.

ნურც სრულიად ჭაბუკ და პერსპექტიულ ბიჭებს დავივიწყებთ - აი, თუნდაც ზუგდიდის „ბაიაში" 16 წლის „ვუნდერკინდი" **ნიკა ძალამიძე** რომ თამაშობს. ალარაფერს ვამბობთ იმ ფეხბურთელებზე, ახლო თუ შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში რომ თამაშობენ (ბევრი - სოლიდურ კლუბში) და, სულ მცირე, ნაკრებში გასინჯვას მაინც რომ იმსახურებენ: მცველები - **ნუკრი მანჩხავა** (ლიტვა), **ალექსანდრე ამისულაშვილი, გია გრიგალავა, გიორგი ნავალოვსკი, ვალერი აბრამიძე** (ოთხივე - რუსეთი), **გიორგი ფოფხაძე** (დანია), **დავით გამეზარდაშვილი** (ლატვია); ნახევარმცველები - **ლევან გვაზავა, გოჩა ხოჯავა** (ორივე - რუსეთი), **გივი კვარაცხელია** (ბელარუსი), **თორნიკე აფციაური, რევაზ გეწაძე, გრიგოლ დოლიძე, დავით ბოლქვაძე** (ოთხივე - აზერბაიჯანი); თავდამსხმელები - **მიხეილ აშვეთია, რევაზ ჯიქია** (ორივე - რუსეთი), **დიმიტრი ტატანაშვილი** (ჩეხეთი), **ლადო დვალიშვილი** (ლატვია), **გიორგი ადამია** (აზერბაიჯანი). იმედია, კუპერი მათ ნახვასაც მოახერხებს და რატომლაც დარწმუნებულნი ვართ, რომ დამსახურებას არავის დაუკარგავს.

მოკლედ, ისლა დაგვრჩენია, მეორე ღია ვარჯიშს დაველოდოთ, ისევე, როგორც ნაკრების ახალი და „მოულოდნელი" პოტენციური კანდიდატების გამოჩენას...

**გია ტუხაშვილი**

### ეროვნული ნაკრების კანდიდატი. ინტერვიუ ლუკა რაზმაძესთან

# შანსი მომცენ და...

## ანუ რატომ დასაჯეს ლუკა რაზმაძე?



ლუკა რაზმაძე

**წლების წინ გორის „დილაში" 17 წლის ბიჭი, ცენტრალური ნახევარმცველი ლუკა რაზმაძე გამოჩნდა. მაშინ გორელებს „გაგრის" ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე ავარჯიშებდა. მან რამდენიმე ინტერვიუში ახსენა კიდეც: დაიმახსოვრეთ, რაზმაძეს შეუძლია, დიდი ფეხბურთელი გახდესო.**

**„დიდი ფეხბურთელობის" ჯერ რა მოგახსენოთ, მაგრამ ფაქტია, რაზმაძე წინ მიიწევს: 8 წლის თავზე ლუკა თბილისის „ვიტ ჯორჯიის" ერთ-ერთი ლიდერია. „ვეტერინარებმა" ტრნავის „სპარტაკი" მისი გოლის წყალობით დაამარცხეს, დღეს კი უკვე ეროვნული ნაკრების კანდიდატთა შორისაა. სამშაბათს ექტორ კუპერმა ის მასტერკლასზე გამოიძახა. ლუკას ეს ამბავი კურიოზულ ვითარებაში აცნობეს...**

- გორში „გაგრას" 2:0 მოვუგეთ და თამაშის შემდეგ მთელი გუნდი მელქაძის ჯვრისწერაზე წავედით. რა თქმა უნდა, ისე მოვილხინეთ, სპორტსმენებს რომ შეშვენით: ლიმონათით „გამოვთვერით". მეორე დღეს ვარჯიში გვქონდა და რამაზ მუმლაძემ გვითხრა - კუპერმა სამი კაცი გამოიძახაო. მერე ჩემკენ გამოიხედა - ლუკა, შენ დასჯილი ხარო. უცებ თავში დამარტყა - მე რაღას მერჩიან, ქორწილში არ დამილევია და ცუდიც არაფერი გამიკეთებია-მეთქი, გავიფიქრე. მერე მუმლაძემ გაიცინა - რაზმაძე, ნაკრებში გამოძახებით დაგსაჯესო. და რა გამიხარდა... „დასჯილი" მოთამაშისთვის პატარა საჩუქარი არაა.

**- წლევანდელი სეზონი მართლა კარგად დაიწყე. რა მოხდა შენს ცხოვრებაში ისეთი, უცებ რომ მოუმატე - თავმოყვარეობამ შეგაწუხა, რომ 25 წლის ფეხბურთელი მხოლოდ კლუბისთვის იყავი საინტერესო?**

- თუ მოთამაშეს თავმოყვარეობა არ აქვს, ვერაფერს მიაღწევს. წლევანდელი სეზონის დასაწყისი ჩემთვის მართლაც წარმატებული იყო: უეფას თასზე ორი ბურთი გავიტანე; ჩემპიონატშიც თავი გამოვიჩინე; გორში, „გაგრასთან", მეორე გოლი ჩემი იყო; ამას დაემატა კუპერის დაინტერესებაც... თუ მართლა მომეცემა ნაკრებში თამაშის შანსი, შევეცდები, იქ ადგილი დავიმკვიდრო.

**- კუპერის ვარჯიშებზე რას იტყვი?**

- ძირითადად ტაქტიკური ვარჯიშები იყო - ვინ როგორ უნდა მოძრაობდეს შეტევისა და თავდაცვის დროს. ამაზე ყურადღება კლუბში მუშაობის დროსაც უნდა გავამახვილოთ.

**- გორელი ხარ და ომი შენზე განსაკუთრებულად იმოქმედებდა...**

- დაბომბვის დროს გორში ვიყავი, ოჯახი ძლივს გამოვიყვანე... დაუნდობლად ისროდნენ. მეგონა, ომზე ფილმს ვუყურებდი... თუმცა რომელი ფილმი გადმოსცემს იმ ტკივილს, რაც გორში დატრიალდა. ჩემი ნათესავი ტყვიავთან ახლოს ცხოვრობს და რუსების შემოსვლის დროს მოკლეს. ასეთი ამბები თითოეულ ჩვენგანზე მოქმედებდა. ძნელი იყო ფეხბურთისთვის განწყობა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა.

**- „ვიტ ჯორჯია" გორში რომ ითამაშებს, შენთვის კი არის მისწრება, მაგრამ გუნდის შედეგებზე არ იმოქმედებს? ფაქტობრივად, ყველა მატჩს ნეიტრალურ მოედანზე ჩაატარებთ...**

- არ მგონია, იმოქმედოს. გორში ფეხბურთი უყვართ და ალბათ, მაყურებელი მოვა. იმედი მაქვს, „ვიტ ჯორჯია" ინტერესს გამოიწვევს. ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს ნახავენ. თუმცა კარგად მესმის შეკითხვის არსი - სხვა სტადიონზე თამაში თავდაპირველად მაინც ძნელი იქნება. გუნდში გორელები მხოლოდ მე და ამირან ყველაშვილი ვართ.

**- „ვიტ ჯორჯია" ერთადერთხელ გახდა ჩემპიონი, არადა, სულ ლიდერებშია... თითქოს მარილი აკლიაო...**

- ჩემი აზრით, იღბალი გვაკლია, თორემ ბოლო წლების ლიდერებს არაფერში ჩამოვრჩებოდით. იმედია, ბედი წელს მაინც გაგვიღიმებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ვირები ბოჩოლებში




დავით თავართქილაძე

ეს ჟურნალისტობა გვარიანად რთული პროფესიაა. გაიგებ რალაცას და ვერ წერ; ან დაწერ სიმართლეს და მაინც ბრალს დაგდებენ, რატომ დეწერეო.

საქართველოში რეპუტაცია დიდად არ ფასობს და ისეც მომხდარა, დაგიწერია და აინუნშიაც არ ჩაუგდიათ - წეროს და იკითხოსო.

ბევრი რამ იცვლება ჩვენს ქვეყანაში და მის გარშემო, მაგრამ ამ ჩვენს პროფესიას არ დაადგა საშველი. ვის აღარ დაურეკავს რედაქციაში თუ ჟურნალისტის მობილურზე; ზოგიც რედაქციაში მოსულა საჩხუბრად თუ საკამათოდ. ალბათ იმიტომ, რომ ჯერაც სუსტია ქართული მედია, ქვას ვერ ხეთქავს.

ამ ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ საქართველოს ერთ-ერთ ასაკობრივ ნაკრებში გადაზრდილი ფეხბურთელები თამაშობენ. ისინი გამორჩეულები არიან და ამიტომაც ფეხბურთს ლეგენდები უყვარს. ლობანოვსკიმ მეცნიერებს სპეციალური დანადგარი გამოაგონებინა, რითაც ოც წლამდე ფეხბურთელის ზუსტი ასაკი დგინდება. ლეგენდაში იმაზეც არის მოთხრობილი, რომ ასეთმა დანადგარმა კიევის „დინამოში" გასასინჯად ჩასული რამდენიმე ქართველი ჯეელი ტყუილში გამოიჭირა.

ჩვენთან ასეთი ლეგენდები არ არის. პაიჭაძემ კარში ჩამდგარი მაიმუნი მოკლა ბურთით, - ამ ლეგენდის იქით საქმე არ წასულა.

მეტრიკებს კი საქართველოში საბჭოთა პერიოდშიც სათავისოდ ალამაზებდნენ და ტრადიცია ახლაც გრძელდება. ოღონდაც ძალიან საწყენია, რომ ეს მხოლოდ მწვრთნელის, ფეხბურთელის და მისი მშობლების ხელდასმით არ ხდება. თვალის დახუჭვა, ყურიდან ყურში გატარება, ფაქტობრივად, მავნებლობაა.

კარიკატურის ავტორი
ვაჟა სიმონიშვილი



დავინტერესდი მათით. თემა დიდად საინტერესო და საჭირბოროტოა.

საინფორმაციო, კონფიდენციალური წყარო, ვინძლო სანდოა, მისგან ჯერ ტყუილი არ მომისმენია, მაგრამ მიდი და თუ მაგარი ბიჭი ხარ, დაასახელე ის ფეხბურთელები, დაბადების მოწმობა რომ გადაიკეთეს თუ გადააკეთებინეს.

ეს თავისებური გამოწვევაა ჟურნალისტის ხელობაში, მაგრამ ეს მკითხველს არ აინტერესებს. პატივცემული ქომაგი მოლოდინშია, უნდა გაიგოს, ვინ არის გადაზრდილი ერთ-ერთ ასაკობრივ ნაკრებში.

არის რამდენიმე ჟურნალისტური ხერხი, ცუდზე ცუდი ისე თქვა, სასამართლოში რომ ვერ გიჩივლონ, ცხვირ-პირი არ დაგიმტვრიონ, მაგრამ განა ეს არის მთავარი?!

ჟურნალისტიკას სიზუსტე უყვარს, მკითხველს - მწვავე ამბები და ხანდახან ჭორებიც; ყველაზე უფრო კი - კარგად დაწერილი სიმართლე.

ფეხბურთს კი არ უყვარს მეტრიკაგადაკეთებული ფეხბურთელები, ასეთ სიბინძურეზე თვალებდახუჭული მწვრთნელები და ჩინოვნიკები.

თუ ფეხბურთის ფედერაცია აქაც პროკურატურის იმედზე დარჩება, ვინღა დაიჯერებს, რომ აქედან რამე გამოდნება? განა არ გახსოვთ, რა დაპირებები და იმედები იყო წინა სეზონის მიწურულს და იმის მერეც - ჩაწყობილ თამაშებს პროკურატურა ჩაუჯდა და თაღლითობას ცხვირში ამოვადენთ თვით ტრადიციულ და ტიტულოვან გუნდებსაცო?!

ძალოვანმა სტრუქტურებმა ამისთვის ვერ მოიცალეს - აქეთ საპარლამენტო არჩევნები, იქით გამწვავებული ურთიერთობა რუსეთსა და სეპარატისტებთან; მერე ომი, სარკოზი და მედვედევი, მაკქეინი და ობამა და ვილას აინტერესებს ასაკობრივი ნაკრების ვირები ბოჩოლებში.

გადაზრდილი ფეხბურთელები ერთი ხელის მოსმით ვერ გაქრებიან. ფეხბურთი ტრადიციული თამაშია და ძველი - ცუდი ამბების გაკარგებაც ძალიან ძნელია.

მაინც მგონია, რომ ჩვენს ხელობას აქვს აზრი და გასაქანი. მაინც იწერება რაღაცა, რაც ჟურნალისტურ ნაშრომს ემსგავსება.

ტურის მწვრთნელი. ინტერვიუ თემურ მახარაძესთან

# სიონთან სხვანაირ ფეხბურთს ვერ ვითამაშებდით

## კუპერს ქართველ მწვრთნელებთან შეხვედრა უნდაო...



თემურ მახარაძე

**თემურ მახარაძემ და „ზესტაფონმა" პირველ ორ ტურში ძვირფასი ქულები მოიპოვეს, ისეთი, საჩემპიონო რბოლისთვის უდიდესი მნიშვნელობა რომ აქვს: ფრე (0:0) რუსთავში, „ოლიმპთან", ხოლო შემდეგ გამარჯვება (1:0) ბოლნისში. იმერლებს „სიონთან" უმძიმესი ბრძოლა გადახდათ. ეს იყო ტურის ცენტრალური შეხვედრა და ბუნებრივია, სტუმართა გამარჯვებამ მოგვცა იმის უფლება, ტურის მწვრთნელად მახარაძე დაგვესახელებინა. „ლელოს" გადაწყვეტილებამ ბატონი თემური ძალიან გაახარა...**

- მწვრთნელისთვის ასეთი აღიარება ძალიან დიდი სტიმულია, ისევე, როგორც ფეხბურთელებისთვის ტურის ნაკრებში მოხვედრა. ჩვენს ჩემპიონატს მაყურებელი არ ჰყავს და კიდევ კარგი, მასმედია მუშაობს და ხალხს ინფორმაციას აწვდის, თორემ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ: მედია რომ არა, ჩემპიონატი აზრს დაკარგავდა.

**- „სიონი" საჩემპიონო ამბიციების მქონე კლუბია და მასთან სტუმრად 3 ქულის აღება რთული იქნებოდა...**

- ასე ვიტყოდი, რომ ეს 3 ქულა ჩვენთვის ექვსის ტოლფასია. მართლაც ძალიან მძიმე მატჩი იყო, ბოლო წუთამდე ვერავინ იტყოდა, ვინ მოიგებდა, მაგრამ იღბალი ჩვენს მხარეს იყო. საერთოდ, წლევანდელი კალენდარი „ზესტაფონისთვის" საკმაოდ რთულია. პირველ ორ ტურში ჩემპიონობის ორ პოტენციურ კანდიდატს სტუმრად შევხვდით და 4 ქულა მოვიპოვეთ. არადა, ორივე გუნდს ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და სიმართლე გითხრათ, ძალიან ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ეს მატჩები ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდებოდა. განსაკუთრებით რთული იყო ბოლნისური შეხვედრა, რადგან იქ თამაშის მოგება ნებისმიერ გუნდს უჭირს. როცა „სიონის" ცნობილი ქომაგი ალა, თავის გუნდთან ერთად, „სიონს" უჭერს მხარს, ეს სტუმარ მოთამაშეებზე დამთრგუნველად მოქმედებს და ამიტომაც მიმაჩნია, რომ 6-ქულიანი თამაში იყო.

**- და რამდენ ქულას გეგმავდით ამ ორ მატჩში?**

- ეს იმ ტიპის შეხვედრები იყო, წინასწარ ვერაფერს დავგეგმავდით. ფეხბურთელებს მხოლოდ ეს ვუთხარი: შევეცადოთ, კონკურენტებმა არ გაგვასწრონ-მეთქი. 3-ქულიან სისტემაში წაგება კატასტროფის ტოლფასია, მით უფრო, უშუალო კონკურენტთან.

**- ასეთი რისკების წინაშე თუ იდექით, ბოლნისში სამი მცველით რატომ ითამაშეთ? მარცხენაფლანგელი ვიეირა შემტევი იყო და არა მცველი. თქვენგან ამგვარი ტაქტიკა გასაკვირი იყო...**

- გეთანხმებით, სარისკო გადაწყვეტილება იყო, მაგრამ „სიონის" წინააღმდეგ სხვანაირ ფეხბურთს ვერ ვითამაშებდით.

### დაუშვილს შეუძლია, მაღალი კლასის ფეხბურთელი გახდეს, კესანი კი წავიდა...

**- გაბონელი პოლ კესანის არყოფნაში ძირითადში თამაშობს 19 წლის ბუბა დაუშვილი, რომელიც მეორე გოგიტა გოგუაა...**

- დაუშვილი მართლაც ძალიან ნიჭიერი ბიჭია, ბრძოლისუნარიანია, ბოლომდე იხარჯება და დარწმუნებული ვარ, გარკვეული დროის შემდეგ შეუძლია, მაღალი კლასის ფეხბურთელი გახდეს.

**- თუმცა შეტევების ორგანიზებაში კესანს უფრო მეტი სარგებლობა მოჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, მისი ასავალ-დასავალი თუ გაიგეთ?**

- კესანი წავიდა, მაგრამ ჩვენ ყველანაირად შევეცდებით მის დაბრუნებას.

**- სად წავიდა?**

- როგორც გვითხრეს, ამჟამად საფრანგეთშია და ერთ-ერთ კლუბში მოწყობას ცდილობს, მაგრამ რომელში, ეს ზუსტად არ ვიცი. ის გაბონის ნაკრებში კაპიტანია და ეტყობა, ფიქრობს, რომ საფრანგეთში ტრანსფერი ადვილად გამოუვა. მაგრამ, ეგრე სადაა - „ზესტაფონთან" კონტრაქტი აქვს. მას დავაბრუნებთ.

**- ეტიენ ბიტოო სადღაა? საქართველოს გზას ველარ იხსენებს?**

- ის „ზესტაფონის" მოთამაშე აღარაა. რეალურად, მან გუნდი ვერ გააძლიერა და მასზე აღარც ვფიქრობთ.

**- ბრაზილიელებიდან წელს შემადგენლობაში მხოლოდ ვიეირა ჩნდება. სად არიან ჟონატასი და სანტოსი?**

- ანკარაში შეკრების დროს ჟონატასი ცუდად გახდა - გულთან დაკავშირებულმა პრობლემამ იჩინა თავი და ვერ გვეხმარება. არადა, დიდი პოტენციალი აქვს. სამწუხაროა, რომ დღემდე ვერა და ვერ ჩადგა მწყობრში. რაც შეეხება სანტოსს, „სიონთან" შეხვედრის დროს ის სათადარიგოთა შორის იყო და მომავალში მას აუცილებლად გამოვიყენებთ.

### კვასხვაძის სახით დიდი მეკარე გვეყოლება, თუ...

**- ჭანტურიასა და კვასხვაძეს თანაბრად ათამაშებთ. ძნელია ერთ-ერთ მათგანზე არჩევანის გაკეთება?**

- ორივე მეკარე ჩვენთვის ძალიან ძვირფასია. რაკი ორივეს ვათამაშებ, ესე იგი ფავორიტიც არ მყავს. გია უფრო გამოცდილია; წლებია, საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობს, ნაკრებშიც უთამაშია... კვასხვაძე კი შედარებით გამოუცდელია, სამაგიეროდ, დიდი პოტენციალის მქონე და არ გვინდა, ეს პოტენციალი დაიკარგოს. მას სერიოზული მონაცემები აქვს. ტყუილად არ ვენდეთ თასის ფინალში და უეფას თასზეც... ორი კვირა ეროვნულ ნაკრებში იყო, მხოლოდ ვარჯიშობდა და სათამაშო პრაქტიკა მოაკლდა, მაშინ, როცა ჭანტურიამ ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. ამიტომაც დავაყენეთ „სიონთან". გია 34 წლისაა, მაგრამ გუნდისთვის საჭირო კაცია და ვერ გავწირავთ. ჩემპიონატში თამაშის საშუალება ორივეს მიეცემა. ისე კი ვაკვირდები, რომ ჭანტურია, თავისი გამოცდილებითა და საქმისადმი მიდგომით კვასხვაძის სწრაფ ზრდას უწყობს ხელს. აღსანიშნავია მეკარეთა მწვრთნელ ალექსანდრე მეშკოვის მუშაობაც. სწორედ მისი დამსახურებაა, დღეს ორი ძლიერი გოლკიპერი რომ გვყავს. კვასხვაძეზე დავამატებდი: თუ ამ ბიჭმა ზრდა კვლავ გააგრძელა, გარწმუნებთ, დიდი მეკარე გვეყოლება.

### კუპერს ეტყობა, რომ მუშაობს, მაგრამ ერთი რამ მაფიქრებს...

**- უეფას თასისთვის მომზადება ნაადრევად დაიწყეთ, პირველი წრე კი ჩვეულებრივზე გვიან, 28 დეკემბერს მთავრდება. გამოდის, რომ ვარჯიშმა თვე-ნახევრით მეტი მოგიწიათ. მოთამაშეთა გამოფიტვის არ გეშინიათ?**

- სიმართლე გითხრათ, ასეთი საშიშროება ნამდვილად არსებობს. ჯერ ფორმაში შევედით, მერე კონდიციები დაეცა, მზადება სამი კვირით გაიწელა... არ გამოვრიცხავ, სადღაც მართლა გაგვიჭირდეს. ფაქტობრივად, ექვსი კვირის ნაცვლად, სამთვიანი მოსამზადებელი ეტაპი გამოგვივიდა. თავისთავად, ეს საფრთხეს შეიცავს. რას ვიზამთ, ცხოვრებამ მოიტანა ასე... ფორსმაჟორულმა ვითარებამაც ყველაფერი აგვირია, მაგრამ მწვრთნელები ვმუშაობთ იმისთვის, რომ ეს გუნდს არ დაეტყოს.

**- ჰექტორ კუპერის მასტერკლასზე რას ფიქრობთ?**

- კაცს ეტყობა, რომ მუშაობს და ეს ძალიან მიხარია. შესანიშნავი საქმე წამოიწყო, მაგრამ ერთადერთი, რაც მაფიქრებს, ის არის, თუ როგორ მოახერხებენ ჩვენი მოთამაშეები ყოველ სამშაბათს თბილისში სიარულს. სხვა კითხვა არ მაქვს.

**- მწვრთნელებთან შეხვედრას თუ აპირებს?**

- დიახ, უკვე გვითხრეს, რომ აპირებს და ამანაც ძლიერ გამახარა. რაც მთავარია, ქართველ მწვრთნელებთან შეხვედრა მისი სურვილია; უნდა, რომ მოისმინოს ჩვენი აზრი ამა თუ იმ მოთამაშეზე; გაიგოს, თუ ვის ვუწევთ რეკომენდაციას და ასე შემდეგ.

მერაბ მამულაშვილი

დაპირისპირება

# პლატინი ვენგერის წინააღმდეგ



**მიშელ პლატინისა** და **არსენ ვენგერს** შორის დაპირისპირებაა. უეფას პრეზიდენტმა თავისი თანამემამულე ერთ-ერთი ფრანგული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკრიტიკა. თუმცა კრიტიკა, შეიძლება, მხოლოდ ცალკეული პირებისთვის (რასაკვირველია, თავად პლატინის ჩათვლით) იყოს, თორემ ბევრისთვის ეს დაუსაბუთებელი აგრესიაა და მეტი არაფერი.

მოკლედ, პლატინის თქმით, ვენგერს უფრო ბიზნესმენის მენტალიტეტი აქვს, ვიდრე წმინდა საფეხბურთო მოღვაწის, გნებავთ, მწვრთნელის. ამ სიტყვებს მწვავე გამოხმაურება მოჰყვა ინგლისის ლიგის მწვრთნელთა ასოციაციის მხრიდან. ასოციაციის თავმჯდომარე **ჰოვარდ უილკინსონმა** პლატინის ინტერვიუში მოყვანილ არგუმენტებს „შემაშფოთებელი“ უწოდა. უეფას თავკაცს, თურმე, არც ის მოსწონს, ვენგერი ვიდეოგამეორების უფრო ფართო გამოყენებასა და ამით მსაჯების გადაწყვეტილებებზე მუდმივ ზედამხედველობას რომ ითხოვს...

შემდეგ პლატინის კორესპონდენტმა ჰკითხა, თუ რას ფიქრობდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპის პირველ ტურში რუმინული „კლუჟის“ მიერ „რომას“ დამარცხებაზე. მოსიე მიშელის პასუხი ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო - პლატინი „ჩაგრულთა“ კლასის გვერდით დადგა:

*„სწორედ ამაშია ფეხბურთის სიდიადე და გენიალობა. ეს არის ის, რაც ხალხს მოსწონს, მაგრამ არ მოსწონს ვენგერს, რომელსაც მიაჩნია, რომ დიდი კლუბები ყოველთვის უნდა უგებდნენ პატარებს, რადგან „დიდებისთვის“ ეს ბიზნესია. მაგრამ ფეხბურთი არ არის მხოლოდ ბიზნესი“.*

ცხადია, პლატინის შეტევას თავად ვენგერიც გამოეხმაურა, თუმც მხოლოდ ორიოდ სიტყვით - ეს გამაოგნებელიაო! უილკინსონი კი დასძენს: *„პლატინიმ გააკეთა პერსონალური კომენტარები მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელზე, რომელიც ამავე დროს ჩვენი ასოციაციის ფრიად პატივცემული წევრიცაა. თუ პლატინის სურდა, პირადად ვენგერთან ეპაექრა, მაშინ სჯობდა, ეს პრივატული საუბრის დროს მომხდარიყო და არა საჯაროდ. მიმაჩნია, რომ არსენი მუდამ ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა და სწორედაც რომ საფეხბურთო მენტალიტეტის მქონე სპეციალისტია“.*

ფენომენი

# რონალდოს ტკბილი სიბერე

## პირველი ვარჯიში ფლამენგოში. არ შეეხოთ კერპს!

**რონალდო** „ფლამენგოში“ ვარჯიშს შეუდგა. დაიწყო დიდი ფეხბურთელის ტკბილი სიბერე - როგორც ვარსკვლავებს სჩვევიათ ხოლმე, კარიერის ბოლოს სამშობლოს ან იმ კლუბს მიაშურებენ ხოლმე, სადაც ფეხი აიდგეს, ან ეს შეიძლება იყოს რომელიმე მდიდარი არაბული კლუბი, დიდ ფულს რომ ჩამოდის. ანუ, დგება მომენტი, როცა ფეხბურთს ნაკლები სტრესისა და პასუხისმგებლობის პირობებში უნდა დაემშვიდობო.

ეს მომენტი უდგას სწორედ რონალდოს. პრინციპში, 32 წელი არ არის ფეხბურთელისთვის კრიტიკული ასაკი. კიდევ შეიძლებოდა თამაში, 2-3 წელი მაინც. მაგრამ წონის მუდმივი უკონტროლობა და, რაც მთავარია, მძიმე ტრავმა, რომელიც „ფენომენმა“ ამ წლის თებერვალში, „ლივორნოსთან“ მატჩის დროს მიიღო, გახდა იმის საფუძველი, რომ კარიერის ბოლო წლები ბრაზილიაში გაეტარებინა.

იმ ავადსახსენებელი მატჩის შემდეგ რონალდოს ასეთი დიაგნოზი დაუსვეს: უკეთეს შემთხვევაში, ვარჯიშს სექტემბრიდან დაიწყებდა. გაუმართლა კაცს. სიმბოლურია, რომ „რონის“ პირველი, ტრავმის შემდგომი სერიოზული წვრთნა მისი დაბადების დღის მეორე დილას შედგა. როგორც ამბობენ, რონალდომ დღეობაზე გვარიანად მოილხინა და ამის მერელა გამოცხადდა „ფლამენგოს“ საწვრთნელ ცენტრში...

მოკლედ, იმას ვამბობდით, რომ დიაგნოზი მეტად მძიმე იყო, თუმც შეიძლება, უარესიც ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ცხადი გახდა ერთი რამ: „მილანი“ მასთან კონტრაქტს აღარ გააგრძელებდა. რონალდოს ხელშეკრულებას ყავლი 30 ივნისს გაუვიდა. პრინციპში, „როსონერი“ არც აპირებდა ამას. კლუბს უკვე შეგულებული ჰყავდა „კიჭას“ თანამემამულე, უნიჭიერესი **ალეშანდრე პატო**, რომელსაც ამ წლის იანვრიდან ჰქონდა „მილანში“ თამაშის უფლება. ასე გახდა რონალდო თავისუფალი აგენტი...

...და ცქვიტეს უმალ ყურები იმ კლუბებმა, რომლებიც ამ ტიპის (სახელგანთქმული ვეტერანი) მოთამაშეებზე ნადირობენ. რონალდოს კონტრაქტი შესთავაზეს „მანჩესტერ სიტიმ“ და „პარი სენ ჟერმენმა“, რაც ფეხბურთელის მხრიდან მყისვე უარყოფილ იქნა. ესეც კიდევ ერთი მაგალითი იმისი, რომ „რონის“ ტკბილი სიბერე უნდა და დიდი ფეხბურთის მატარებელს აღარ შეახტება.

ჯერჯერობით, ის „ფლამენგოს“ ახალგაზრდულ გუნდთან ერთად ვარჯიშობს. რა თქმა უნდა, წონაში შესამჩნევად დაკლებული „ფენომენისადმი“ ინტერესი კოლოსალურია. პირველი კომენტარი პრესასთან: *„ამ დღეს მოუთმენლად ველოდი. ფიზიოთერაპიის კურსი დამთავრდა და დავიწყე ვარჯიში ბურთით, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ეს სხვა სტიმულია, რადგან ნიშანია იმისი, რომ მალე დავბრუნდები“.*

შემდეგ რონალდომ 20-წუთიანი მატჩიც ჩაატარა. „ფლამენგოს“ ერთ-ერ-



თმა ახალგაზრდა ტალანტმა, რომელიც მხოლოდ სიზმარში თუ ნახავდა ცოცხალი რონალდოს გვერდით თამაშის სცენას, ასეთი რამ თქვა: *„ჩვენ ვიცოდით, რომ არ უნდა შევხებოდით მას, რადგან სერიოზული ტრავმა ჰქონდა და მხოლოდ ახლა დაბრუნდა მოედანზე... ბუნებრივია, არც ჩვენ გვინდოდა, რომ კერპისთვის ზიანი მიგვეყენებინა“.*

ამბოხებული ტალანტი

# რატომ არ თამაშობს ჯოვინკო?



მართლაც, რატომ არ ათამაშებს **კლაუდიო რანიერი** „იუვენტუსის“ ახალგაზრდა ტალანტს? გეხსომებათ, ის დიდი ზარ-ზეიმით დააბრუნეს „ემპოლიში“ ერთწლიანი არენდის შემდეგ, იმ იმედით, რომ ამ სეზონიდან „იუვეს“ სრულფასოვანი წევრი გახდებოდა. **სებასტიან ჯოვინკოს** „ახალი დელ პიეროც“ უწოდეს. 21-წლამდელთა „სკუადრა აძურას“ ერთ-ერთი ლიდერი მომავალში სწორედ **ალესანდრო დელ პიეროს** შემცვლელად მოიაზრება, მაგრამ ჯერ უნდა გაიზარდოს. გაზრდა კი ვერ მოხდება, თუკი სათამაშო პრაქტიკა არ ექნა.

მაშ, რაშია საქმე? როგორც ამბობენ, ის დასჯილია. დიახ, იტალიური მედია დარწმუნებულია, რომ სება კლუბმა დასაჯა. ჯოვინკოს ეყო სითამამე (ალბათ, თავხედობაც), რომ „იუვეს“ ბოსებთან კონტრაქტის პირობებზე ვაჭრობა გაემართა. ის წელიწადში 1 მილიონ ევროს ითხოვს. თუმცა ტურინული გრანდის სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** აცხადებს, რომ კლუბი მხოლოდ 450 ათასი ევროს გადამხდელია. ბატონი სეკო მიიჩნევს, რომ ეს ის ხელფასია, რომელიც „ვუნდერკინდის სტატუსს შეეფერება“.

მოკლედ, მას არ ათამაშებენ მანამ, ვიდრე კონტრაქტზე ხელმოწერას არ გააკეთებს. ალბათ, ახალგაზრდა ფეხბურთელს უნდა ერჩივნოს, შეთავაზებულ პირობებზე დათანხმდეს, რასაც ადრე თუ გვიან მაინც გააკეთებს, ასე კი დროს უქმად კარგავს. საინტერესოა, რას ფიქრობს რანიერი:

*„ჯოვინკოს დრო ნელ-ნელა მოვა, მაგრამ აუცილებლად მოვა და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. თუმცა მე ვურჩევდი ჩვენს ქომაგებს, ნუ დაელოდებიან მას, როგორც მესიას. არასოდეს მითქვამს, რომ შემადგენლობაში მისი დაყენება ტაქტიკურ პრობლემასთან იქნებოდა დაკავშირებული. ის ახლა ჯერ ვითარდება, იზრდება... მიმაჩნია, რომ ჯოვინკო ნახევარდაცვის ცენტრში უნდა თამაშობდეს და არა მარცხენა ფლანგზე, როგორც ეს „ემპოლიში“ იყო. სიმართლე გითხრათ, როცა მისი გადმოყვანა ვითხოვე, წარმომედგინა, რომ ნედვედის უკან უნდა დამეყენებინა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეტევაში არ გამოვიყენებთ. მე მისი მჯერა. ჯოვინკო მაღალი კლასის მოთამაშეა, ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე და მოდით, მივცეთ დრო“.*

გვერდი მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**

# იტალია. სერია A. IV ტური

**ინტერი-ლეჩე 1:0**

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, ბურდისო, კივუ (72. კრუსი), კამბიასო, სტანკოვიჩი (46. კვარეშმა), ვიეირა (46. მაიკონი), მანსინი, იბრაჰიმოვიჩი, ადრიანო.

**ლეჩე:** ბენუსი, ანჟელო (51. დიამუტენი), სტენდარდო, ფაბიანო, ესპოზიტო, მუნარი, ძანკეტა, არდიტო, არიატი, კაჩა (74. კაზერტა), ტირიბოკი (54. კასტილიო).

**გოლი:** 1:0 კრუსი (79)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 16-7 (2-2); **ბურთის ფლობა:** 73%-27%.

**მაყურებელი:** 40 000

**იუვენტუსი-კატანია 1:1**

**იუვენტუსი:** მანინგერი, გრიგერა, ლეგროტალიე, კიელინი, დე ჩელიე, მარკიონი (69. სალიჰამიჯიჩი), პოულსენი, მარკიზიო (83. ტიაგო), ჯოვინკო (84. ნედვედი), დელ პიერო, ამაური.

**კატანია:** ბიცარი, სარდო, სილვესტრე, ტერლიცი, სილვესტრი, ბიაჯანტი, პ. ლედესმა, ჯაკ. ტედესკო, იცკო, ლამა (46. პლასმატი), მორიმოტო (60. მარტინესი/84. ბაიოკო).

**გოლები:** 1:0 ამაური (16), 1:1 პლასმატი (68)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 30-16; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 30-12 (8-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 18 000

**რეჯინა-მილანი 1:2**

**რეჯინა:** კამპანიოლო, ლანძარო, ჩირილო, სანტოსი (89. პ. ალვარესი), ვიჯანი (78. ჩერავოლო), ბარეტო, კარმონა, ჰალფრედსონი, კოსტა (80. ბარილა), ბრიენცა, კორადი.

**მილანი:** აბიატი, ძამბროტა, ბონერა, კალაძე, ფავალი, ფლამინი (60. ამბროზინი), გატუზო, ზეედორფი, კაკა, პატო (83. ემერსონი), ბორიელო (60. შევჩენკო).

**გოლები:** 0:1 ბორიელო (24), 1:1 კორადი (59), 1:2 პატო (73)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 25-23; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 23-12 (7-4); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 11 000

**ჯენოა-რომა 3:1**

**ჯენოა:** რუბინიო, ბიავა, ფერარი, კრიშიტო, მ. როსი, მილანეტო, იურიჩი, სკული (59. ოლივერა), მოდესტო (79. მესტო), მილიტო, გასბარონი (56. პალადინო).

**რომა:** ა. დონი, სისინიო, ლორია, პანუჩი, რიისე, დე როსი, ტადეი (76. ოკაკა-ჩუკა), ბრიგი, პეროტა (78. აკვილანი), მენეზი (83. მონტელა), ვუჩინიჩი.

**გოლები:** 1:0 სკული (4), 1:1 დე როსი (28), 2:1 მილიტო (61), 3:1 მილიტო (88)

**გაძევება:** დე როსი (68. რომა)

**გაფრთხილება:** 3-5; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 20-16 (6-4); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 24 000

**ლაციო-ფიორენტინა 3:0**

**ლაციო:** კარისო, ლიხტშტაინერი, სივილია, კრიბარი (85. როზენალი), რადუ, ბროკი, კ. ლედესმა, მაური, ფოჯა (68. კ. მანფრედინი), პანდევი (76. მაკინვა), სარატე.

**ფიორენტინა:** ფრეი, ძაური (46. კომოტო), გამბერინი, დაინელი, ვარგასი, ალმირონი, მელუ, მონტოლივო, კუჟმანოვიჩი (73. დონადელი), ჯილარდინო, მუტუ (78. პაცინი).

**გოლები:** 1:0 მაური (51), 2:0 პანდევი (55), 3:0 სივილია (59)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 33-9 (10-1); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 30 000

**ატალანტა-კალიარი 1:0**

**ატალანტა:** ფ. კოპოლა, დარიჩი, ტალამონტი, თ. მანფრედინი, რივალტა, პინტუ (78. დე აშენტისი), ჩიგარინი, გუარენტე, პადოინი (79. დეფენდი), კ. დონი (89. კაპელი), ფლოკარი.

**კალიარი:** მარკეტი, ფ. პიზანო, ბიანკო, ლოპესი, აგოსტინი, ფინი, კონტი, პაროლა (68. ლაძარი), კოსუ, მატრი, აკვაფრესკა (84. ლარივეი).

**გოლი:** 1:0 ფლოკარი (79)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 16-24; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 23-12 (7-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 12 500

**ბოლონია-უდინეზე 0:3**

**ბოლონია:** ანტონიოლი, კ. ძენონი (62. ბომბარდინი), ტერცი, ბრიტოსი, ლანა, მუდინგაი, მინგაცინი, მარკინი, ამოროზო (52. დი ვაიო), როდრიგესი, მარაცინა (62. ბერნაჩი).

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი, ფერონეტი, ა. კოდა, დომიცი, პასკუალე, ინლერი (67. ტისონე), გ. დ'აგოსტინო, ისლა, პეპე, ფლორო ფლორესი (81. კვალიარელა), სანჩესი (83. მოტა).

**გოლები:** 0:1 გ. დ'აგოსტინო (14-პენ), 0:2 ფლორო ფლორესი (21), 0:3 პეპე (73)

**გაძევება:** ბრიტოსი (12. ბოლონია)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 27-16; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 10-18 (1-3); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 21 000

**ნაპოლი-პალერმო 2:1**

**ნაპოლი:** იეცო, კანავარო, არონიკა, კონტინი, მაჯო (89. მანინი), ბლაზი (67. პია), გარგანო, ჰამშიკი, ვიტალე, დენისი (46. პაციენცა), სალაიეტა.

**პალერმო:** ამელია, კასანი (87. ჩარამიტარო), კაროციერი, ბოვო, ბალცარეტი, ნოჩერინო (75. მილიაჩო), ლივერანი, ბრეშანო (78. მჭედლიძე), სიმპლისიუ, კავანი, მიკოლი.

**გოლები:** 1:0 ჰამშიკი (14), 2:0 სალაიეტა (75), 2:1 მიკოლი (83-პენ)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 1-6; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 18-21 (4-4); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 15 000

**კიევო-ტორინო 1:1**

**კიევო:** სორენტინო, მალაგო, მანდელი, იეპესი, სკარდინა, პინცი (75. რიგონი), იტალიანო, მარკოლინი (83. ლუნკო), ლუსიანო, პელისიერი, ლანჯელა (77. დ'ანა).

**ტორინო:** სერენი, დიანა, დი ლორეტო, პრატალი, მ. პიზანო, პ. ძანეტი, ჯემაილი, ზოიმელი, აბრუსკატო (80. ოგბონა), ამორუზო (68. ვენტოლა), ბიანკი (62. აბატე).

**გოლები:** 0:1 ბიანკი (40-პენ), 1:1 მარკოლინი (50)

**გაძევება:** დიანა (90. ტორინო)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 22-15; **თამაშგარე:** 7-10; **კარში დარტყმა:** 19-10 (5-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 8 547

**სიენა-სამპდორია 0:0**

**სიენა:** კურჩი, როსეტინი, ფიკანია, პორტანოვა, დელ გროსო, ვერგასოლა, კოდრეა (79. მ. კოპოლა), გალოპა, ხარჯა (83. გეზალი), ფრიკი (68. კალაიო), მაკარონე.

**სამპდორია:** მირანტე, ლუკინი, ბოტინელი, აკარდი, სტანკევიჩუსი (71. დესენა), სამარკო (86. დელვეკიო), პალომბო, დ. ფრანჩესკინი, ციგლერი, კასანო, ბონაცოლი.

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 17-22; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 6-10 (0-2); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 9 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 10 |
| 2. ლაციო | 4 | 3 | 0 | 1 | 10-5 | 9 |
| 3. ატალანტა | 4 | 3 | 0 | 1 | 3-1 | 9 |
| 4. ნაპოლი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-3 | 8 |
| 5. იუვენტუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| 6. უდინეზე | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| 7. კატანია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 8. ჯენოა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-4 | 6 |
| 9. მილანი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-6 | 6 |
| 10. პალერმო | 4 | 2 | 0 | 2 | 7-7 | 6 |
| 11. ტორინო | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 12. სიენა | 4 | 1 | 2 | 1 | 3-2 | 5 |
| 13. კიევო | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 14. რომა | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 15. ლეჩე | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 16. ფიორენტინა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 17. სამპდორია | 4 | 0 | 3 | 1 | 2-4 | 3 |
| 18. ბოლონია | 4 | 1 | 0 | 3 | 2-6 | 3 |
| 19. რეჯინა | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| 20. კალიარი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-8 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - მილიტო (ჯენოა), სარატე (ლაციო); 3 - ამაური (იუვენტუსი), ჰამშიკი (ნაპოლი), მიკოლი (პალერმო), პანდევი (ლაციო); 2 - აკვილანი (რომა), ბიანკი (ტორინო), კაზერტა (ლეჩე), კავანი (პალერმო), კორადი (რეჯინა), დი ნატალე (უდინეზე), ჯილარდინო (ფიორენტინა), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მარკოლინი (კიევო), პატო (მილანი), პლასმატი (კატანია), სკული (ჯენოა).

## სერია B

### V ტური

**ანკონა-ბრეშა 2:0**

გოლები: 1:0 მირამონტესი (16), 2:0 მასტრონუნციო (48)

გაძევება: ტურატი (73. ანკონა)

**აველინო-გროსეტო 2:2**

გოლები: 0:1 სფორცინი (38), 1:1 დი ჩეკო (46), 1:2 ვალერი (71), 2:2 მესბა (90-პენ)

**ბარი-ლივორნო 0:0**

**ემპოლი-მოდენა 3:1**

გოლები: 0:1 კატელანი (8), 1:1 ლოდი (18-პენ), 2:1 ვანუკი (53), 3:1 კორალი (90)

**მანტოვა-ასკოლი 0:0**

**პარმა-ფროზინონე 2:2**

გოლები: 0:1 სანტორუვო (13), 1:1 პალოსკი (18), 2:1 კ. ლუკარელი (51), 2:2 დედიჩი (57-პენ)

გაძევება: ა. ლუკარელი (45. პარმა), ჯუბილატო (45. ფროზინონე)

**პიაჩენცა-რიმინი 0:0**

**პიზა-ვიჩენცა 0:2**

გოლები: 0:1 ბელანოვიჩი (37), 0:2 ბელანოვიჩი (70)

**სალერნიტანა-ტრიესტინა 0:1**

გოლი: 0:1 მარტინესი (44-პენ)

**სასუოლო-ალბინოლეფე 1:0**

გოლი: 1:0 სალვეტი (63)

**ტრევიზო-ჩიტადელა 0:1**

გოლი: 0:1 მეჯორინი (41)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 5 | 3 | 1 | 1 | 9-3 | 10 |
| 2. ალბინოლეფე | 5 | 3 | 1 | 1 | 5-2 | 10 |
| 3. სალერნიტანა | 5 | 3 | 1 | 1 | 5-3 | 10 |
| 4. გროსეტო | 5 | 3 | 1 | 1 | 8-7 | 10 |
| 5. ტრიესტინა | 5 | 2 | 3 | 0 | 7-4 | 9 |
| 6. ემპოლი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-4 | 9 |
| 7. მანტოვა | 4 | 2 | 2 | 0 | 5-1 | 8 |
| 8. პიაჩენცა | 5 | 2 | 2 | 1 | 3-4 | 8 |
| 9. ლივორნო | 5 | 1 | 4 | 0 | 6-4 | 7 |
| 10. ბარი | 5 | 1 | 4 | 0 | 4-3 | 7 |
| 11. ბრეშა | 5 | 1 | 3 | 1 | 5-6 | 6 |
| 12. ასკოლი | 5 | 1 | 3 | 1 | 3-3 | 6 |
| 13. პარმა | 5 | 1 | 2 | 2 | 7-6 | 5 |
| 14. რიმინი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 15. ტრევიზო | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| 16. ფროზინონე | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 17. ანკონა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 18. ჩიტადელა | 5 | 1 | 2 | 2 | 1-3 | 5 |
| 19. ვიჩენცა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 20. პიზა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 21. აველინო | 5 | 0 | 2 | 3 | 5-10 | 2 |
| 22. მოდენა | 5 | 0 | 0 | 5 | 4-11 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - კ. ლუკარელი (პარმა), ტავანო (ლივორნო); 3 - ბრუნო (მოდენა), ედერი (ფროზინონე), ლოდი (ემპოლი), პიხლმანი (გროსეტო), სალვეტი (სასუოლო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატლეტიკო. მოსალოდნელი ტრანსფერი

# მანჩესტერ სიტი აგუეროს ეპატიჟება

## სერესომ არჩევანი უნდა გააკეთოს, 60 მილიონი, თუ ნიჭიერი ფორვარდი?



სერხიო აგუერო გულშემატკივართა გარემოცვაში

„დიარიო მარკა“ ტრადიციას არ ღალატობს და მოსალოდნელ ხმაურიან ტრანსფერს წინასწარმეტყველებს. მადრიდული გაზეთის მტკიცებით "მანჩესტერ სიტი" **სერხიო აგუეროთი** დაინტერესდა. დაინტერესებაცაა და დაინტერესებაც, გამოცემის ფურცლებზე ვკითხულობთ, რომ ახალგაზრდა არგენტინელი ფორვარდი ბრიტანული კლუბის უპირველესი სამიზნეა. მოგეხსენებათ, მულტიმილიარდერ **სულაიმან ალ ფაჰიმის** წყალობით "მანჩესტერ სიტი" პლანეტის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბად იქცა. როგორც მდიდარ გუნდს შეეფერება, მანჩესტერელები მსოფლიო ვარსკვლავებზე აცხადებენ პრეტენზიას. როგორც იცით, მცირე ხნის წინ ალბიონელებმა მადრიდის "რეალიდან" **რობინიო** 40 მილიონ ევროდ გადაიბირეს. აშკარაა, რომ "სიტის" მეპატრონე შემადგენლობის კიდევ უფრო გაძლიერებას გეგმავს. სერხიო აგუეროთი დაინტერესება სხვანაირად ვერ აიხსნება. "ატლეტიკოს" ფორვარდს სპეციალისტები პლანეტის ამომავალ ვარსკვლავად ტყუილად არ მიიჩნევენ. ბუნებრივია, "როხიბლანკო" ასეთ ყმაწვილს იოლად არ შეელევა. პრეზიდენტ **ენრიკე სერესოს** არაერთხელ უთქვამს, რომ აგუეროს "ატლეტიკოდან" ვერავინ წაიყვანს.

მიუხედავად ამისა, "სიტის" მესვეურები სერიოზული ბრძოლის დაწყებისთვის ემზადებიან. რა შეიძლება საფეხბურთო კლუბის საბრძოლო იარაღად მივიჩნიოთ? რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ფული. ფული კი მანჩესტერელებს მართლა არ აკლიათ. "დიარიო მარკაში" ვკითხულობთ, რომ ბრიტანული კლუბი მადრიდელ კოლეგებს სერხიოს სანაცვლოდ 60 მილიონ ევროს სთავაზობს. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ ესპანური გაზეთის სტატია არასაიმედო ფაქტებზეა დამყარებული, თუმცა ეს ასე ნამდვილად არ არის. თავად განსაჯეთ, მანჩესტერელთა დაინტერესება აგუეროს უკლებლივ ყველა მენეჯერმა დაადასტურა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით ერთ-ერთი აგენტის, **ხავიერ მატალიანასის** განცხადებას გაგაცნობთ: *"ჩემს კლიენტს ძალიან საინტერესო წინადადებით მიმართეს. არ დავმალავ, რომ მას "მანჩესტერ სიტი" თანამშრომლობას სთავაზობს. "ატლეტიკოს" მესვეურებთან ამ საკითხზე ჯერ არ გვისაუბრია, მაგრამ მათთან შეხვედრა აუცილებლად მოგვიწევს. როცა ფეხბურთელის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფაქტი ხდება, არ შეიძლება, ამის შესახებ მისი გუნდის ხელმძღვანელობას არ დაელაპარაკო. ჩემი ვარაუდით, სენიორ ენრიკე სერესო მისი ალბიონელი კოლეგების ინიციატივით კმაყოფილი არ დარჩება, თუმცა მოლაპარაკება ნებისმიერ ვარიანტში გაიმართება."*

აღსანიშნავია, რომ აგუეროს შეძენის სურვილით "ატლეტიკოსთვის" არაერთხელ მიუმართავთ. მაგალითად, გასულ ზაფხულში მადრიდელებს ლონდონის "ჩელსის" ემისრები დაუკავშირდნენ და 55 მილიონის გადახდის მზადყოფნა გამოთქვეს. კოლოსალური თანხის მიუხედავად, სენიორ სერესომ სერხიო ინგლისში არ გაუშვა. მატალიანასი მართალია, პრეზიდენტი სავარაუდოდ "სიტის" მიერ შეთავაზებული 60 მილიონითაც არ მოიხიბლება.

და მაინც, მანჩესტერელები უკან დახევას არ აპირებენ. ფეხბურთელის კიდევ ერთი აგენტი **ალბერტო ბარბერო** დაუფარავად საუბრობს და აცხადებს, რომ "ხეტაფესა" და "ატლეტიკოს" მატჩს "სიტის" ემისრები დაესწრებიან. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ისინი ფორვარდის აგენტებსაც შეხვდებიან. უდავოა, "როხიბლანკოს" კაშკაშა ვარსკვლავის შესანარჩუნებლად უშეღავათო ბრძოლის მოგება მოუწევს. საქმე ის არის, რომ აგუეროს მას მხოლოდ "მანჩესტერ სიტი" არ ეცილება. მისი გადაბირება მადრიდის "რეალსა" და "ინტერსაც" სურთ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. IV ტური

**ბარსელონა-ბეტისი 3:2**

**ბარსელონა:** ვალდესი, ალვეში, მარკესი, აბიდალი, კასერესი, კეიტა (71. გუდიონსენი), ჩავი, ინიესტა, იაია ტურე (71. ბუსკეტსი), მესი, ეტოო (77. კრკიჩი).

**ბეტისი:** კასტო, ნელსონი, ხუანიტო, ფერნანდო ვეგა, ემანა (46. დამია), არსუ, მეჰმეთ აურელიო, კაპი (86. ხუანდე), მარკ გონსალესი (40. მონსონი), ხოსე მარი, სერხიო გარსია.

**გოლები:** 1:0 ეტოო (17), 2:0 ეტოო (23), 2:1 მონსონი (59), 2:2 ხოსე მარი (67), 3:2 გუდიონსენი (80)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 18(8)-8(3); **ჯარიმა:** 11-19; **კუთხური:** 6-5; **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 70 000

**ოსასუნა-დეპორტივო 0:0**

**ოსასუნა:** რიკარდო, ხავიერ ფლანიო, როვერსიო, ნაჩო მონრეალი (11. ოიერი), მიგელ ფლანიო, პლაშილი (69. დელპორტე), პუნიალი (79. ფონტი), ნეკუნამი, ხუანფრანი, მასუდი, პორტილი.

**დეპორტივო:** არანსუბია, ლოპო, კაშმირსკი, ზე კასტრო, ლოპეს როდრიგესი, დე გუსმანი, გუარდადო, სერხიო (61. ვერდუ), ხუან როდრიგესი, ბოდიპო (77. მისტა), კრისტიანი (57. პაბლო ალვარესი).

**გაძევება:** დე გუსმანი (53. დეპორტივო)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 14(2)-5(0); **ჯარიმა:** 10-13; **კუთხური:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 16 500

**ვილიარეალი-რასინგი 2:0**

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, გონსალო, ანხელ ლოპესი, გოდინი, კაპდევილა, ეგურენი, სენა (86. ბრუნო), კასორლა, პირესი (62. იბაგასა), ლორენტე, ნიჰატი (73. არიელ ფერნანდესი).

**რასინგი:** ტონო, გარაი, კრისტიან ფერნანდესი (75. სეპსი), პინილიოსი (66. დიასი), მარკანო, ლუქსენი, გონსალო კოლსა, ვალერა, ედუ ბედია (46. ხუანხო), სერანო, ტჩიტე.

**გოლები:** 1:0 კაპდევილა (28), 2:0 ლორენტე (32)

**გაფრთხილება:** 3-5; **დარტყმა:** 7(5)-6(3); **ჯარიმა:** 3-6; **კუთხური:** 1-5; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 18 000

**ხეტაფე-ატლეტიკო 1:2**

**ხეტაფე:** იაკობო, დანიელ დიასი, ლიხტი (69. უჩე), დავიდ კორტესი, მარიო, ხუან ალბინი, ჩელესტინი, კასკერო, მანუ, გერინი (46. გრანერო), სოლდადო (69. ხაიმე გავილანი).

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, იბანიესი, პერნია, სეიტარიდისი, უიფალუში, მანიშე (16. რაულ გარსია), პაულუ ასუნსაო, სიმაო (68. მიგელ დე ლა კუევასი), ლუის გარსია (62. მაქსი როდრიგესი), აგუერო, სინამა-პონგოლე.

**გოლები:** 0:1 სინამა-პონგოლე (30), 1:1 ალბინი (75), 1:2 სინამა-პონგოლე (82)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 18(6)-10(6); **ჯარიმა:** 9-18; **კუთხური:** 7-2; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 18 000

**რეალი-სპორტინგი 7:1**

**რეალი:** კასილიასი, პეპე, ჰაინცე, მიგელ ტორესი, კანავარო, დიარა (54. ხავი გარსია), დე ლა რედი, ვან დერ ვაარტი, იგუაინი (62. სავიოლა), რაული, რობენი (68. დრენტე).

**სპორტინგი:** სერხიო სანჩესი, სოტო, კანელია, მიგელ კამარა (46. ნერუ), კოლენი, კამაჩო, მიჩელი, მატეო, სანტა სესილია გარსია (57. მორანი), მალდონადო (46. დიეგო კასტრო), ბარალი.

**გოლები:** 1:0 ვან დერ ვაარტი (18), 2:0 ვან დერ ვაარტი (33), 3:0 იგუაინი (37), 4:0 ვან დერ ვაარტი (47), 5:0 რობენი (51), 5:1 მატეო (54), 6:1 რაული (59), 7:1 რაული (64)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 16(12)-15(3); **ჯარიმა:** 14-17; **კუთხური:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 70 000

**სევილია-ესპანიოლი 2:0**

**სევილია:** პალოპი, ესკუდე, ნავარო, სკილაჩი, მოსკერა (60. ხოსე ანხელ კრესპო), მარესკა (73. რომარიჩი), დუშერი, ხესუს ნავასი, კაპელი, კანუტე (82. ჩევანტონი), ლუიშ ფაბიანო.

**ესპანიოლი:** კამენი, ხარკი, ფინენი (32. ჩიკა ტორესი), სერხიო სანჩესი, პარეხა, ანხელი, ვალდო, ოსკარ სიელვა (64. კალიეხონი), ლოლა (63. ურტადო), ლუის გარსია, ჯონათანი.

**გოლები:** 1:0 მარესკა (57), 2:0 ჩევანტონი (86)

**გაფრთხილება:** 3-6; **დარტყმა:** 19(9)-4(1); **ჯარიმა:** 16-24; **კუთხური:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 38 000

| | |
|---|---|
| მალაგა-ვალენსია | დღეს |
| მალიორკა-ნუმანსია | დღეს |
| რეკრეატივო-ბილბაო | დღეს |
| ვალიადოლიდი-ალმერია | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვილიარეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| 2. რეალი | 4 | 3 | 0 | 1 | 14-6 | 9 |
| 3. ატლეტიკო | 4 | 3 | 0 | 1 | 11-3 | 9 |
| 4. სევილია | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| 5. ბარსელონა | 4 | 2 | 1 | 1 | 10-5 | 7 |
| 6. ვალენსია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 7. ალმერია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 8. ესპანიოლი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| 9. ხეტაფე | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 10. დეპორტივო | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 11. ბილბაო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 12. ნუმანსია | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 13. ოსასუნა | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| 14. ვალიადოლიდი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 15. რეკრეატივო | 3 | 1 | 0 | 2 | 1-5 | 3 |
| 16. ბეტისი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |
| 17. მალიორკა | 3 | 0 | 2 | 1 | 1-4 | 2 |
| 18. რასინგი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| 19. მალაგა | 3 | 0 | 1 | 2 | 0-5 | 1 |
| 20. სპორტინგი | 4 | 0 | 0 | 4 | 6-8 | 0 |

რეალი

# რაული სათადარიგოთა სკამს შეგუებულია

## რაც დრო გავა, გონსალეს ბლანკოს ძირითადიდან მით უფრო ხშირად ამოაგდებენ

ბოლო დროს, ესპანური პრესის ერთ-ერთი მთავარი სასაუბრო თემა **რაულ გონსალესი** და მასთან დაკავშირებული საკითხებია. უკვე არაერთხელ გვითქვამს, რომ ჟურნალისტები გუნდის კაპიტნის ძირითადი შემადგენლობიდან შესაძლო ამოვარდნის შესახებ ღიად და დაუფარავად ლაპარაკობენ. მითქმა მოთქმამ იმდენად მასშტაბური ხასიათი შეიძინა, რომ რაულმა ავანსცენაზე გამოსვლა გადაწყვიტა. ვეტერანმა ესპანელმა "რადიო მარკას" სტუდიას მიაკითხა და ყველა საკითხზე გულწრფელად ილაპარაკა.

სტუმარს გადაცემის წამყვანმა მიკიბ-მოკიბვის გარეშე ჰკითხა, რას გრძნობთ, როცა ამბობენ, გონსალეს ბლანკოს სამეფო კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილის შენარჩუნება გაუჭირდებაო. რაულმა ჟურნალისტს ძალიან საინტერესო პასუხი გასცა: *"ეს აზრი სულაც არ არის საფუძველსმოკლებული. რაც დრო გავა, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა მით უფრო გამიჭირდება. ვფიქრობ, ეს ბუნებრივია. როცა ფეხბურთელს ასაკი ემატება, ის პოზიციებს თმობს. თავის დროზე მეც სხვის ნაცვლად დამაყენეს ძირითადში. განა ყველა პროფესიაში ასე არ არის? ხალხი მუშაობს და პროდუქტს ქმნის. ასაკის მატების შემდეგ კი პენსიაში გადის. ასეა ფეხბურთშიც, თუმცა მინდა ყველამ იცოდეს, რომ ბრძოლის შეწყვეტას არ ვაპირებ. სამეფო კლუბთან კიდევ სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. ამ ხნის განმავლობაში ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გუნდს გამარჯვებების მოპოვებაში დავეხმარო."*

ბოლო დღეების კიდევ ერთი სკანდალური თემა **დავიდ ვილიას** მადრიდის "რეალში" არშემდგარი ტრანსფერი გახლდათ. ესპანურ მედიაში დაიწერა, რომ "ვალენსიის" ფორვარდი დედაქალაქელებმა სწორედ რაულის კატეგორიული მოთხოვნის გამო არ შეიძინეს. გონსალეს ბლანკომ ამ საკითხზეც გულწრფელად ისაუბრა: *"სამწუხაროდ, მედიაში მცდარი ინფორმაცია გავრცელდა. თუ არ ვცდები, ამ თემაზე პირველად თქვენი რადიოს თანამშრომელმა ისაუბრა. ამის შემდეგ პრესაც გააქტიურდა და დიდი აჟიოტაჟი ატყდა. ეს იმდენად აბსურდული საკითხია, რომ ლაპარაკიც მიჭირს. მე ტრანსფერებს არ განვაგებ. ასეც რომ იყოს, ვილიას "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადმოსვლას არ შევეწინააღმდეგებოდი. დავიდი გენიალური ფეხბურთელია, მერწმუნეთ, მასთან ერთად ძალიან დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი."*



რაულ გონსალეს ბლანკო თადარიგში ჯდომას ეჩვევა

**ილია ნიკოლაიშვილი**

მოსალოდნელი დანიშვნა

# ვენეიბლზი ნიუკასლში?

## პოტენციური ინვესტორები კიგანის დაბრუნებას აპირებენ



ტერი ვენეიბლზის უკანასკნელი სამუშაო: ინგლისის ნაკრების მეორე მწვრთნელი

**ტერი ვენეიბლზი** "ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელობის კანდიდატია. ამ ინფორმაციას "დეილი მეილი" ავრცელებს. მხარეებს კომენტარები არ გაუკეთებიათ. ინგლისური ტაბლოიდი ტოტალიზატორებიდან მიღებულ ცნობას ეყრდნობა. ტოტალიზატორებს კი, მოგეხსენებათ, მოვლენების შეფასების გასაოცარი უნარი გააჩნიათ.

გუშინ, დღის განმავლობაში, ბრიტანეთის წამყვან კანტორებში განსაკუთრებული აჟიოტაჟი შეინიშნებოდა. მკვეთრად მოიმატა იმ ადამიანების რიცხვმა, რომლებიც ვენეიბზის "ნიუკასლში" დანიშვნაზე სოლიდურ ფსონებს დებდნენ. ბევრმა მოთამაშემ სამნიშნა თანხაც კი არ დაიშურა. რეაქციამ არ დააყოვნა. კოეფიციენტებმა ყველა ტოტალიზატორში დაიკლო.

ჯერ კიდევ 48 საათის წინ, "სქაიბეტში" კიგანის დანიშვნის ალბათობა 33/1-ზე იყო შეფასებული. გუშინ კოეფიციენტი 2/1-მდე ჩამოვარდა. "უილიამ ჰილში" 28/1-იანი კოეფიციენტი 7/2-მდე დაეცა. ჟურნალისტებმა ვენეიბლზთან დაკავშირება სცადეს. მაგრამ მწვრთნელმა პრესასთან ურთიერთობა არ ისურვა.

პარალელურად ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ "ნიუკასლის" ბოსი **მაიკ ეშლი** მზადაა, კლუბი ნიგერიულ კონსორციუმს მიჰყიდოს. "გარდიანის" მტკიცებით, აფრიკელი ბიზნესმენები 350-400 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. "გარდიანი" იმასაც გვაუწყებს, რომ გარიგების შემთხვევაში, ნიგერიელები ისევ **კევინ კიგანს** დაუკავშირდებიან.

მისტერ ტერი 65 წლისაა. მისი კარიერის საუკეთესო პერიოდი 1980-იანი წლებით თარიღდება. ვენეიბლზმა ინგლისის ნაკრები 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალშიც გაიყვანა, სადაც პენალტების სერიაში მომავალ ჩემპიონ გერმანიასთან წააგო. მისი ბოლო სამუშაოც ინგლისის ეროვნული გუნდი იყო. ის **სტივ მაკლარენის** თანაშემწედ მოღვაწეობდა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტის გამოხმაურება

# ჟოზე მოურინიო: ჩელსი და მანჩესტერი ისტორიას წერენ

## იტალიაში წასული მწვრთნელი პრემიერლიგას ყურადღებით ადევნებს თვალს

ჟოზე მოურინიო
დეილი ტელეგრაფი

**"ჩელსისა" და "მანჩესტერის" შეხვედრა კვირას გაიმართა. მატჩმა ნერვიულ გარემოში ჩაიარა. ატმოსფერო დაძაბული იყო შეხვედრის დასრულების შემდეგაც. მოქმედი ჩემპიონების ავტობუსს მავანმა ლონდონელმა ხულიგანმა შუშის ბოთლი ესროლა და ფანჯარა დაუზიანა. "არისტოკრატების" ხელმძღვანელებმა პირობა დადეს, რომ ინციდენტს გამოიძიებენ და სათანადო შეფასებას მისცემენ.**

**ჟოზე მოურინიო "დეილი ტელეგრაფში" კვირაში ერთ სვეტს ინგლისურ ფეხბურთზე წერს ხოლმე. გთავაზობთ პორტუგალიელი მწვრთნელის მოსაზრებას გრანდების მატჩზე. ის იხსენებს აჟიოტაჟს, რაც მისი "ჩელსისა" და ფერგიუსონის "იუნაიტედის" მატჩებს ახლდა ხოლმე, ავლებს პარალელს მილანურ დერბისთან, რომელიც მას დღე-დღეზე, 28 სექტემბერს ელის, აცხადებს, რომ თავს ალექს ფერგიუსონის მეგობრად მიიჩნევს და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მას ლონდონური კლუბის "წმინდანთა პანთეონში" ადგილი გარანტირებული აქვს...**

"ამ შეხვედრას ვერ ვუყურე, რადგან ამ დროს "ინტერი"-"ტორინო" მიმდინარეობდა, ამიტომ მხოლოდ მატჩის საუკეთესო მომენტები ვნახე. ასეთი დონის მატჩების გამოტოვება არ შეიძლება.

მზადება ასეთი შეხვედრებისთვის ყოველთვის დაძაბულია. როცა ამას ვამბობ, ვიღაცის მიერ ნათქვამსა და ყურმოკრულს არ ვიმეორებ. ამ დღეებში თავად დავიწყებთ მილანური დერბისთვის მზადებას. აშკარად ვატყობ, რომ ფეხბურთელები ამ შეხვედრის მოლოდინით ცხოვრობენ, ხოლო ქალაქში განსაკუთრებული აჟიოტაჟი შეინიშნება. დარწმუნებული ვარ, იგივე მოხდებოდა ლონდონშიც.

ყველას რალაც სასიამოვნოს მოლოდინი აქვს, გარდა მწვრთნელებისა, მაგრამ ყოველთვის ისე ხდება, რომ ემოციებს არც ისინი გამოხატავენ და გარეგნულად მშვიდად გამოიყურებიან – თავკაცებს საკუთარი როლი დიდი ხანია შესწავლილი აქვთ.

ფერგიუსონთან დუელს მუდამ განსაკუთრებულად ველოდი ხოლმე, დარწმუნებული ვარ, დაპირისპირებებით ორივე მხარე დიდ სიამოვნებას ღებულობდა. პირისპირ ჩვენ ყველა ტურნირში ვმდგარვართ, მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაში არ გველირსა შეყრა: ინგლისის თასი, ლიგის თასი, ინგლისის სუპერთასი და რა თქმა უნდა, ჩემპიონატი. ერთმანეთზე გასახსენებელი ძალიან ბევრი გვაქვს. ერთმანეთს საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობდით, ამიტომ სამი სეზონის განმავლობაში ჩვენი ურთიერთობები არ შეცვლილა. მე და ფერგი ერთმანეთს განსაკუთრებულად დიდ პატივს ვცემთ. ჩვენ მეგობრები ვართ. ვინ იცის, იქნება სწორედ წელს მოხდეს ის, რაც ორივეს ადრე ასე ძალიან გვინდოდა – დაპირისპირება ჩემპიონთა ლიგაში.

სერ ალექსი დიდი ხანია, აღარ მინახავს. მართალია, ნიონში გამართულ მწვრთნელთა კონგრესზე მონაწილეობა ორივემ მივიღეთ, მაგრამ მე მხოლოდ პირველ დღეს დავესწარი და ის - მეორეს. მერე რა, რომ ჩვენ დიდი მანძილი გვაშორებს? მთავარია, რომ ერთმანეთს მხოლოდ სიკეთეს ვუსურვებთ.

შეიძლება სერ ალექსს კიდევ ერთი სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდეს პრემიერლიგაში, თანაც მისსავე ქალაქში. არაბული კომპანიის მიერ "სიტის" ყიდვამ დიდი ხმაური გამოიწვია, ზუსტად ისეთი, რაც თავის დროზე რომან აბრამოვიჩის მიერ "ჩელსის" ყიდვამ. ზუსტად ანალოგიური რეაქცია იყო ხუთი წლის წინაც საზოგადოებაში. როცა მილიარდერების მიერ გუნდების ყიდვაზე ლაპარაკობენ ხოლმე, ყოველთვის ავიწყდებათ, რომ ამას ისინი ფულის საშოვნელად არ აკეთებენ, ეს ყველაფერი ფეხბურთის სიყვარულის გამო კეთდება. აბრამოვიჩმა როცა ეს ნაბიჯი გადადგა, ამით სურდა, რომ რალაც განსაკუთრებული, გრანდიოზული პროექტის ავტორი ყოფილიყო და მან ეს გააკეთა. მან გუნდს 50 წლის შემდეგ ჩემპიონობა დაუბრუნა. ამბიცია ეს დიდებული "გამოგონებაა"! რომანი მუდამ იყო ფეხბურთის გულშემატკივარი და ემოციებიც მასში მუდამ დუღდა. უშვებდა თუ არა შეცდომებს? რა თქმა უნდა! გააკეთა თუ არა დიდი საქმე? თავისთავად! მიაღწევს თუ არა იმას, რისკენაც ისწრაფვის? ეჭვიც არ მეპარება. ეს ფეხბურთია და მასში შეცდომებს ისიც უშვებდა და მეც. სწორ ნაბიჯებს მეც ვდგამდი და ისიც. რეალობაა ასეთი: გინდა თუ არა, ზეწოლა ძალიან ძლიერია და ის შენზე მუდამ მოქმედებს. რობინიოს ყიდვით "სიტიმ" ჩემი ყოფილი გუნდი დუელში გამოიწვია და თუკი მათ ეყოფათ ნერვები, ვნება და მიზანდასახულობა, თავისას ისინიც მიაღწევენ. რალაც მომენტში ლონდონში თქვეს: "ჩვენ არ გვინდა მათთან ომი, ამიტომ ბრძოლის ველს ვტოვებთ." მაგრამ ეს მათი დაპირისპირების პრობლემა უფროა, ვიდრე ფეხბურთის. ერთის აღნიშვნაც აუცილებელია: ყველაზე სასიამოვნო რამ ცხოვრებაში არის მომენტი, როცა საკუთარ ნახელავს უყურებ და შედეგებით ტკბები. მაგალითად, კობემის საწვრთნელი ბაზა ავილოთ. რომანმა ამ ბაზის კეთილმოსაწყობად ძალიან დიდი თანხა დახარჯა, რაც ოცნებების იდეალური ხორცშესხმა და ჭეშმარიტად შეუფასებელი საქმე გახლავთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაგებობა ათეულ წლებზეა გათვლილი და ის ერთნაირად გამოადგებათ როგორც მოქალაქეებს, ისე პატარა ბავშვებს.



ჟოზე მოურინიო და ალექს ფერგიუსონი

ახლანდელ გუნდს გადავხედოთ. რამდენია იქ ჩემი მიყვანილი? ორი კარგი ფეხბურთელის გარდა (დეკუ, ბოსინგვა) ყველა. დანარჩენი შემადგენლობა უცვლელია. დიახ, ჩემს დროს დიდი ფული იხარჯებოდა, მაგრამ ძირითადად გუნდის ასაშენებლად. ესიენი, დროგბა, ჩეხი – ეს ფეხბურთელები გუნდს კიდევ დიდი ხანი გამოადგებიან. ასე რომ, "არისტოკრატებს" მეორე პლანზე გადანაცვლება არ ემუქრებათ. ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის წინ გუნდს წარმატებები ვუსურვე, რადგან კარგად ვიცი, რამდენად უნდათ ფეხბურთელებს ამ ტიტულის მოგება. მოსკოვში "ჩელსის" "მანჩესტერმა" მოუგო. ამიერიდან, ამ გუნდების ყველა მატჩი განსაკუთრებით დაძაბული იქნება."

**შალვა ბიბილაშვილი**

იუვენტუსი

# დავიდ ტრეზეგე ოთხ თვეს დაისვენებს

## შანსი სებასტიან ჯოვინკოს




დავიდ ტრეზეგე

ტურინის „იუვენტუსმა" სეზონი წარმატებით დაიწყო. სერია A-ში სატურნირო ცხრილის ერთ-ერთი ლიდერია, ჩემპიონთა ლიგაში კი პირველი სამი ქულა მიიწერა აქტივში. გემახსოვრებათ, **კლაუდიო რანიერის** გუნდმა საკუთარ კედლებში კერკეტი „ზენიტი" დაამარცხა, 1:0.

მთლიანობაში „იუვეს" თამაშს იტალიელი ექსპერტები ერთმნიშვნელოვნად დადებითად აფასებენ და აღნიშნავენ, რომ რანიერი ეტაპობრივად, მიზანმიმართულად აბრუნებს გუნდს ძველ სიმაღლეზე. სიტუაციის ფორსირება საჭირო ნამდვილად არაა, მილიონების ფანტვა და ექსტრაკლასის ვარსკვლავების ყიდვა გუნდს მომავალში შეიძლება ძვირად დაუჯდეს, რადგან ფინანსებს მოფრთხილება სჭირდება - რანიერისეული გეგმა კი ამ გადასახედიდან იდეალური მოჩანს. გუნდისგან არავინ ითხოვს ამ სეზონში უმაღლესი მწვერვალების დაპყრობას და საქმეს ესეც აადვილებს, გუნდის ხელმძღვანელებს მშვიდად შეუძლიათ თავისი ხანგრძლივვადიანი გეგმა განახორციელონ.

თუმცა ამ გზაზე პრობლემები რომ იქნება, ესეც ცხადია. გამომდინარე არც თუ დიდი სათადარიგო სკამიდან, ნებისმიერი ფეხბურთელის ტრავმა ტურინული კლუბისთვის ორმაგად მტკივნეულია. გუშინ კი იტალიურ პრესაში „იუვენტუსის" გულშემატკივართათვის მეტად არასასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა. „ზენიტთან" შეხვედრაში დაშავებული **დავიდ ტრეზეგე** მოედანს მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ დაუბრუნდება. აღნიშნული დასკვნა ბებერი ქალბატონის ექიმებმა გამოიტანეს. აქვე, „იუვენტუსის" სამედიცინო შტაბის უფროსის, **ჯულიანო ჩერულის** სიტყვებს გაგაცნობთ: *„ტრავმა იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ვფიქრობდით. ტრეზეგეს მარცხენა ფეხზე ჯვარედინი მყესი გაუწყდა, რაც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. ოპერაცია სასწრაფო წესით ჩავუტარეთ, პროცესი საათზე მეტხანს გაგრძელდა და წარმატებით დასრულდა. ახალა, ის დროა დავიდმა სამედიცინო შტაბის ხელში გადმოინაცვლოს და ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ გაიაროს სარეაბილიტაციო კურსი".*

ტრეზეგეს ტრავმამ ტურინული კლუბის მთავარი მწვრთნელი, კლაუდიო რანიერი ძალზედ დაამწუხრა, აქვე მის კომენტარსაც გთავაზობთ: *„რა უნდა ვთქვა, ძალიან ცუდი ამბავია, თუმცა ვერაფერს შევცვლით. ტრეზეგეს იმედი არ დამიკარგავს და მის გამოჯანმრთელებას მოუთმენლად დაველოდებით. იქამდე კი მის გარეშე მოგვიწევს ფონს გასვლა. ფრანგის არყოფნაში მეტი დრო მიეცემათ ვინჩენცო იაკვინტას და სებასტიან ჯოვინკოს, იმედი მაქვს, ჩემს ნდობას ბოლომდე გაამართლებენ. ბევრი მოგვიწოდებდა ჯოვინკოს განათხოვრებას, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ. სებასტიანის სამომავლოდ დიდად გვეიმედება. წინ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, ამ გზაზე თითოეულ ფეხბურთელს თავისი როლი აქვს და ყველამ ჩვენ-ჩვენი საქმე ხუთიანზე უნდა ვაკეთოთ. „იუვეს" მიზანი ყველა ფრონტზე წარმატებით თამაშია, რაც შეიძლება შორს უნდა წავიდეთ ჩემპიონთა ლიგაში და მჯერა, დასახულ ამოცანებს თავს გავამრთმევთ".*

**ლაშა წიკლაური**

სკანდალი

# ვესტ ჰემი 30 მილიონს აპროტესტებს

## ლონდონელებს შეიძლება საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვა მოუხდეთ...

"ვესტ ჰემი" სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს, რომელმაც ლონდონურ კლუბს "შეფილდ იუნაიტედის" სასარგებლოდ 30 მილიონი გირვანქის გადახდა დააკისრა. მიზეზი 2006-07 წლების სკანდალია. მოგეხსენებათ, "ჩაქუჩებმა" აღიარეს, რომ არგენტინელი თავდამსხმელის, **კარლოს ტევესის** ტრანსფერი წესების დარღვევით განახორციელეს. ამის გამო გასულ ზაფხულს კლუბს 5.5 მილიონი გირვანქის გადახდა მოუხდა. ინგლისის პრემიერლიგას არსებობის განმავლობაში ამხელა სასჯელი არავისთვის დაუკისრებია. ახლა კი ირკვევა, რომ ეს არაფერია იმ თანხასთან შედარებით, რომლის გადახდასაც საერთაშორისო სასამართლო ითხოვს.

2007 წლის მაისში "შეფილდ იუნაიტედმა" ბოლოდან მესამე ადგილი დაიკავა და პრემიერლიგიდან გავარდა. "ვესტ ჰემმა" მას ერთი ადგილითა და სამი ქულით გაუსწრო. ლონდონელები დაქვეითებას სასწაულს უნდა უმადლოდენ, სასწაულს და კარლოს ტევესს, რომელმაც ბოლო ტურებში ხუთი გოლი გაიტანა და ფაქტობრივად, პირადად უზრუნველყო "ვესტ ჰემის" ელიტაში დარჩენა. შეფილდელებმაც სწორედ ეს გაასაჩივრეს.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ტევესის ტრანსფერი რეგისტრაციაში არ უნდა გატარებულიყო. ესე იგი, არგენტინელს ჩაქუჩების შემადგენლობაში არ უნდა ეთამაშა. თუ არ ითამაშებდა, არც იმ ხუთ გოლს შეაგდებდა. "ვესტ ჰემი" "შეფილდ იუნაიტედზე" სამი ქულით მეტს ვერ დააგროვებდა და სწორედ ის მიაშურებდა ქვედა ლიგას. ამ გუნდებს თანაბარი ქულებიც რომ დაეგროვებინათ, მაინც „ვესტ ჰემი" ვარდებოდა, რადგან მას ბურთების უარესი ბალანსი ჰქონდა.

შეფილდელთა არგუმენტი სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია. "ვესტ ჰემი" 30 მილიონს კომპენსაციას გადაიხდის იმის გამო, რომ პრემიერლიგას „შეფილდ იუნაიტედი" დაემშვიდობა და არა თვითონ ის. "ჩაქუჩები" შეეცდებიან, დაამტკიცონ, რომ მათი გადარჩენა მარტო ტევესის დამსახურება არ ყოფილა. რომ ისინი კარლოსის გარეშეც შეძლებდნენ სახიფათო ზონიდან ამოსვლას. შეფილდელები სასამართლოს ვერდიქტით, რა თქმა უნდა, კმაყოფილები არიან, მაგრამ არ მალავენ, რომ მათ მორალურ ზარალს ვერავითარი მილიონები ვერ აანაზღაურებს.

თუ განაჩენი ძალაში დარჩება, "ვესტ ჰემს" ფინანსური პრობლემები ელოდება. კლუბს თანხის ერთი ნაწილის მოგროვება, შესაძლოა, საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვით მოუხდეს. რიგში დგანან თავდამსხმელი **დინ ეშტონი**, მცველი **მარკ ნობლი**, მეკარე **რობ გრინი** და ნახევარმცველი **სკოტ პარკერი**. **ჯანფრანკო ძოლას** იმედი აქვს, რომ შემადგენლობის გადახალისება არ მოუწევს. ლონდონელებს ამ ფაქტთან დაკავშირებით საჯარო კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.

**შალვა ბიბილაშვილი**



კარლოს ტევესი

ინტერვიუ სილვიო ბერლუსკონისთან

# ინტერთან გამარჯვება ღირსების საქმეა



სილვიო ბერლუსკონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სილვიო ბერლუსკონი „მილანს" 1986 წელს ჩაუდგა სათავეში და გუნდს უდიდესი წარმატებებისკენ გაუძღვა. მისი პრეზიდენტობის დროს „როსონერიმ" უამრავი ტიტული მოიგო და მსოფლიოს უძლიერეს გუნდთა შორის ღირსეული ადგილი დაიკავა. მარტო ის რად ღირს, რომ დონ სილვიოს ეპოქაში „მილანმა" ხუთი ჩემპიონთა თასი მოიპოვა. 28 სექტემბერს სან სიროზე დიდი მატჩია, იტალიის ჩემპიონატის მე-5 ტურში ერთმანეთს „მილანი" და „ინტერი" დაუპირისპირდებიან. აღნიშნულ პაექრობაზე აპენინებზე უკვე ბევრს საუბრობენ და რა გასაკვირია, რომ „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი ინტერვიუს ასაღებად ბერლუსკონის ესტუმრა. დონ სილვიომ სხვა თემებზეც ისაუბრა.**

**- 28 სექტემბერს მილანური დერბია, რას ელით ამ მატჩისგან?**

- სამ ქულას. გუნდის მიზანი ქულების მოგროვებაა, თუმცა იმის მტკიცება, რომ ეს რიგითი მატჩი იქნება, სისულელეა. ციდან ჩამოფრენილი არ ვარ და ზღაპრების მოყოლას არ დავიწყებ, „ინტერთან" პრინციპული პაექრობა გველის, რომლის მოგებაც ღირსების საკითხია. ასე რომ, ეს სამი ქულა სხვანაირად ფასობს.

**- ამასთან, თქვენ ყოველთვის აღნიშნავდით, რომ „ინტერს" მტრად არ მიიჩნევთ, პირიქით, ამ გუნდზე გული შეგტკივათ.**

- დიახ, ეს ასეა. მამაჩემი ყოველთვის მეუბნებოდა, რომ „მილანის" შემდეგ „ინტერისთვის" უნდა მექომაგა, რადგან ეს გუნდიც ჩვენი ქალაქის სახელს იცავს. „ინტერნაციონალეს" განსაკუთრებით ევროასპარეზზე ვგულშემატკივრობ, რადგან იქ ჩვენ პირდაპირი კონკურენცია არ გვაქვს. საერთოდ, ევროპაში ყველა იტალიური გუნდი ჩემთვის მშობლიურია.

**- წელს რისი იმედი უნდა გვქონდეს ჩემპიონთა ლიგაში, მაშინ, როცა იქ „მილანი" არ თამაშობს?**

- იტალიური ფეხბურთისთვის „მილანის" ლიგაში ვერმოხვედრა დიდი დანაკლისია, თუმცა ჩვენ ჩვენს სიტყვას უეფაზე ვიტყვით. ლიგაზე კი, ისევ და ისევ „ინტერის" იმედი მაქვს, მორატის გუნდი დღითიდღე ძლიერდება. მომწონს ახალი „იუვენტუსი" და „ფიორენტინა", ტრადიციულად ძლიერია „რომა", მიუხედავად იმისა, რომ სასტარტო მატჩში მწარე მარცხი ინვნია.

**- დავუბრუნდეთ დერბის, რა არის საჭირო ამ მატჩის მოსაგებად?**

- მთავარია, ფეხბურთელები ბოლომდე დაიხარჯონ. ამ შეხვედრაში გული და სული უნდა ჩადონ და ასეთ შემთხვევაში მოიგებენ კიდეც. გულშემატკივარს სურს მებრძოლი, ენთუზიაზმით აღსავსე „მილანი" იხილოს და მოთამაშეებმა ეს კარგად უნდა გააცნობიერონ. დანარჩენს ანჩელოტი გადაწყვეტს. დღეს რამდენიმე ფეხბურთელი ფორმაში არაა, ალბათ იმათ უნდა დავეყრდნოთ, ვინც საუკეთესო კონდიციასთან ახლოსაა.

**- რა მოგეწონათ ყველაზე მეტად „ლაციოსთან" თამაშში?**

- თითქმის ყველაფერი, განსაკუთრებით გოლები. ოთხივე გოლი ფანტასტიკური იყო. ძამბროტამ და კაკამ სუპერდარტყმები განახორციელეს, პატოში კი ახალი ნიჭი აღმოვაჩინე, არ მეგონა, თავით თუ ასე კარგად თამაშობდა. ძალიან მომეწონა ბორიელო, მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა და დაგვარწმუნა, რომ მისი დაბრუნებით სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ.

**- ჯილარდინო „ფიორენტინაში" შესანიშნავად თამაშობს, რა უშლიდა ხელს „მილანში"?**

- ძნელი სათქმელია, ალბათ გრანდში თამაში სხვა დატვირთვას ითხოვს და ალბერტომ ამას ვერ გაუძლო. ჯილარდინო ძალიან კარგი ფეხბურთელია, მას ყოველთვის ვაფასებდი და მომავალშიც ვუგულშემატკივრებ. გამიხარდება, თუ „ფიორენტინაში" საკუთარ თავს იპოვის და სერია A-ს ბომბარდირთა დავაში კვლავაც მოწინავე პოზიციებზე იქნება. დასაწყისი მართლაც კარგი გამოუვიდა.

**- მილანური დერბის თემას ასე მარტივად ვერ ამოვწურავთ. მაინც მინდა გკითხოთ, რომელი ფეხბურთელების ნახვას ისურვებდით სასტარტო შემადგენლობაში?**

- ასე ვიტყოდი, იმ ფეხბურთელებს ვისურვებდი ძირითადში, ვისაც კარლო ანჩელოტი დააყენებს. ასე რომ, ჩემი სურვილი ახდება. კარლეტოს ბოლომდე ვენდობი და დარწმუნებული ვარ, სწორ არჩევანს გააკეთებს. დღეს მან უკეთ იცის, ვინაა სასურველ ფორმაში და ვის უკეთ შეუძლია „ინტერთან" დაპირისპირება. ისე კი ვფიქრობ, რომ კაკას სასტარტოში ყოფნა უალტერნატივოა, რიკი ფორმაში შევიდა და ეს „ლაციოსთანაც" დაგვანახვა.

**- ანჩელოტის რომ ენდობით, გასაგებია, თუმცა იმასაც ხშირად ამბობენ, მწვრთნელი ბერლუსკონის მითითებებით ათამაშებს გუნდსო.**

- მითითება, ბრძანება და მოწოდება სრულიად უადგილო სიტყვებია და საწყენია, რომ ჩემი და ანჩელოტის ურთიერთობაზე საუბრისას თუ წერისას ხშირად ამ სიტყვებს იყენებენ. იყო დრო, როცა „მილანისთვის" დრო მქონდა, უფრო მეტად ჩახედული ვიყავი გუნდის შიდა სამზარეულოში, წარმოდგენა მქონდა თითოეული ფეხბურთელის სათამაშო კონდიციაზე და ბუნებრივია, ხანდახან კარლეტოს გარკვეულ რჩევებს ვაძლევდი. ვიმეორებ, ეს იყო რჩევა და არა მითითება. დღეს ამის უფლებასაც არ ვაძლევ საკუთარ თავს, რადგან ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახლავართ და გადატვირთული გრაფიკის გამო გუნდზე ნაკლები ინფორმაცია მაქვს. დღეს, როგორც რიგითი გულშემატკივარი, მხოლოდ ტრიბუნიდან ან ტელევიზიის საშუალებით ვხედავ „მილანს".

**- ასეთი სტარტის მიუხედავად გჯერათ, რომ „მილანი" სკუდეტოს მოიგებს?**

- გუნდს ყველა ფრონტზე გამარჯვება დავუსახეთ მიზნად და დარწმუნებული ვარ, ამ ტროფეებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჯერ მხოლოდ ჩემპიონატის სტარტია, მთელი პირველობა წინაა და ვითარების გამოსასწორებლად უამრავი შანსი გვექნება. პირველი ნაბიჯი „ლაციოსთან" გამარჯვებით უკვე გადავდგით. იმედი მაქვს, ამ დიდ გზაზე ფორტუნაც ჩვენს მხარეს იქნება.

**- რას ფიქრობთ შევჩენკოზე, შეძლებს ძველი ფორმის დაბრუნებას?**

- ვხედავ, რა ენთუზიაზმით ვარჯიშობს და თამაშობს. არ შეიძლება, ამან შედეგი არ გამოიღოს. „ციურიხთან" ანდრეის ასპარეზობით ძალიან კმაყოფილი დავრჩი, ძველი შევჩენკო გამახსენდა და დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში კიდევ უკეთესად ათამაშდება.

**- „ჩელსიში" გადასვლით შეცდომა დაუშვა?**

- ადამიანები საკუთარ ბედს თვითონ წყვეტენ და ანდრეიმ ის გააკეთა, რაც სურდა. ეს კითხვა თავად შევჩენკოს უნდა დაუსვათ. თუ თვითონ კმაყოფილია ლონდონში გატარებული წლებით, მე რა უფლება მაქვს, მის ამ გადაწყვეტილებას შეცდომა ვუწოდო?! ისე კი, სუფთა საფეხბურთო თვალსაზრისით, ორი აზრი არ არსებობს, რომ ნაბიჯი უკან გადადგა და სწორედ ახლა ცდილობს ძველი პოზიციების დაბრუნებას. მას სურს, მსოფლიომ ისევ მრისხანე შევჩენკო იხილოს და იმედი გვაქვს, მიზანს მიაღწევს.

**- „ჩელსი" კაკასაც გეცილებოდათ, ამ ზაფხულს ბრაზილიელში 150 მილიონს იძლეოდნენ. ერთი წუთითაც არ გიფიქრიათ მისი გაყიდვა?**

- რა თქმა უნდა, არა. კაკას გაყიდვა უდიდესი სისულელე იქნებოდა, რადგან აღებულ თანხას უფრო კანონზომიერად ვერ დავხარჯავდით. კაკა აუნაზღაურებელი ფეხბურთელია და თუ ამბიციები გაქვს, მაშინ ის არანაირ ფასად არ უნდა გაყიდო. ამ ზაფხულს რონალდინიოსა და შევჩენკოს გადმობირებაზე ვმუშაობდით, ჩვენი მიზანი გუნდის გაძლიერება გახლდათ და კაკას გაყიდვით ყველაფერი წყალში იყრებოდა. მართალია, ლიგაში ვერგასვლით დიდი ფინანსური ზარალი ვნახეთ, მაგრამ „მილანი" ისე არ დაეცემა, ფულის გამო ფეხბურთელებს შეელიოს.

**- რას ფიქრობთ ჟოზე მოურინიოზე?**

- არაფერს, საერთოდ არაფერს. ეს კითხვა რამდენჯერმე დამისვეს და ყოველთვის ერთსა და იმავეს ვპასუხობ. პორტუგალიელს არ ვიცნობ და ბუნებრივია, სათქმელიც არაფერი მაქვს. შედეგები აქვს, წარმატებული სპეციალისტია, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. ყველა წარმატებულ მწვრთნელზე ჩემს აზრს ვერ გამოვხატავ.

**- მორატიმ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა „ინტერის" მწვრთნელად დანიშნა?**

- ამას დრო გვიჩვენებს. მხოლოდ შედეგები გასცემს თქვენს კითხვას პასუხს.

**- დაბოლოს, უეფას თასზეც ვთქვათ. რა მოტივაცია უნდა ჰქონდეთ „მილანის" ვარსკვლავებს ამ ტურნირში სათამაშოდ?**

- „მილანს" უეფას თასი სჭირდება და ეს ფეხბურთელებს გაცნობიერებული აქვთ. აღნიშნული ტურნირი გუნდს არასდროს მოუგია და დიდი სურვილი მაქვს, ნავსი ამ სეზონში გავტეხოთ. სიმართლე გითხრათ, აღარც მჯეროდა, რომ ოდესმე კიდევ მოგვიწევდა ამ გათამაშებაში ასპარეზობა. რადგან ეს მოხდა, თასი უპირობოდ უნდა მოვიგოთ.

მოამზადა
ლაშა წიკლაურმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე

# მაგარი კაცი: WESTERMANN, BESTER MANN!

## მცველი, რომელიც გაფრინდა და გააფრინა: 8 თამაში, 6 გოლი, 3 პასი...

2008/2009 წლების სეზონი. ბუნდესლიგაში: 5 მატჩი, 3 გოლი, 1 საგოლე პასი! გერმანიის თასზე: 2 მატჩი, 2 გოლი, 1 საგოლე პასი. უეფას თასზე: 1 მატჩი, 1 გოლი, 1 საგოლე პასი. სულ ამ სეზონში: 8 მატჩი, 6 გოლი, 3 პასი...

ალბათ ფიქრობთ, რომ რომელიმე სუპერთავდამსხმელზე ან მაქსიმუმ კარგ ფლეიმეიქერზე ვლაპარაკობთ, რომელსაც სეზონის სტარტზე ყველაფერთად ერთად, მაგრადაც გაუმართლა. არა! რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ლაპარაკია ნომინალურ მცველზე, რომელიც ერთი წლის წინ „შალკეს" სათადარიგოთა სკამს ხეხავდა, უფრო ადრე კი ბილეფელდის „არმინიას" დაცვაში იდგა. რა გოლები, რის პასები – ის ერთი ნორმალური მცველი იყო, რომელიც „შალკეს" ხელმძღვანელებმა თავის დროზე იმ მიზნით შეიძინეს (2.8 მილიონ ევროდ), **მარსელო ბორდონს** ან **მლადენ კრსტაიჩს** რამე რომ დამართოდათ, გუნდს სტაბილური მცველი დასჭირდებოდა, რომელიც ერთ-ერთ მათგანს ნორმალურად შეცვლიდა.

ზაფხულში „შალკეს" მთავარ მწვრთნელად **ფრედ რუტენი** დაინიშნა და ამ კაცმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სიახლეების აღმოჩენის იშვიათი ნიჭი აქვს. ნომინალური მცველი, რომელიც სათადარიგო სკამისთვის იქნა შეძენილი და რომელსაც დაცვის ცენტრის გარდა, დაცვის ფლანგებზე თამაშიც შეეძლო, როცა საჭირო გახდა, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გაამწესა. და აი, სწორედ აქ იწყება ყველაზე საინტერესო!

მისი გვარი უკვე ძალიან ხშირად, მეტიც, ზედმეტად ხშირად ჩნდება გოლების ავტორთა ჩამონათვალში. გნებავთ ბუნდესლიგაში, გნებავთ უეფას თასზე თუ გერმანიის თასზე – **ჰაიკო ვესტერმანი** მოედანს უგოლოდ აღარ ტოვებს. ასე მოხდა სამშაბათსაც: „შალკე" გერმანიის თასის მეორე ეტაპზე „ჰანოვერს" ეთამაშებოდა, გელზენკირხენელებმა 2:0 მოიგეს. და ვინ გაიტანა ეს გოლები? **კევინ კურანიმ**? სად შეუძლია! **ჯეფერსონ ფარფანმა**? არა! **ივან რაკიტიჩმა**? ისევ შეგეშალათ. მაშ, ვინ ოხერმა, ნუთუ **ჯერალდ ასამოამ**? კარგი, რა! ვაჰ, **კობიაშვილმა**? ეჰ, სკამი ახეხვინეს. და ვინ?

ჰაიკო ვესტერმანმა! ნომინალურმა მცველმა, რომელიც ნახევარდაცვაში გადაწიეს... დუბლი შეასრულა!

25 წლის ფეხბურთელი რუტენის ხელში მართლაც აფეთქდა. გოლები ადრეც გაუტანია, მაგალითად შარშან, ჩემპიონთა ლიგაში, როცა **კრისტიან პანდერი** დაშავებული იყო და მარცხენა მცველის პოზიციაზე ათამაშებდნენ. ფლანგს გაარღვევდა, ყველას ჩაუქროლებდა, მერე ცენტრალურ ნახევარმცველთან კედელს გაითამაშებდა და საჯარიმოს გარედან აუღებელს დაარტყამდა. და რაც ყველაზე მთავარია, სადაც გინდა, ათამაშე: ცენტრალური მცველი, ფლანგის მცველი, საყრდენი ნახევარმცველი, ფლანგის ნახევარმცველი... თავდამსხმელობა ჯერ არ უცდია, მაგრამ განა ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ეს საქმე ცუდად გამოუვა? რა თქმა უნდა, არა! ბავშვობაში, როდესაც ალცენაუს „ბაიერნის" ღირსებას იცავდა, სწორედ ფორვარდი გახლდათ და მაშინ უფრო მეტი გოლი გაჰქონდა.

მცველობა კი მაშინ დააწყებინეს, როცა პროფესიონალი ფეხბურთელი გახდა და „ფიურტში" ჩაირიცხა. ბილეფელდშიც, სადაც 2 წელი გაატარა (2005-2007) ცენტრალური მცველი იყო. თუმცა ამით მისი საგოლე ალღო არ დაჰქვეითებია, არც მის მრავალმხრივობას მისდგომია ჩრდილი. გასულ სეზონში, როგორც გითხარით, „შალკეს" დაცვის მარცხენა ფლანგზე **პანდერი** შეცვალა. ზაფხულში, როცა **რაფინია** ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობდა, მარჯვენა მცველი გახლდათ. **ენგელაარი** დაშავდა და საყრდენი შუამარბის პოზიციაზე დადგა. დადგა და მერე როგორ! აღსანიშნავია, რომ ვესტერმანი ორივე ფეხით შესანიშნავად თამაშობს. ამავდროულად, სწრაფია, ტექნიკური, მონდომებული, აქვს ჩინებული საგოლე ალღო და მეორე სართულზეც ძალიან კარგად გამოიყურება. მაგალითები გსურთ?



ჰაიკო ვესტერმანი, შალკეს ახალი ლიდერი?

მეორე ტური, „ვერდერი"-„შალკე" (1:1): პანდერის კუთხურის შემდეგ **ჰიოვედესი** თავით ურტყამს, ვესტერმანი ბურთს ადგილზე ხვდება და მიმართულებას კარისკენ უცვლის.

მესამე ტური, „შალკე"-„ბოხუმი" (1:0): მარჯვენა ფლანგიდან რაფინია აწოდებს, ვესტერმანი ბურთს ადგილზე ხვდება, საჰაერო ორთაბრძოლას იგებს და თავით გამარჯვების გოლი გააქვს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ლიხტენშტაინში (6:0): ვესტერმანის პირველი გოლი გერმანიის ნაკრების მაისურით. **მარკო მარინის** მიერ ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ ჰაიკო საჰაერო ორთაბრძოლაში ყველას ჯობნის და ბუნდესგუნდში პირველი გოლი გააქვს – ამჯერად ისევ მცველის რანგში.

მეოთხე ტური, „დორტმუნდი"-„შალკე" (3:3): ვესტერმანი ისევ ნახევარდაცვაში. „ბორუსიის" მაღალ მცველ **ნევენ სუბოტიჩს** საჰაერო ორთაბრძოლას უგებს და გააქვს გოლი, რის შემდეგაც ანგარიში 3:0 ხდება „შალკეს" სასარგებლოდ.

უეფას თასის მატჩი ნიქოზიაში (4:1): 25 წლის ვესტერმანს გოლი ამჯერად შორი დისტანციიდან (18 მეტრი) გააქვს.

*„შალკეში" ძალიან ბევრ ფეხბურთელს აქვს პროგრესი, ბევრის წინ გადადგმული ნაბიჯი დავინახე, მაგრამ ჰაიკოს პროგრესი უდიდესია,"* – აცხადებს რუტენი.

გამორიცხული არ არის, რომ ვესტერმანის ასეთმა აფეთქებამ თვით **ორლანდო ენგელაარსაც** შეუქმნას პრობლემები. თუმცა ენგელაარი რუტენის „კაცია" და რაკი ვესტერმანმა ნახევარდაცვაში ასე გაამართლა (ამას გამართლებაც აღარ ჰქვია, ეს რაღაც უფრო მეტია), სხვა ნახევარმცველები სათადარიგოთა სკამზე ჯდომისთვის არიან განწირულები. არადა, „შალკეს" საკმაოდ ბევრი ნახევარმცველი ჰყავს: **ფაბიან ერნსტი, კარლოს გროსმიულერი, ალბერტ შტრაიტი, გუსტავო ვარელა**, ლევან კობიაშვილი, **ზე რობერტო**... ერთი სიტყვით, ვესტერმანის განახევარმცველების შემდეგ გელზენკირხენული კლუბის ნახევარდაცვაში არსებული უდიდესი კონკურენცია კიდევ უფრო გაიზარდა.

*„მწვრთნელი ფიქრობს, რომ ნახევარდაცვაში ყველაზე მეტი სარგებლის მოტანა შემიძლია. მთავარია, ცენტრში ვითამაშო და თანაც, ნახევარდაცვიდან მეტოქის კარი უფრო ახლოსაა, ვიდრე დაცვიდან,"* – ამბობს ვესტერმანი, რომელსაც მადა აშკარად მოემატა და უკვე ყველა მატჩში გოლების გატანაზე ფიქრობს. თუმცა ჰაიკოს ამ სეზონში მცირე ჩავარდნაც ჰქონდა: გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში, ფინეთთან (3:3) ძალიან ცუდად ითამაშა და „კიკერისგან" 5.5 ბალი დაიმსახურა. თუმცა მერე ისევ მალე გამოსწორდა. ეს კი იმის დამსახურებაა, რომ ვესტერმანი თავდაჯერებულია.

*„როცა ჰაიკო შევიძინეთ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ასეთი შესანიშნავი ფეხბურთელი გადმოვიბირეთ,"* – ამბობს "შალკეს" პრეზიდენტი **იოზეფ შნუზენბერგი**.

იმ დროს, როცა კევინ კურანის ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს, გამორიცხული არც ისაა, რომ რუტენმა ვესტერმანი თავდასხმაშიც კი ათამაშოს. აი, მაშინ კი ყველაფერი ისე იქნება, როგორც უდარდელი ბავშვობის დროს, როცა ჰაიკო ალცენაუს „ბაიერნში" თამაშობდა...

ძველი ამბავი

# ვიზე და პოლიცია

## უნდოდა თუ არა ტიმს ივიცა ოლიჩის მოკვლა?

გასულ სეზონში, კერძოდ მაისში, „ჰამბურგისა" და „ვერდერის" მატჩის დროს, ბრემენელთა მეკარე **ტიმ ვიზემ** ჩრდილოგერმანული კლუბის ფორვარდ **ივიცა ოლიჩს** კუნგფუს ილეთი ჩაუტარა. მეკარემ თავდამსხმელს საჰაერო ორთაბრძოლისას წიხლი პირდაპირ ყელში ჩაარტყა და ხორვატს ძალიან გაუმართლა, სერიოზული ტრავმა რომ არ მიიღო. საკმარისი იყო, ვიზეს ფეხი მას თავში მოხვედროდა, რომ დიდი შანსი იყო, ოლიჩი დღეს ცოცხალი აღარ ყოფილიყო.

საზაფხულო არდადეგების შემდეგ, ვიზე ბრემენის პოლიციაში დაიბარეს. „შპორტ-ბილდის" ინფორმაციით, გარკვეულმა პიროვნებამ „ვერდერის" მეკარის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და საქმის გამოძიების დაწყება მოითხოვა. ამ პიროვნებას იმის დამტკიცება სურდა, რომ ვიზემ ოლიჩის მოკვლა სცადა.

*„ვინც ეს გააკეთა, ძალიან მაგრად უნდა დაისაჯოს. მისი მოთხოვნა ის იყო, რომ მე ციხეში უნდა ამომეყო თავი, რადგან ვითომ ოლიჩის მოკვლა მსურდა,"* – გაოგნებულია ვიზე. მას ბრემენის პოლიციის განყოფილებაში ნახევარი საათის განმავლობაში ჰკითხავდნენ. მოგვიანებით დაიკითხა თვითონ ოლიჩიც, რის შემდეგაც საქმე დაიხურა, რადგან ვერანაირი მტკიცებულება ვერ იპოვეს. აქ მთავარი როლი სწორედ ოლიჩმა ითამაშა, რომელმაც პოლიციას უთხრა, რომ ვიზეს არ უჩიოდა.




2008 წლის მაისი, ჰამბურგისა და ვერდერის დაპირისპირების დროს მომხდარი ინციდენტი

*„მკითხეს, როგორ ფიქრობ, იყო თუ არა ვიზეს ქმედება შემთხვევითიო? მე, რა თქმა უნდა, ვუპასუხე, რომ ეს შემთხვევითობა იყო. მკვლელობის მცდელობაზე ლაპარაკი სასაცილოა. ფეხბურთში ასეთი რამ ხშირად ხდება და ნამდვილად არ მესიამოვნა, ვიზესგან წიხლი რომ მომხვდა, მაგრამ მკვლელობის მცდელობა? რა სისულელეა!"* – ამბობს ოლიჩი და იქვე ამატებს, - *„არ მესმის, რატომ გადაწყვიტა იმ ტიპმა ვიზეს წინააღმდეგ სარჩელის შეტანა."*

დღესდღეობით „ვერდერის" მეკარეს პოლიციაზე მეტად ფანების უნდა ეშინოდეს, რადგან ხსენებული ფოლის შემდეგ მან „ჰამბურგის" ფანებისგან სიკვდილის მუქარის ტექსტებიანი წერილები მიიღო. *„ასეთი ფაქტების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. მსოფლიოში ძალიან ბევრი ფსიქოფატი არსებობს, რომლებსაც ყოველთვის რაღაც ძალიან ცუდის გაკეთება სურთ,"* – ამბობს ვიზე.

ბაიერნი

# რუმენიგე: რენზინგს ვერავინ შეეხება

**ოლივერ კანის** შემცვლელ **მიხაელ რენზინგს** კრიტიკოსები გამოუჩნდა. „ვერდერთან" განცდილი კატასტროფული მარცხის შემდეგ, „ბაიერნის" გულშემატკივრებმა ოლივერ კანის დაბრუნებაც კი მოითხოვეს. ფაქტია, რომ დაიწყო დისკუსია, რომელიც ყველაზე მეტად სწორედ „ბაიერნის" შეფებს არ აძლევს ხელს, რადგან რაც უფრო ბევრს ილაპარაკებენ რენზინგზე, დიდი შანსია, რომ ეს მეკარე მით უფრო თავდაუჯერებელი გახდეს და მომავალში უფრო და უფრო მეტი შეცდომა დაუშვას. სწორედ ამიტომ, გუშინ, გერმანიის თასის მეორე ეტაპის მატჩის წინ (ბაიერნი-ნიურნბერგი), რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ხმა აიმაღლა.

*„ჩვენ მიხაელ რენზინგს აბსოლუტურ ნდობას ვუცხადებთ. ის, რაც შაბათს მოხდა, სულაც არ არის დრამატული. ახალგაზრდა მეკარემ შეცდომა რომ დაუშვას, ეს აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა. რენზინგი პროგრესირებს. მხოლოდ ორი-სამი შეცდომის გამო მისდამი ნდობას ნამდვილად არ დავკარგავთ,"* – განაცხადა რუმენიგემ „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

და მეტიც: კალე უფრო შორს იხედება. მისი თქმით, გამორიცხულია, რომ „ბაიერნმა" ზამთარში მეკარის ყიდვაზე იფიქროს. *"ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ვთქვით, რომ წელს რეკორდმაისტერის კარს რენზინგი დაიცავს. ამ მხრივ არაფერი შეიცვლება. მიხაელი არის და იქნება "ბაიერნის" პირველი მეკარე. ამ თემაზე მეტს აღარაფერს ვიტყვი,"* – ამბობს რუმენიგე.

სხვათა შორის, რენზინგს მხარი თვითონ კანმაც დაუჭირა. ლეგენდარულმა მეკარემ, რომელმაც კარიერა დაასრულა, თქვა, მიხაელის შესაძლებლობების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება უდიდესი შეცდომა იქნებაო. მიხაელს სრულ ნდობას უცხადებს ბავარიელთა მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლინმანიც**. **ბასტიან შვაინშტაიგერი** კი დარწმუნებულია, რომ რენზინგი ერთხელაც გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე გახდება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**




მოუხედავად შეცდომებისა, ბაიერნი მიხაელ რენზინგს ნდობას უცხადებს

რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. U 19

# რუსეთს 37 წელი გავახსენეთ

## საქართველო-რუსეთი 37:0


გოდერძი ჯოგლიძე

FIRA AER-ის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ცხრამეტწლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა რუსეთის ნაკრები უმოწყალოდ მოსრა, 37:0.

უმცროსი ბორჯღალოსნები თავიანთი უფროსი მეგობრების ტრადიციას ღირსეულად აგრძელებენ და რუსეთის მორაგბეთა ნაკრებს ყველა დონის ასპარეზობაზე მიჯრით ამარცხებენ. ასე მოხდა ამჯერადაც. პოლონეთის საკურორტო ქალაქ სოპოტში, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალურ შეხვედრაში ჩვენმა მორაგბეებმა თავიანთ რუს თანატოლებს არა თუ მატჩის მოგების, არამედ საერთოდ ქულის აღების შანსიც კი არ დაუტოვეს.

გასაგები მიზეზების გამო, თამაში ჩვენმა გუნდმა ცოტა ნერვიულად დაიწყო. ანგარიში **ბექა ნიკლაურმა** უკვე მე-3 წუთზე გახსნა საჯარიმოდან - 3:0, მაგრამ მე-20 წუთამდე რუსებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ვერაფრით მოხერხდა. იმავე ნიკლაურმა კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა - 6:0, თუმცა მერე ზედიზედ ორი გაუცუდდა და კარში დარტყმის მისია ფულბეკ **გოდერძი ჯოგლიძეს** გადაულოცა.

მატჩის გმირი კი, ცხადია, სამი ლელოს გამტანი, უნივერსიტეტელი გარემარბი **ვახტანგ კავთიძეა.** ვახომ პირველ ტაიმში, ინდივიდუალური გარღვევის წყალობით, ორჯერ 30-ე და 35-ე წუთებზე დაალელოვა მეტოქე. ორივეჯერ გარდასახვა ჯოგლიძემ ზუსტად დაარტყა და ფაქტობრივად მატჩში გამარჯვებულის ვინაობა პირველივე ტაიმში გაირკვა - 20:0.

ჩვენი მორაგბეებისთვის მეორე ნახევარში, კარგად დაწყებულის სათანადოდ დასრულების ამოცანაღა იდგა გადასაჭრელი. **დავით ჩავლეიშვილისა** და **დიმა ფულარიას** შეგირდებმა ამასაც წარმატებით გაართვეს თავი. დასაწყისში მატჩის არბიტრმა შეცვლაზე შემოსული **თორნიკე ლომიძე** გაასინბინა, თუმცა კაცნაკლულობა ჩვენ გუნდს არაფერში დასტყობია. მორიგი მესამე ლელო რუსებს ისევ კავთიძემ გაუტანა, ჯოგლიძემ ისევ გარდასახა და 27:0.

შეხვედრის დასკვნით 15 წუთში, ჩვენი გუნდის რიგებში კიდევ ერთი მატჩის გმირი, შეცვლაზე შემოსული პირველხაზელი **დავით ბარბაქაძე** გამოდგა. ამან რუსებს კიდევ ორი ლელო გაუტანა და საბოლოოდ მეტოქე ჩვენმა ბიჭებმა დამაჯერებლად - 37:0 დაამარცხეს.

დავით ჩავლეიშვილი, საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების მწვრთნელი:

*„დასაწყისში თამაში ნერვიული გამოდგა. რამდენიმე კარგი შანსი გვქონდა ლელოს გატანის, მაგრამ ბიჭებმა დაძაბულობა ვერ გადალახეს. თუმცა მერე ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. რუსებს ჰქონდათ მცდელობა, პროვოკაციაზე წამოვეგეთ და ჩხუბი აგვეტეხა, მაგრამ არ ავყევით. მთელი თამაშის განმავლობაში ჩვენს ოცდაორმეტრიან ზონაში სულ ერთხელ შემოვიდნენ. ყველა კომპონენტში დავჩაგრეთ და, ვფიქრობ, ანგარიშში სხვაობა ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო.*

*მომდევნო მეტოქე ფინალში რუმინეთის ნაკრებია. ვნახეთ მათი თამაში ნახევარფინალში პორტუგალიასთან. რუმინელებს კარგი გუნდი ჰყავთ. ტრადიციულად ძლიერად არიან მომზადებული ფიზიკურად. ძნელი ბრძოლა გვექნება. სამწუხაროდ, გუნდის ლიდერმა ვიქტორ კოლელიშვილმა რუსებთან თამაშში ტრავმა მიიღო და არ ვიცით, შეძლებს თუ არა ფინალში თამაშს.“*

მეორე ნახევარფინალურ წყვილში, რუმინეთისა და პორტუგალიის ნაკრებებს შორის შეხვედრა ფრედ - 20:20 დასრულდა. რადგან რუმინელებმა მეტოქეს ერთით მეტი, სამი ლელო გაუტანეს, გამარჯვებულადაც ის გამოცხადდა.

ამრიგად, 27 სექტემბერს სოპოტში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრაში, საქართველოს ნაკრები რუმინეთის გუნდს დაუპირისპირდება. თამაში თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრაში გამარჯვებული მომავალ წელს კენიაში გაემგზავრება „ჩელენჯ ტროფიზე“ საასპარეზოდ, რომელიც ამავდროულად 2010 წელს გასამართი, ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირია.

**საქართველოს ნაკრები**

**15. გოდერძი ჯოგლიძე (ლელო), 14. ვახტანგ კავთიძე (უნივერსიტეტი), 13. ზურაბ გოგლიჩაძე (აია), 12. გიორგი ლომინაძე (ლელო), 11. სანდრო ინაშვილი (ყოჩები), 10. ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი), 9. ლევან გოგია (ლელო).**

**1. გიორგი ცირეკიძე (არმაზი), 2. გიორგი გაბელია (ლელო), 3. ვასილ კაკოვინი (უნივერსიტეტი), 4. მიხეილ გაჩეჩილაძე (აკადემია), 5. ერეკლე მეტრეველი (ყოჩები), 6. ირაკლი რევიშვილი (აია), 7. ვიქტორ კოლელიშვილი (ლელო), 8. ბექა ნიკოლაიშვილი (ყოჩები).**

**16. მიხეილ ნარიაშვილი (აია), 17. თორნიკე ლომიძე (აია), 18. დავით ბარბაქაძე (ყოჩები), 19. ვასილ კვერნაძე (ლელო), 20. შალვა მახარაშვილი (ყოჩები), 21. გიგი გაბუნია (არმაზი), 22. დავით გრძელიშვილი (არმაზი), 23. გიგა კორკელია (ლელო), 24. გიორგი ნოზაძე (ლოკომოტივი), 25. რატი ხუციშვილი (უნივერსიტეტი).**

**5ლ: კავთიძე (3), ბარბაქაძე (2), 2ს:ნიკლაური, 3გ:ჯოგლიძე.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ჯონი ნგაუამო ბორჯღალოსნების ფიზმომზადებაზე იზრუნებს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ავსტრალიელ მწვრთნელ **ტიმ ლეინს** შვებულება ოქტომბრის ბოლოს უმთავრდება. ბორჯღალოსანთა დამრიგებელი მწვანე კონტინენტიდან სწორედ ამ დროისთვის დაბრუნდება და თან ფიზმომზადების სპეციალისტს ჩამოიყვანს.

**ჯონი ნგაუამო** ტომით ტონგელი ავსტრალიელია. ის ფიზმომზადების სპეციალობასთან ერთად, დაცვის თამაშის მწვრთნელიცაა. შარშან საფრანგეთში გამართულ მსოფლიო თასზე ის ტონგას ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი იყო. ნგაუამოს რეკომენდაცია საქართველოს რაგბის კავშირში თავად ლეინმა გაუწია, რომელსაც მასთან ერთად მუშაობის გამოცდილებაც აქვს.

როგორც რაგბის კავშირში გვითხრეს, ჯონი ნგაუამო ეროვნული ნაკრების გარდა, ყველა ასაკობრივ ნაკრებთან და საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბებთანაც იმუშავებს. ამასთან, ის ვალდებული იქნება ჩაატაროს სემინარები, რათა ადგილზე მომზადდეს მაღალკვალიფიციური კადრები.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სპორტის თემა პარლამენტში

# საბჭო და კომისიები მუშაობას შეუდგნენ


ვაჟა შუბლაძე

საქართველოს ახალარჩეულ პარლამენტში, ამ საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტის შესაბამისად, შექმნილია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტი, რომელიც აქტიურად შეუდგა საქმიანობას, რაც, პირველყოვლისა, ამ კომიტეტის თავმჯდომარის, ოლიმპიური ჩემპიონის **გიორგი ასანიძის** დამსახურებაა. კომიტეტის მთავარ სპეციალისტად მიწვეულია **ვაჟა შუბლაძე**, რომლის ორგანიზატორული ნიჭი საყოველთაოდაა ცნობილი. ეს მისი წინადადებით და გიორგი ასანიძის მხარდაჭერით, კომიტეტთან ჩამოყალიბდა საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭო, რაც ამ საპარლამენტო ორგანოს საქმიანობას უფრო აქტიურს გახდის პრობლემების შესწავლისა და მისი გადაჭრის გზების ძიებაში.

*„წარმოუდგენლად კატასტროფული მდგომარეობაა მოსწავლეთა და სტუდენტთა ფიზიკურ აღზრდაში, ბავშვთა სპორტში, წვევამდელთა და ჯარისკაცთა ფიზიკურ მომზადებაში, კადრების, განსაკუთრებით მწვრთნელთა საკითხში. ამ დასკვნამდე მივედით მას შემდეგ, რაც ცალკეული სამინისტროებიდან და უწყებებიდან პასუხი მივიღეთ ორადორ შეკითხვაზე: პირველი - რა წილი მოდის სპორტსა და ფიზიკურ აღზრდა-მომზადებაზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი საერთო თანხიდან და მეორე - როგორია უკუგება. პასუხი შემაშფოთებელია. მოკლედ ვიტყვი: მოშლილია სისტემა. ჩვენ არ გვინდა წარსულში დაბრუნება. უნდა ვიაროთ წინ, მაგრამ ამისთვის საჭიროა ახალი მიდგომები, წინსვლის გააზრებული სისტემა“*, - განაცხადა ვაჟა შუბლაძემ გუშინ საქართველოს პარლამენტში გამართულ ზემოხსენებული კომისიის პირველ სხდომაზე, რომელსაც თავად უძღვებოდა.

მართალია, პირველი სხდომა საორგანიზაციო ხასიათის იყო, მაგრამ იქ, სადაც თავისი საქმის გულანთებული სპეციალისტები იკრიბებიან, შეხვედრა პრობლემებზე ბჭობის გარეშე ვერ ჩაივლის და ზოგადად ასეც მოხდა, რამაც უტყუარად დაადასტურა, რომ ასეთი კომისიის შექმნა ნამდვილად დროულია და აუცილებელი. ამჯერად პირველსავე სხდომაზე, ქვეკომიტეტის უფლებით, დაამტკიცეს საბჭოს ორი კომისია. ერთი იმუშავებს მწვრთნელთა კადრების (ხელმძღვანელი – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სპეციალისტი **ნარგიზა მესხი**), მეორე - ბავშვთა სპორტის (ხელმძღვანელი - გაზეთ „ლელოს“ მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**) პრობლემებზე.

განისაზღვრა საპარლამენტო კომიტეტის საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭოსა და კომისიების მუშაობის რეგლამენტი.

საბჭოსა და კომისიების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები „კანონში სპორტის შესახებ“ ცვლილებების შეტანის საფუძველი გახდება.

**თენგიზ თომაშვილი**

სპორტული დიდების მუზეუმი

# მუზეუმი ელის მოპარულ რელიქვიებს


ლილი ლომსაძე

**გახსოვთ ალბათ, ამ რამდენიმე თვის წინათ „საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმი“ გაიძარცვა, რამაც ყველა ჭეშმარიტ სპორტის ქომაგს ატკინა გული. ბუნებრივია, სხვებზე მეტად ალბათ, მტკივნეულად განიცადეს იმ ადამიანებმა, ვინც ამ მუზეუმში დაარსების დღიდან ათეული წლები იმუშავა და იმათ, ვისი ოფლითაც მოპოვებული ჯილდოები ასე უკვალოდ (ჯერჯერობით მაინც) გაქრა.**

**გუშინ რედაქციაში გვესტუმრა მუზეუმის თანამშრომელი მისი დაარსების (1965 წ) დღიდან ლილი ლომსაძე.**

**- ქალბატონო ლილი, თქვენ ყოველთვის იყავით და მუდამ იქნებით „ლელოს“ სასურველი სტუმარი. ამჟამად რამ შეგაწუხათ?**

- ტკივილმა. გული მიკვდება, რომ ასეთი უბედურება დაგვემართა. ღამეები არ მძინავს. ასე მგონია, აგერ იპოვნიან დაკარგულ ძვირფას ექსპონატებს, მაგრამ სული დამელია. მოვედი დარდის გასაზიარებლად. იქნებ გონს მოეგოს ქურდი თუ ქურდები და მოპარული დაგვიბრუნონ. ყველა ნივთი ძვირფასია, მაგრამ ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონების მედლების დაკარგვა მიკლავს გულს. უკვე ასაკში ვარ, წასვლა მინდოდა, მაგრამ ახლა ვის რა გადავაბარო. მუზეუმი დაკეტილია. არადა, რა ჩინებულად მოგვიწყო სპორტის დეპარტამენტმა.

**- ძიება გრძელდება?**

- გრძელდება, მაგრამ შედეგი არ ჩანს. არც ვიცი, როდის ელირსება გახსნა.

**- საქმეს თუ მუზეუმის კარს?**

- ორივეს, ალბათ ერთიმეორეზეა დამოკიდებული.

**- შიგნით ახლა რა მდგომრეობაა?**

- ყველაფერი აწეწილია. გამოძიებამ კუნჭული და ნივთი არ დატოვა შეუმოწმებელი, იქნებ სადმე არის ოქროს მედლები დამალული...

**- ათეული წლებია მუშაობთ მუზეუმში. ექსპონატებთან დაკავშირებით რაიმე საინტერესოს ხომ არ გაიხსენებდით?**

- მახსენდება თურქეთიდან ჩამოსულ სტუმართა დელეგაცია, კერძოდ თურქეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი და განათლების სამინისტროს მაღალჩინოსანი - ლაზები. რექტორი კარგად ფლობდა ქართულ ენას და თარჯიმანის როლსაც ასრულებდა. გამოფენის დათვალიერებისას მათი ყურადღება 1956 წ. ქ. სტამბოლში გამართულ მოჭიდავეთა თასის გათამაშებაზე შევაჩერე და მოვუყევი ლეგენდა ამ ასპარეზზე მონაწილე გივი კარტოზიას შესახებ, რომელიც ხალიჩაზე ტრავმირებული და დაღლილ-დაქანცული უნდა შერკინებოდა მოწინააღმდეგე თურქს. ხალიჩაზე მდგომს მწვრთნელის ლევ ძიკონსკის გასამხნევებელი შეძახილი მოესმა თურმე: „გამაგრდი, გივი ეს ბოლო შეხვედრაც უნდა მოიგო.“ ტკივილით შეწუხებულ სპორტსმენს კი უპასუხია: „ერთ ილეთსაც ვცდი, თუ არაფერი გამომივიდა, მე მომგები არ ვარ.“ თურქ მოჭიდავეს გაუგია რა მწვრთნელისა და სპორტსმენის დიალოგი, გივისთვის ჩუმად უთქვამს ქართულად: „ნუ გეშინია, შენს ოქროს ბეჭებს ხალიჩას არ მივაკარებ.“ თურქეთის სპორტსმენი წარმომავლობით ლაზი აღმოჩნდა. გაიმარჯვა გივი კარტოზიამ და კიდევ ოქროს ერთი მედლით გაამდიდრა ქართული სპორტი.

**- გულს ნუ გაიტეხთ, ოლიმპიურ ჩემპიონთა ჯილდოები სხვა დროსაც დაკარგულა, მაგრამ უპოვიათ...**

- ღმერთმა გისმინოთ...

ესაუბრა
**თენგიზ თომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ნაკრების დებიუტანტის პორტრეტი

# გავიცნოთ თორნიკე შენგელია



თორნიკე შენგელია

ფიბა-ევროპის ოფიციალურ ვებსაიტზე საძიებო გრაფაში ქართული გვარი შენგელია რომ ჩაწეროთ, სამ კალათბურთელს შეხვდებით: თორნიკეს, ლევანსა და კახას.

ლევანი მსაჯ **ხათუნა გაბედავას** ვაჟია, ლიტვაში თამაშობს და ნაკრებში დებიუტი ჯერ არ ჰქონია. იგი **იგორ კოკოშკოვმა** ამ ზაფხულს სინჯებზე მიიწვია...

**თორნიკე** და **კახა შენგელიებს** საქართველოს ნაკრების მაისური მორგებული აქვთ. კახას დებიუტი ეროვნულ გუნდში 1995 წლის 8 ოქტომბერს შედგა, სლოვაკეთის ნაკრებთან 27 წუთი ითამაშა და თითო ქულა-მოხსნა-პასი მიითვალა.

სლოვაკურ მატჩამდე ზუსტად სამი დღით ადრე კახას შვილის დაბადების დღე ჰქონდა – პატარა თორნიკე 5 წლის გახდა...

...6 წლის შემდეგ კახა შენგელიამ საქართველოს ნაკრებში ბოლო მატჩი ითამაშა, აზერბაიჯანის ნაკრებთან 101:61 მოგებულ შეხვედრაში 8 წუთში მაქსიმუმი გააკეთა: 4 ქულა, 9 მოხსნა, 3 დაფარება და თითო ჩაჭრა-პასი.

მაშინ მისი ვაჟი თორნიკე უკვე 10 წლის იყო, მაგრამ მამის ბოლო სანაკრებო მატჩი არ უნახავს, რადგან შეხვედრა აზერბაიჯანში გაიმართა.

თუ გახსოვთ, ახლახან, საქართველოს ნაკრების შეხვედრათა მიმოხილვისას ხშირად ვახსენებდით: 2001 წლის შემდეგ ეროვნულმა გუნდმა პირველად გადალახა 100-ქულიანი ბარიერი-თქო. სწორედ 2008 წლის 13 სექტემბერს გამართულ მატჩში მიიღო მონაწილეობა კახა შენგელიას ვაჟმა თორნიკემ. მან სლოვაკეთში (101:78) 2 წუთი ითამაშა და 1 მოხსნას გამორჩა.

ეს იყო თოკოს (როგორც მას შინ ეძახიან) მეორე ოფიციალური შეხვედრა საქართველოს ნაკრებში, დებიუტი კი 6 სექტემბერს, ლუქსემბურგში ჰქონდა. მამის დარად, პირველ მატჩში თორნიკემ 1 ქულა ჩააგდო, თუმცა არა 27 წუთი, არამედ მხოლოდ 2 წუთი ითამაშა.

კითხვაზე, ვინ არის ნაკრების დებიუტანტი თორნიკე შენგელია, ზოგადი პასუხი უკვე მიიღეთ. თუმცა აქვე შეგახსენებთ გუნდის თავკაცის, იგორ კოკოშკოვის სიტყვებს:

- ვიცი, რომ საქართველოს ნაკრებს შედეგი ახლავე სჭირდება. აქ სწორედ გუნდის შესაკვრელად ჩამოვედი, მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ საქართველოში მინიმუმ ორ წელს გავატარებ (მისი კონტრაქტი 2+2 ფორმატისაა) და მომავალზე დღესვე უნდა ვიფიქრო. სწორედ ამიტომ ავიყვანე გუნდში ახალგაზრდები, ბერიშვილი, ტომარაძე, შენგელია... კიდევ რამდენიმე ნიჭიერი ჭაბუკი გავიცანი, რომლებმაც საქართველოს ნაკრების ღირსება ხვალ-ზეგ უნდა დაიცვან.

## ნაკრები

იგორ კოკოშკოვი თორნიკეს შესახებ საქართველოს ნაკრების ყოფილ ცენტრს კახა შენგელიასაც ესაუბრა.

- ეროვნული გუნდის ახალგაზრდა დებიუტანტები ნაკრების შიდა სამზარეულოს აუცილებლად უნდა გაეცნონ, შედარებით ასაკოვნებისგან გამოცდილება შეიძინონ და სანაკრებო ატმოსფეროს შეეგუვნონ. ეს აუცილებელია, რადგან ვიცი, რომ მომავალში თორნიკეს შედარებით მეტი თამაში მოუწევს და თანაგუნდელებს სათანადოდ უნდა დაეხმაროს - მითხრა ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა. ჩემი აზრით, მწვრთნელის მიდგომა სწორია - თორნიკესთვის ზაზა ფაჩულიასა და სხვა მაღალი კლასის კალათბურთელების გვერდით ვარჯიში დიდი გაკვეთილი იყო, - იხსენებს კახა შენგელია.

ამ თემაზე საუბრისას ყველაზე კომპეტენტური მაინც თავად კალათბურთელია. იგი იხსენებს, რომ სანაკრებო მიწვევა შეკრებამდე დიდი ხნით ადრე, ვალენსიაში მიუვიდა, რამაც ძალიან გაახარა.

- მას შემდეგ სანაკრებოდ მზადებას შევუდექი. ივლისში გამართული ჭაბუკთა ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო მატჩებიდან კი ეროვნულის შეკრებას მომზადებული შევხვდი. გუნდში დამხვდა კარგი პიროვნება და მწვრთნელი, რომელიც მხარში ამომიდგა და მეუბნებოდა: მომავლისთვის აუცილებლად დაგვჭირდები, ამიტომ უნდა ეცადო, რომ ნელ-ნელა ყველა კომპონენტი გააუმჯობესოო. ეს ჩემთვის სტიმული იყო.

თორნიკე შენგელია იგორ კოკოშკოვმა 14 აგვისტოს უკრაინაში წაიყვანა და საკონტროლო მატჩებიდან ნაკრებს ნელ-ნელა აჩვევდა. ოფიციალურ შეხვედრებზე უკვე გესაუბრეთ, ახალბედამ ლუქსემბურგსა და სლოვაკეთთან ითამაშა. ირლანდიაში საქართველოს ნაკრების გუნდურ ფოტოზე თერთმეტი კაცი დგას – არსად ჩანს ჩვენი სტატიის მთავარი პერსონაჟი.

- ირლანდიაში გუნდს ვერ გავყევი, ავსტრიაში დავრჩი, რადგან სავიზო პრობლემები შემექმნა, - როგორც მიხვდით, ამას ახალგაზრდა შენგელია ამბობს.

როგორც ქართველთა უმეტესობას, თორნიკესაც 7-ნომრიანი მაისურით თამაში უყვარს, მაგრამ 2007 წელს "ვალენსიაში" დაგვიანებით ჩასულს თავისუფალი მხოლოდ 6 და 14 ნომრები დახვდა. მანაც შვიდს შვიდი მიუმატა და 14-ნომრიანი მაისური აირჩია. მას 7-იანი საქართველოს ნაკრებშიც დაკავებული დახვდა – ზაზა ფაჩულიას ეცვა. ამიტომაც ყველაზე საკალათბურთო ნომერი, 23 აირჩია.

- 23 ნომერი ორი მოთამაშის, მაიკლ ჯორდანისა და ლებრონ ჯეიმსის გამო ავიღე. ლებრონი მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელად მიმაჩნია, - გაგვიმხილა თორნიკემ.

## საქართველო

სანაკრებო ამბები აქ დავასრულოთ და იმედი დავიტოვოთ, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი სალაპარაკო გვექნება. ახლა თორნიკე შენგელიას კარიერას გადავხედოთ.

- კალათბურთის თამაში 9 წლისამ დავიწყე. ჩემი პირველი მწვრთნელი ნიკო ჩერქეზიშვილი იყო, რომელთან ერთადაც ნაირა საკიაშვილი მავარჯიშებდა. მათგან ბევრი რამ ვისწავლე. შემდეგ ერთი წელიწადი ზურაბ სამხარაძესთან გავატარე. ვეხმარებოდი მის გუნდს და თვითონაც მეხმარებოდა. ესპანეთში წასვლამდე ბოლო ორი წელი კი...

მოდი, თორნიკეს სიტყვები მამამისს, კახა შენგელიას დავასრულებინოთ:

- "ვალენსიაში" ჩარიცხვამდე ბოლო ორ სეზონში თორნიკეს მე ვავარჯიშებდი. მისი ასაკის გუნდი მყავდა და საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში წარმატებით ვთამაშობდით.

2007 წელს შენგელიების გუნდი 1991 წელს დაბადებულთა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა. ჩემპიონობა გასაკვირი არაა, მაგრამ შეიძლება ბევრს გაუჩნდეს კითხვა – ვარჯიშებზე მამას შვილი თუ უჯერებდა? როგორც წესი, სკოლის მასწავლებლები საკუთარი შვილების კლასებში შესვლას ერიდებიან...

ამ კითხვას კახა შენგელია ამომწურავად პასუხობს:

- თორნიკესთან ყოფითი პრობლემა არ მქონია. იგი ძალიან დამყოლი და დისციპლინირებულია. ასე რომ, მასთან ისევე ვმუშაობდი, როგორც დანარჩენებთან.

აქვე მწვრთნელს შეგირდის პლუს-მინუსებზე ვკითხეთ:

- იგი ძალიან შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. კარგად ესმის, რომ დიდ კალათბურთელად ჩამოსაყალიბებლად მონდომება და დაუზარლობაა საჭირო. რაც შეეხება მინუსებს, ალვნიშნავ, რომ საკუთარ თავზე ბევრი აქვს სამუშაო. მთავარი მინუსი კი გამოუცდელობაა...

## ესპანეთი

2007 წლის შემოდგომით 16 წლის შვილი ესპანეთში მარტო რომ გაუშვა, კახა შენგელია შეფიქრიანებული იყო. თუმცა თორნიკემ "ვალენსიაში" საქმე კარგად რომააწყო, დამშვიდდა:

- გუნდის უფროსობამ ესპანეთში მეც მიმიწვია და საკუთარი თვალით ვნახე, რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევენ იქაურები კალათბურთს. "ვალენსიაში" ბავშვთა კალათბურთიდან დაწყებული, ევროპის მაღალი დონის გუნდით დამთავრებული, ყველაფერი გამართულად ფუნქციონირებს. ასეთ სისტემაში მოხვედრის შემდეგ თავის გამოჩენა გაცილებით იოლია, ვიდრე საქართველოში. თორნიკეს ხომ კარგი ვარჯიშების გარდა, ესპანეთში უამრავი თამაშის ჩატარება უწევს... მაგრამ, ისე არ გაიგოთ, თითქოს ქართველ მწვრთნელებს რამეს ვუკარგავდე. თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში მოთამაშე კალათბურთელით ესპანური "ვალენსია" დაინტერესდა, თავისთავად მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქართველოშიც სწორი მუშაობა მიდის. სხვაობა მხოლოდ პირობებშია...

მართლაც საინტერესოა, როგორ მოხვდა თორნიკე შენგელია ვალენსიაში? ამ საკითხზე თავად კალათბურთელი გვესაუბრება:

- 2007 წლის ივნისში, ბათუმში მოეწყო კემპი, რომელსაც "დეტროიტ პისტონსის" წარმომადგენელი ფარუკ აკაგუნი ესწრებოდა. წინასწარ ცნობილი იყო, რომ კემპის MVP სტაჟირებაზე ესპანურ "ვალენსიაში" გაემგზავრებოდა. MVP-სთვის განკუთვნილი ჯილდო მე მივიღე და ვალენსიაში ხუთდღიან სინჯებზე გავემგზავრე. საწყისი სამი დღე ვარჯიშებს დაეთმო, ბოლო ორ დღეს კი მატჩები გაიმართა. პირველ თამაშში 20 ქულა ჩავაგდე, ხოლო მეორე შეხვედრაში ეს მაჩვენებელი ორით გავაუმჯობესე და სწორედ მაშინ გადაწყდა "ვალენსიაში" ჩემი ჩარიცხვის საკითხი.

ეს ყველაფერი კადეტთა ნაკრების მატჩებამდე მოხდა, არადა, პუბლიკაციის ავტორის ჩათვლით, ბევრს ეგონა, რომ ესპანურმა კლუბმა თორნიკე კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე კარგი თამაშის შემდეგ აიყვანა. შენგელია "ვალენსიაში" 2007 წლის ნოემბერში გამოცხადდა. თავიდან იქაურ პირობებთან შეგუება გაუჭირდა, რადგან არც ესპანური ენა იცოდა, რეჟიმიც სხვანაირი იყო და ვარჯიშებიც...

- ესპანური არ ვიცოდი, 15 წლის ბიჭი ოჯახს ვიყავი მოწყვეტილი, ვარჯიშებიც ძლიერი იყო, ამიტომ თავიდან ცოტა გამიჭირდა... თუმცა დროთა განმავლობაში იქაურობას შევეგუე და ახლა "ვალენსიაში" ხალისით მივდივარ.

თორნიკეს პირველ სეზონში ვალენსიურ კლუბში საქართველოს ნაკრების ყოფილი კალათბურთელი შემონდ უილიამსი დახვდა...

- ვალენსიაში სინჯებზე რომ ჩავედი, გუნდის მწვრთნელმა შემონდს შემახვედრა. ამერიკელი დადებითი პიროვნება ყოფილა, მხარში დამიდგა და რჩევა-დარიგებები მომცა. თუმცა მას შემდეგ უილიამსს ხშირად ველარ ვხედავდი, რადგან იგი პირველ გუნდში ვარჯიშობდა, მე – ჭაბუკებში. ყველაზე მეტად ჩემს თანაგუნდელ არგენტინელ ლეგიონერთან ვახლობლობდი. მას ქართველებთან მიახლოებული მენტალიტეტი აქვს. კარგი იქნება, იგი ისევ "ვალენსიაში" თუ დამხვდება.

თორნიკე შენგელია ესპანეთში უკვე გაემგზავრა, მოტივირებული და ახალი პერსპექტივით:

- გუნდის მწვრთნელებთან კონტაქტი საქართველოდანაც მქონდა და მათგან ვიცი, რომ ახალ სეზონში "ვალენსიის" პირველ გუნდთან ერთად ვივარჯიშებ. თავიდან დიდებში თამაშის იმედი არ მაქვს. ამ სეზონში 18-წლამდელებსა და მეორე გუნდში მომიწევს თამაში. მეორეში ძირითადად ახალგაზრდული შემადგენლობაა, მაგრამ ასაკი შეზღუდული არ არის და მასში ისეთებიც თამაშობენ, ვინც, ვთქვათ, ტრავმის შემდეგ პირველი გუნდისთვის ფორმაში შესვლას ცდილობს...

თორნიკე შენგელია დარწმუნებულია, რომ "ვალენსიაში" საქართველოს ნაკრების წევრის სტატუსიც დაეხმარება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

---

ინტერვიუ ლაშა გამყრელიძესთან

# გავიზარდეთ!

**ლაშა გამყრელიძე ოთხი წლის წინ გამოჩნდა ეროვნულ ნაკრებში და იქიდან მოყოლებული, დღემდე გუნდის უცვლელი წევრია. საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი ჯიგრიანი და გააზრებული თამაშით გამოირჩევა. ლაშა დადებითად აფასებს ნაკრების წლევანდელ გამოსვლას და იმედოვნებს, რომ სანაკრებო წარმატებებს საკლუბოს შეუნაცვლებს.**



- ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი მშვენივრად დავიწყეთ. მე მგონი, ბევრი ელოდა, რომ ოთხიდან ორ თამაშს წავაგებდით და ჯგუფიდან გასვლის შანსს გვარიანად შევიმცირებდით. თუმცა სამი შეხვედრა მოვიგეთ, შვედეთთან კი მისაღები ანგარიშით დავთმეთ. გაისად ოთხივე შეხვედრა მაინც ყველა ვარიანტში მოსაგები გვაქვს და უმეაში წაფორხილება კატასტროფა ნაღდად არ არის. ისე, შვედებთანაც უნდა გვემარჯვა, მაგრამ დაღლილობამ იჩინა თავი. მთელი თვე ქვეყნიდან ქვეყანაში გვიხდებოდა მოგზაურობა, რამაც დიდი ენერგია წაგვართვა და ბოლო შეხვედრაში სრული მობილიზება გაგვიჭირდა.

**- შვედებთან ბოლო მეოთხედში 16 ქულით ჩამორჩენის შემდეგ არავის ეგონა, ბოლო წამებზე მატჩის გადარჩენის რეალური შანსი თუ მოგვეცემოდა. გუნდში როგორი განწყობილება იყო ამ დროს?**

- მიუხედავად გვარიანი ჩამორჩენისა, არავინ დაბნეულა, ყველამ ბოლომდე ვიბრძოლეთ და მართლაც შესანიშნავი შანსი მოგვეცა. ერთი წუთით მეტი რომ გვქონოდა, აუცილებლად გავიმარჯვებდით. არა უშავს, რევანშს გაისად ავიღებთ. მთავარია, რომ დიდი ანგარიშით არ წავაგეთ.

**- საწყის სამ მატჩში მიღწეულ წარმატებებს რით ახსნი?**

- კარგად დაყენებული დაცვით. ძირითადად, სწორედ ამის ხარჯზე დავამარცხეთ ლუქსემბურგი, ირლანდია და სლოვაკეთი. როდესაც დაცვაში ყველაფერი რიგზეა, შეტევაში თამაში ერთიორად იოლდება.

**- ვის გამოარჩევდი საქართველოს ნაკრებიდან განვლილ მატჩებში?**

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, რადგან წინა წლებისაგან განსხვავებით, ახლა გუნდი ერთ კალათბურთელზე აღარაა დამოკიდებული. თუ გადავხედავთ ოთხივე მატჩის სტატისტიკას, 6-7 კაცს ჰქონდა დაახლოებით თანაბარი მაჩვენებელი. ასე რომ, მთელმა გუნდმა ითამაშა კარგად. და თუ მაინც გამოსარჩევი ვინმე, უპირველეს ყოვლისა, ვიქტორ სანიკიძე, რომელმაც ყველა შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარა.

**- საკუთარ თამაშზე რას იტყვი?**

- საკუთარ თავზე ლაპარაკი უხერხულია, მაგრამ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა წასვლის წინ მითხრა, რომ რა დავალებაც მომცა, ხუთიანზე შევასრულე. მე და ცინცაძეს არ გვქონდა მაინცდამაინც ბევრი ქულა, მაგრამ ჩვენი მთავარი მოვალეობა თამაშის დალაგება იყო. სწორედ გუნდის ინტერესია მთავარი, თორემ ბევრი სროლა და ქულების დაგროვება პრობლემაა არაა.

**- იგორ კოკოშკოვს როგორ დაახასიათებდი?**

- ნაკრების თითოეულ წევრთან შესანიშნავი ურთიერთობა დაამყარა. ახალგაზრდა, ნიჭიერი სპეციალისტია, თავისი საქმის პროფესიონალი. მის ხელში ყველაფერი კარგად მიდის და ვიმედოვნებ, ასე გაგრძელდება.

**- რით ჯობია კოკოშკოვი თავის წინამორბედებს?**

- ვერ ვიტყვი, რომ კოკოშკოვი სხვებს აღი თავით აღემატება. მისი წინამორბედებიც მაღალი დონის სპეციალისტები და მათაც ბევრი რამ გვასწავლეს. უბრალოდ, ახლა ისე მოხდა, რომ გუნდი გაიზარდა, წინა წლების იმედგაცრუებამ სასარგებლო გაკვეთილებიც მოგვცა. ამჯერად თავიდან ბოლომდე საოცრად დამტკიცებული ვიყავით, ყველამ ერთმანეთი გადაუფარა ამბიცია და ერთ მუშტად შევეკარით. ძირითადად, სწორედ ასეთმა სულისკვეთებამ მოგვიტანა წარმატება. თუმცა, რა თქმა უნდა, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ კოკოშკოვი ძალიან კარგი სპეციალისტია.

**- გაისად ოთხივე მატჩი თბილისში გვაქვს. წესით, ოთხჯერვე თავაწეულებმა უნდა დატოვოთ მოედანი...**

- რა თქმა უნდა, სხვა გზა არ გვაქვს. ძალიან კარგია, რომ წლეულს ყველა საგარეო მატჩი მოვიშორეთ და გაისად ჯგუფური ეტაპის დარჩენილ შეხვედრებს თბილისში გავმართავთ. ეს ჩვენთვის სერიოზული კოზირი იქნება და ვიმედოვნებ, კარგადაც გამოვიყენებთ.

**- პლეიოფში გასვლის შემთხვევაში, ვის ისურვებდი მეტოქედ?**

- ჯერ ის ვთქვათ, ვის არ ვისურვებდი. ალბათ ორი აზრი არ არსებობს, რომ მონტენეგრო აშკარად ყველაზე ძლიერია და მასთან გადაყრა არ უნდა გვინდოდეს. რომ შევხვდეთ, კი ვიბრძოლებთ ბოლომდე, მაგრამ მაინც არაა სასურველი ასეთ ძლიერ გუნდთან თამაში. დანარჩენებიდან კი ყველა დაახლოებით ერთი ძალისაა, განსაკუთრებულად ვერავის გამოვარჩევ. კალათბურთის თამაში ყველამ ისწავლა. აი, ელიტაში შარშან გადასულმა ფინეთმა სერბეთს მოუგო...

**- კლუბზე გადავიდეთ. რა ხდება რუსთავში, როგორ ემზადება „ენერჯი ინვესტი" ახალი სეზონისთვის?**

- 7 ოქტომბერს დუდუ დადიანის მემორიალში ჩავერთვებით; 14 ოქტომბერს კი ევროთასის პირველ მატჩში უკრაინის „სუმიხიმპრომს" უნდა ვუმასპინძლოთ. სერიოზული მატჩი გველის და დიდი მონდომებით ვემზადებით.

**- ევროთასისთვის ლეგიონერებს არ იმატებთ?**

- როგორც ითქვა, ძლიერი უცხოელი კალათბურთელების დამატება მართლაც იგეგმება.

**- 14 ოქტომბრამდე სამიოდე კვირაღაა დარჩენილი. მოასწრებენ ლეგიონერები გუნდთან შეთამაშებას?**

- ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა. თუკი უკრაინელების დამარცხება გვინდა, დროულადაა საჭირო გაძლიერება, რათა გუნდი შეიკრას და დალაგდეს. შარშანაც ასე იყო ჰოლანდიელებთან. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ თბილისში თითქმის მთელი თამაში ტოლ-სწორად ვეთამაშეთ „ასტრონავტსს", 22 მოხსნით გვაჯობეს და დაგვამარცხეს, ვინაიდან მაღლების პრობლემა გვქონდა.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო. ინტერვიუ ოლეგ იაძესთან

# ნაკრებში ადგილი ყველას როდი აქვს დაბევებული



წლეულს ნოემბრის ბოლო დეკადაში სანკტ-პეტერბურგი სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ვერ გეტყვით, საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა იმ დროისთვის როგორი იქნება, მაგრამ ამთავითვე ცნობილია, რომ ჩვენი სამბისტები შეჯიბრებისთვის აქედანვე მონდომებით ემზადებიან. ერთ-ერთი ეტაპი საქართველოს ჩემპიონატი იყო, რომლის ტექნიკური შედეგები გაზეთის წინა ნომერში გაუწყეთ. დავძენთ მხოლოდ - ორთაბრძოლებში ქვეყნის 22 ქალაქისა და რაიონის 180-მდე წარმომადგენლის მონაწილეობა კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოში სამბოსადმი კეთილგანწყობილებას.

როგორ წარიმართა პაექრობები და ეროვნულ გუნდში ვინ დაიბევა ადგილი, ამის თაობაზე ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე გვესაუბრება.

- თითოეულ წონით კატეგორიაში შეხვედრები დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ფავორიტთაგან ზოგმა იმედები გაამართლა, ზოგმაც - ვერა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ წინა პლანზე ახალგაზრდები გამოდიან და გამოცდილ ფალავნებს იოლად არაფერს უთმობენ.

52 კილოგრამ წონით კატეგორიაში, როგორც მოსალოდნელი იყო, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა შარშანდელი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი უშანგი კუზანაშვილი, რომელსაც მეტოქეებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. 57 კილოში ყველასთვის მოულოდნელად პირველი ადგილი ახალგაზრდა ილია პაპინაშვილმა დაიკავა. ფინალურ პაექრობაში მან მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორ ავთანდილ ცინცაძეს სძლია. პაპინაშვილი ძიუდოისტია. უწინ ჩვენთან არ უჭიდავია. წლეულს ტაშკენტში მსოფლიოს პირველობაზე გამოვცდით. თუ აქაც გამოიჩინა თავი, არ არის გამორიცხული, უფროსების ნაკრებშიც დაიბევოს ადგილი. თუმცა ჯერჯერობით პეტერბურგში გამოცდილი ცინცაძის გამოყვანას ვარჩევთ.

62 კილოში ფავორიტად შარშანდელი ევროპის ჩემპიონი დავით სვიმონიშვილი მიიჩნევა, მაგრამ ერთი კვირის წინ მან მუხლის ოპერაცია გაიკეთა და, ცხადია, შეჯიბრებაზე ვერ გამოვიდა. საქართველოს ჩემპიონატი უპრობლემოდ მოიგო გელა ბარათაშვილმა და მსოფლიოზეც ის გაემგზავრება.

წლეულს მოსკოვში ხარლამპიევის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე ბექა იმერლიშვილმა (68 კგ) გაიმარჯვა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართველთაგან ამგვარი წარმატებისთვის არავის მიუღწევია. ეროვნული ჩემპიონატისთვის კი ბექა სათანადოდ ვერ მოემზადა და საბოლოოდ ბრინჯაოს დასჯერდა. ჩემპიონობა ახალგაზრდული ნაკრების წევრს გელა სანიკიძეს ხვდა. ამის მიუხედავად, იმერლიშვილი მაინც პირველ ნომრად რჩება.

სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა ვანო ბერიძემ (74 კგ), რომელსაც არ გასჭირვებია პირველი ადგილის დაკავება. წონის ფავორიტმა კახა მამულაშვილმა სასტარტო შეხვედრის მოგების შემდეგ ტრავმის გამო შეჯიბრების გაგრძელება ვერ შეძლო. ასე რომ, ამ წონაში ადგილი ვაკანტურია და პეტერბურგში წამსვლელის ვინაობას მხოლოდ ბოლო საწვრთნელი შეკრებისას შევიტყობთ, ისევე, როგორც მძიმე წონაში, სადაც კონკურენტებად სახელოვანი ფალავნები-ალექსი დავითაშვილი და ზვიად ჩინჩალაძე რჩებიან. მათი ფინალური შეხვედრა ფრედ დამთავრდა და გამარჯვებული არბიტრებმა გამოავლინეს - უფრო აქტიური დავითაშვილი იყო. მსოფლიოს ჩემპიონატამდე თვე-ნახევარზე მეტია დარჩენილი და ამ ხნის განმავლობაში აქაც ბევრი რამ გაირკვევა.

82, 90 და 100 კილოგრამ წონით კატეგორიებში მეტოქეები კონკურენციას ვერ უწევენ, შესაბამისად, ლევან წიკლაურს, მინდია ბოდაველსა და მირიან პავლიაშვილს. პეტერბურგშიც ისინი იჭიდავებენ. საგულისხმოა, რომ ლევანმა და მირიანმა წლეულს თბილისში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს.

**- მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებაში უსახსრობა ხომ არ შეგიშლით ხელს?**

- უკვე ცნობილია, რომ ერთი საწვრთნელი შეკრებისა და შეჯიბრებაზე წასასვლელ თანხას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი გამოგვიყოფს, ხოლო მეორე შეკრებას ბაკურიანში საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ" დაგვიფინანსებს.

**- ჭაბუკებსა და ახალგაზრდებზე რას იტყვით?**

- გორში იმყოფებიან შეკრებაზე ბადრი ჯანიაშვილის ხელმძღვანელობით. მთავარ მწვრთნელს ქართლოს პავლიაშვილი და ნიკო ბიბილაშვილი ეხმარებიან. ისინი 6 ოქტომბერს ტაშკენტში მსოფლიოს პირველობაზე გაემგზავრებიან.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სამბისტები ორივე შეჯიბრებიდან, ტრადიციულად, უხვი ნადავლით დაბრუნდებიან.

**ვაჟა დანელია**

სუმო. სექტემბრის ბაშო

# ქართველთა რქენა ერთ რამედ ღირს

გუშინ სექტემბრის ბაშოზე ჩვენთვის გამორჩეული დღე იყო – ერთმანეთის პირისპირ ქართველები წარდგნენ – 27 წლის **ლევან ცაგურია (კოკაი)** და 20 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**. „კოკუგიკანის" პუბლიკამ ლამის ყველაზე დაძაბული ბრძოლა იხილა. ახალგაზრდა ქართველმა გამოცდილს ჯერ მარჯვენა ხელი „ჩაუკეტა", შემდეგ – მარცხენაც, კოკაის მავაში ხელთ იგდო და იგი დოჰიოდან გაიყვანა. ამით ტოჩინოშინმა თანამემამულეზე ივლისის მარცხისთვის შური იძია, თავად კი ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მიითვალა იორიკირის ილეთით.

ბაშოს დასრულებამდე ოთხი დღით ადრე ჩვენს ორივე ფალავანს ერთნაირი ბალანსი (7-4) აქვთ, ანუ დარჩენილი ოთხი ორთაბრძოლიდან მათ ერთის მოგებაც ჰყოფნით დადებითი ბალანსის დასაბევებლად. დღეს ამის მისაღწევად ორივე ლევანს გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდება. ტოჩინოშინის მეტოქე ყოფილი კომუსუბი **კაკიძოეა**, რომელსაც 6-5 ბალანსი აქვს. კოკაი კი ყოფილ სეკივაკეს, **ვაკანოსატოს** (7-4) შეხვდება.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში გადამწყვეტი, მეოთხე გამარჯვება (4-2) იზეიმა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**, რომელმაც ოშიდაშით **მაცუმიდორი** დაამარცხა. გაგამარუმ დადებითი ბალანსი დაიბევა და ის მომავალ ბაშოს გაცილებით მაღალი რანგით შეხვდება, ვიდრე ახლაა (43-ე ნომერი). თუკი გაგამარუ ბოლო ბრძოლასაც მოიგებს, კიდევ უფრო მეტი ადგილით წაიწევს წინ კლასიფიკაციაში.

აკი ბაშოზე ერთპიროვნული ლიდერია 10 მოგებით დიდი ჩემპიონი, მონღოლი **ჰაკუჰო**. გუშინ მან მეხუთე მაეგაშირა **გოეიდო** დაამარცხა, რომელსაც 9 მოგება დარჩა. ამდენივე გამარჯვება დაუგროვდათ ჩემპიონ **კოტომიცუკისა** და **სეკივაკე ამას**. იმპერატორის თასის მომავალი მფლობელიც ამ კვარტეტში უნდა ვეძიოთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**აკი ბაშო**
**(სექტემბრის სუპერტურნირი)**
**14-28 სექტემბერი. ტოკიო (იაპონია)**

XI დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: ტოჩინოშინი (მ 10)-კოკაი (მ 16) 1:0 (იორიკირი); ჰაკუჰო (ი)-გოეიდო (მ 5) 1:0; ჩიოტაიკაი (ო)-კაიო (ო) 1:0; კოტომიცუკი (ო)-ტოჩინონადა (მ 4) 1:0; კოტოოშუ (ო)-ტოიოჰიბიკი (მ 6) 1:0; ამა (ს)-ტოიონოშიმა (ს) 1:0; ბარუტო (კ)-მიაბიამა (მ 1) 1:0; კისენოსატო (მ 2)-ასასეკირიუ (კ) 1:0; ამინიშიკი (მ 4)-კოტოშოგიკუ (მ 1) 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 10-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა). 9-2: კოტომიცუკი (ოძეკი); ამა (სეკივაკე); გოეიდო (მაეგაშირა 5). 8-3: ფუტენო (მ 10). 7-4: ჩიოტაიკაი (ოძეკი); კაიო (ოძეკი); ტოიოჰიბიკი (მ 6); ჰოკუტორიკი (მ 9); ვაკანოსატო (მ 9); ტოჩინოშინი (მ 10); კოკაი (მ 16).

XII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (მ 16)-ვაკანოსატო (მ 9); ტოჩინოშინი (მ 10)-კაკიძოე (მ 16); ჰაკუჰო (ი)-ჩიოტაიკაი (ო); კოტომიცუკი (ო)-ტოიოჰიბიკი (მ 6); კოტოოშუ (ო)-ამა (ს); კაიო (ო)-გოეიდო (მ 5); ტოიონოშიმა (ს)-მიაბიამა (მ 1); ასასეკირიუ (კ)-კიოკუტენჰო (მ 3); ბარუტო (კ)-კოტოშოგიკუ (მ 1).

ჭიდაობა

# ოლიმპიადიდან საოპერაციო მაგიდაზე

ქართველი ოლიმპიელები, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები **ბადრი ხასაია** და **რამაზ ნოზაძე** საოპერაციონი არიან. ორივე მოჭიდავეს ერთი სახის ტრავმა აწუხებს – მკერდის კუნთი აქვთ დაზიანებული. გადაწყდა, რომ ისინი ოპერაციას უახლოეს ხანებში უკრაინაში გაიკეთებენ, ზუსტად იქ, სადაც პეკინის ოლიმპიადისთვის მზადებისას ბადრი ხასაიამ მენისკის ოპერაცია ჩაიტარა – კიევის ლინკოს სახელობის კლინიკაში. პეკინში ხასაიასა და ნოზაძის წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ეს ტრავმებიც იყო. ოპერაციის შემდეგ ხასაიასა და ნოზაძეს სამ-სამი თვით მოუწევთ იძულებითი დასვენება. ისინი ვარჯიშს მხოლოდ იანვრიდან თუ განაახლებენ. საბედნიეროდ, ამ ხნის განმავლოვაში ჩვენი ფალავნები სერიოზულ ტურნირებს არ დააკლდებიან, რადგან სეზონი უკვე დასრულებულია. სავარაუდოდ, საქართველოს ჩემპიონატში ვერ გამოვლენ, რომელიც იანვარში გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი. შესარჩევი ტურნირი. შესარჩევი ტურნირი. მეორე წრე. მეოთხე ტური

# ჯერ თურმე სადა ხარ?!

**სოფიო გვეტაძე - სოფიკო ხუხაშვილი 1: 0**
**მაია ლომინეიშვილი - ნინო ხურციძე 1:0**

შესარჩევი ტურნირის მეორე წრის მესამე ტურს შეიძლებოდა ნაკრების ერთი წევრი გამოევლინა, - ამისთვის **სოფიკო ხუხაშვილს სოფიო გვეტაძისთვის** უნდა მოეგო; ყაიმიც კი აძლევდა კარგ შანსს - ნებისმიერ შემთხვევაში მეორე ადგილზე მაინც გავიდოდა და ერთადერთი საშიშროება, რაც შეიძლებოდა დამუქრებოდა ხუხაშვილს, ის იყო, რომ იმდენივე სხვასაც მოეგროვებინა და გადათამაშებაში დამარცხებულიყო. გვეტაძეს და სხვებსაც უფრო რთული პრობლემები ჰქონდათ გადასაწყვეტი და მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდნენ, ამიტომაც მოცლა არც ერთი მხარის ფიგურებს არ ექნებოდათ და ბრძოლაში ჩაზმა ჯიქურ მოუწევდათ. განსაკუთრებით ეცდებოდა ამას გვეტაძე, რადგანაც ლიდერთან გამარჯვება ბევრად პრესტიჟულია და თანაც ძალიან მიუახლოვდებოდა ლიდერს. მეორე წყვილში **მაია ლომინეიშვილი ნინო ხუციძეს** თეთრებით უპირებდა დამარცხებას.

გვეტაძე-ხუხაშვილის პარტიაში თეთრებმა თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა. შავები სტრატეგიის შერჩევაში შეცდნენ - ღია დებიუტი აირჩიეს - სიცილიური დაცვა, სადაც , როგორც ცნობილია, ორივე მხარეს შეტევის კარგი შანსები აქვს; თამაშიც ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობს და ვინ - ვისაც დაასწრებს, მოგებულიც ის რჩება. შავები ღია დებიუტებს მაშინ მიმართავენ, როცა მოგება სჭირდებათ, ხუხაშვილს კი, როგორც უკვე გითხარით, ყაიმიც აძლევდა ხელს. რატომ აირჩია სახიფათო გზა, გაუგებარია, თუმცა ჩვენთან კომენტარში აღნიშნა, რომ მეტოქისათვის უცნობი გზით წასვლას აპირებდა და ამით დაბნეულობის გამოწვევას ეცდებოდა. ჩანაფიქრმა არ გაამართლა - გვეტაძემ სწორად აუღო ალღო ვითარებას, არც დაბნეულა, როგორც წინა შეხვედრებში მოსდიოდა და შანსები შესანიშნავად გამოიყენა - ნელ-ნელა გააუმჯობესა პოზიცია, მერე პაიკიც მოიგო და რამდენიმე სვლაში გამარჯვებაც გაიფორმა. სიმართლე რომ ვთქვათ, ხუხაშვილი ორჯერ გადაურჩა წაგებას ამ ტურნირზე და მისი მარცხი ერთგვარი კანონზომიერებაა, თანაც გვეტაძესაც უმტყუნა იღბალმა და მელიასთან მეხუთე ტურში ულაპარაკოდ მოგებული პოზიცია ვერ მიიყვანა სასურველ დასასრულამდე. ამ გამარჯვებით გვეტაძე ხუხაშვილს ნახევარ ნაბიჯზე კი მიუახლოვდა, მაგრამ დღეს ისვენებს და მარაგში მხოლოდ ერთი პარტია რჩება მაია ლომინეიშვილთან. მაიას თავად აქვს შანსები მოსაძიებელი - აქამდე ბოლო ადგილზე იყო და გუშინ რომ ვერ გაემარჯვა, შეიძლებოდა მისი ამოწერა კანდიდატთა სიიდან. ასეთი საშიშროება ნამდვილად იყო, რადგანაც მაიას მისთვის მეტად უხერხული მეტოქე ჰყავდა ნინო ხურციძის სახით. გემახსოვრებათ, რომ პირველ წრეში ხურციძემ ერთადერთი გამარჯვება სწორედ ლომინეიშვილთან იზეიმა. მართალია, მაშინ თეთრებით იყო, მაგრამ გამარჯვება შავებითაც შესაძლებელია და მაიასთან ურთიერთშეხვედრების სტატისტიკა ამაზე მეტყველებს... ზუსტი მაჩვენებლები არა მაქვს, მაგრამ ის კი დაზუსტებით ვიცი, რომ ლომინეიშვილს ხურციძესთვის 2000 წლის შემდეგ ოფიციალურ შეხვედრებში, კლასიკურ პარტიებში ვერ მოუგია. ნამდვილად უცნაურია, რადგანაც მაიას ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებიც ჰყავს არაერთხელ დამარცხებული და სხვა ძლიერი დიდოსტატებისთვისაც მოუგია, მათ შორის მამაკაცი დიდოსტატებისთვისაც. უხერხული მეტოქეც სწორედ იმას ჰქვია, რომ რაღაც არ გამოგდის მასთან... სპორტის ნებისმიერ სახეობაში უამრავ მსგავს მაგალითს მოიძიებს დაინტერესებული კაცი... აქედან გამომდინარე, გუშინდელი შეხვედრა კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენდა - გატეხდა ნავსს ლომინეიშვილი თუ ვერა? გამარჯვება მას ჰაერივით სჭირდებოდა და რადგან თეთრი ფერიც მისი არჩივი იყო, სხვა გზა არ დარჩენოდა - აქტიურად უნდა ეთამაშა. მიუხედავად იმისა, რომ სადებიუტო მომზადება ლომინეიშვილს ერთ-ერთი საუკეთესო აქვს ქალთა ჭადრაკში, ხოლო ხურციძის საუკეთესო მხარე დებიუტები ნამდვილად არ არის, საწყის სტადიაზე მაიამ ღირებული ვერაფერი მიიღო - პოზიცია შეტევის საშუალებას არ იძლეოდა. თუმცა შუა თამაშში ნინომ მცდარი სვლა გააკეთა, რაც მყისვე გამოიყენა მეტოქემ - ზუსტი ტაქტიკური დარტყმით პაიკი მოიგო და აიძულა ხურციძე უარეს ენდშპილში გადასულიყო. დაბოლოებაში კი უკვე ტექნიკის დემონსტრირებაღა იყო საჭირო, რასაც კარგად გაართვა თავი ლომინეიშვილმა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა.

ამის შემდეგ კიდევ უფრო ჩაიხლართა სიტუაცია სატურნირო ცხრილში და თუკი აქამდე რამდენიმეს თეორიული შანსები ჰქონდა, დღეის შემდეგ ხუთივეს შეუძლია გამსვლელი ადგილებისთვის იბრძოლოს; ის კი არა და, უპირობო ფავორიტს, სოფიკო ხუხაშვილს გარანტირებული აღარაფერი აქვს - თუკი ორივე შეხვედრა წააგო, ბორტს მიღმა დარჩება. მარცხმა ძალიან დასწია უკან ხურციძე - იგი ბოლო ტურში არ თამაშობს და ერთი პარტია აქვს დარჩენილი **სალომე მელიასთან**. მოგება აუცილებლად სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაკრებში ვერ მოხვდება.

როგორც გითხარით, დღეს ისვენებს გვეტაძე, რაც იმას ნიშნავს, რომ მასაც ერთი პარტია აქვს მარაგში და სხვასთან შედარებით წამგებიან მდგომარეობაშია. შანსებზე საუბარს აქ დავასრულებთ, რადგანაც ბევრი ვარიანტია და თუკი მკითხველი მოისურვებს, სატურნირო ცხრილიდან და დარჩენილი ტურებიდან თავადაც კარგად გამოითვლის, ვის რა შეუძლია ერგოს...

დღევანდელი ტურის წყვილები: **სოფიკო ხუხაშვილი - მაია ლომინეიშვილი; ნინო ხურციძე - სალომე მელია.**

ბოლო ტურის წყვილები: **მაია ლომინეიშვილი - სოფიო გვეტაძე; სალომე მელია სოფიკო ხუხაშვილი.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. სოფიკო ხუხაშვილი - 4 (6); 2. სოფიო გვეტაძე - 3,5 (7); 3. მაია ლომინეიშვილი - 3 (6); 4.ნინო ხურციძე - 3 (7); 5. სალომე მელია - 2,5 (6).**

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

# ამერიკელის შანსი



პაოლო ბეტინი

**იტალიის** ქალაქ ვარეზეში მსოფლიოს რიგით 75-ე ჩემპიონატი დაიწყო. ამ პირველობაზე მთავარი ინტრიგა იტალიელ ველომრბოლ პაოლო ბეტინის უკავშირდება. მას ისტორიაში შესვლის უნიკალური შანსი აქვს: დღემდე არც ერთ სპორტსმენს არ მოუგია ჯგუფური რბოლა ზედიზედ სამჯერ. ბეტინი ორი წლის წინ - ზალცბურგში და შარშან შტუტგარტში პირველი მივიდა ფინიშთან.

34 წლის **პაოლო ბეტინი** ლა კალიფორნიაში (ეს პატარა დასახლება არა ამერიკაში, არამედ იტალიის ქალაქ ლივორნოს ახლოს მდებარეობს) დაიბადა, ამიტომაც მეტსახელიც შესაბამისი აქვს - "ამერიკელი". ბეტინი უკვე მიიჩნევა იმ ელიტური ჯგუფის წევრად, სადაც ის ველომრბოლები არიან გაერთიანებულნი, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატი ზედიზედ ორჯერ აქვთ მოგებული. ახლა არსებობს ისეთი მეტრების გასწრების შანსი, როგორებიც არიან **გრეგ ლემონდი, ჯანი ბუნიო, ფრედი მარტენსი, ჟორჟ რონსე, ბრიკ სკოტი** და **რიკ ვან ლოოი**. სამგზის ჩემპიონთა ჯგუფი ოთხი ველომრბოლისგან შედგება - იტალიელი **ალფრედო ბინდა** (1927, 1930, 1932), ბელგიელები **ედი მერქსი** (1967, 1971, 1974) და **რიკ ვან სტეენბერგენი** (1949, 1956, 1957), ესპანელი **ოსკარ ფრეირე** (1999, 2001, 2004). მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, სამჯერ ზედიზედ ეს ტურნირი არავის მოუგია.

ოსკარ ფრეირე ვარეზეში იასპარეზებს და შესაბამისად, მეოთხე ტიტულის მოგების შანსი ექნება. ესპანეთის ნაკრებში მას უძლიერესი პარტნიორები ეყოლება: 25 წლის **ალბერტო კონტადორი**, რომელმაც წელს "ჯირო დ'იტალია" და "ვუელტა" მოიგო, პეკინის ოლიმპიური ჩემპიონი **სამუელ სანჩესი** და მსოფლიოს ჩემპიონატის სამგზის პრიზიორი **ალეხანდრო ვალვერდე**.

იმის გათვალისწინებით, რომ ფრეირეს ოთხი წელია სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევია, პაოლო ბეტინის უფრო მეტი შანსი რჩება.

■ ■ ■

მამაკაცებს შორის ორი მთავარი სტარტი 25 და 28 სექტემბერს გაიმართება. ჯერ დროზე ინდივიდუალური რბოლაა დანიშნული, ბოლოსთვის კი ორგანიზატორებმა ყველაზე საინტერესო ჯგუფური რბოლა შემოინახეს.

ჯგუფური რბოლისას ტრასის სიგრძე 260,25 კილომეტრი იქნება. დისტანცია 15 წრისგან (17,35 კმ) შედგება. ყოველ წრეზე ორ-ორი აღმართია. პირველი ამაღლება ველომრბოლებს სტარტზევე ელით - მისი სიგრძე 1,69 კილომეტრია, სიმაღლეთა სხვაობა კი 6,5 პროცენტი. ფინიშის წინ მეორე აღმართი უფრო გრძელია (3,13 კმ). ის 13,79-კილომეტრიანი ნიშნულიდან იწყება, ხოლო სიმაღლეთა საშუალო სხვაობა 4,5 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, წრის ის მონაკვეთი, რომელიც 1,69-კილომეტრიანი ნიშნულიდან იწყება და 10,66 კილომეტრზე მთავრდება, დაღმართს წარმოადგენს.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ტრასის ასეთი პროფილი, პირველ რიგში, ფინიშიორებისთვისაა მოსახერხებელი. ამიტომაც მთავარ პრეტენდენტად ჩვენ მიერ უკვე ნახსენები ალეხანდრო ვალვერდე მიიჩნევა. მისი და ბეტინის გარდა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ბელგიელ **ფილიპ ჟილბერს**, ფრანგ **სილვენ შავანელსა** და გერმანელ **შტეფან შუმახერს**.

თავად ველომრბოლები მიიჩნევენ, რომ ფინიშზე პირველი 30-40 ველომრბოლისგან შემდგარი ჯგუფი მივა და სწორედ ისინი გაითამაშებენ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს. ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ ასეთ რთულ ტრასაზე რომელიმე ველომრბოლმა გაქცევა მოახერხოს: ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ რბოლა რთულ კლიმატურ პირობებში ჩაივლის ან რაიმე ფორსმაჟორულ გარემოებას ექნება ადგილი.

ტრადიციისამებრ, ძირითადი ბრძოლა ესპანეთისა და იტალიის ნაკრებებს შორის გაიმართება. ესპანელ ველომრბოლებზე უკვე გითხარით. რაც შეეხება იტალიელებს, მათ რიგებში ბეტინის გარდა, **დავიდე რებელინისა** და **ლუკა პაოლინის** გამოყოფა შეიძლება.

კიდევ ვისზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება? სათვალავიდან არ უნდა ამოვაგდოთ ლუქსემბურგელები **ფრან შლეკი** და **კიმ კირხენი**, ბელგიელები **გრეგ ვან ავერმაეტსი** და **ნიკ ნუიენსი**, ამერიკელ **ლევი ლაიპჰაიმერი**.

■ ■ ■

რაც შეეხება დროზე ინდივიდუალურ რბოლას, რომელსაც ჯგუფურთან არაფერი აქვს საერთო, ის ლამაზი ტბის გარშემო ჩაივლის - ველომრბოლებს 43,7 კილომეტრის გავლა მოუწევთ. რბოლა მოკლე აღმართით დაიწყება, შემდეგ იქნება 6-კილომეტრიანი დაღმართი, 22,29 კილომეტრი სიგრძის სწორი მონაკვეთი, მკვეთრი 2-კილომეტრიანი აღმართი (რომელზეც სპორტსმენებს 82-მეტრიან სიმაღლეზე ასვლა მოუწევთ) და ბოლოს - სწორი წინასაფინიშო მონაკვეთი, რომლის სიგრძეა 11 კილომეტრი.

ვარეზეში 27 წლის შვეიცარიელი **ფაბიან კანჩელარა** რომ ჩასულიყო, ამ დისციპლინაში მთავარი ფავორიტის დასახელება არ გაჭირდებოდა. კანჩელარა "ინდივიდუალურში" პეკინის თამაშების გამარჯვებული და ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია. მაგრამ სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე შვეიცარიელმა განაცხადა, რომ ურთულესი სეზონისგან დაიღალა და უარს ამბობს ჩემპიონატში გამოსვლაზე. *"სურვილი მაქვს, მაგრამ ძალები აღარ შემრჩა. მარტო სურვილით შორს ვერ წავალ"*, - აღნიშნა კანჩელარამ.

ექსპერტთა აზრით, შვეიცარიელის არყოფნაში იზრდება ინდივიდუალურ რბოლაში სამგზის მსოფლიოს ჩემპიონის, ავსტრალიელი **მაიკლ როჯერსის** შანსი. 28 წლის ველომრბოლმა ზედიზედ სამჯერ მოიგო ოქრო - 2003, 2004 და 2005 წლებში.

როჯერსს უამრავი კონკურენტი ჰყავს. პირველ რიგში, ესენი არიან ამერიკელები - ლევი ლაიპჰაიმერი და **დევიდ ზაბრისკი**, ესპანელები - ალბერტო კონტადორი და **ივან გუტიერესი**, ჰოლანდიელი **სტეფ კლემენტი** და ბრიტანელი **დევიდ მილარი**.

| ბოლო სამი ჩემპიონატის პრიზიორები |
| --- |
| **ინდივიდუალური** |
| **2005** |
| 1. მაიკლ როჯერსი (ავსტრალია) |
| 2. ივან გუტიერესი (ესპანეთი) |
| 3. ფაბიან კანჩელარა (შვეიცარია) |
| **2006** |
| 1. ფაბიან კანჩელარა (შვეიცარია) |
| 2. დევიდ ზაბრისკი (აშშ) |
| 3. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზ) |
| **2007** |
| 1. ფაბიან კანჩელარა (შვეიცარია) |
| 2. ლასლო ბოდროგი (უნგრეთი) |
| 3. სტეფ კლემენტი (ჰოლანდია) |
| **ჯგუფური** |
| **2005** |
| 1. ტომ ბოონენი (ბელგია) |
| 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპ) |
| 3. ანტონიო ქესლენი (საფრანგეთი) |
| **2006** |
| 1. პაოლო ბეტინი (იტალია) |
| 2. ერიკ ცაბელი (გერმანია) |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპ) |
| **2007** |
| 1. პაოლო ბეტინი (იტალია) |
| 2. ალექსანდრ კოლობნევი (რუსეთი) |
| 3. შტეფან შუმახერი (გერმანია) |

# არმსტრონგი ავსტრალიით დაიწყებს



ლენს არმსტრონგი

**წლევანდელი** სეზონის გმირი, ყაზახური "ასტანის" ლიდერი **ალბერტო კონტადორი** 2009 წელს სხვა საჯინიბოში გადავა. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ "ასტანის" ხელმძღვანელობა თავის რიგებში ლეგენდარულ ამერიკელ ველომრბოლ **ლენს არმსტრონგს** მიიწვევს.

*"ვფიქრობ, დავიმსახურე ამ გუნდში პირველი ველომრბოლის სტატუსი. ჩემთვის არასასიამოვნო იქნება, თუ ამ როლს არმსტრონგს გადაულოცავენ. "ასტანაში" დარჩენა მინდა, მით უმეტეს, რომ ამ გუნდთან 2010 წლის ბოლომდე მაქვს კონტრაქტი. ამავდროულად ვადასტურებ, რომ ბევრი სხვა საჯინიბოსგან მაქვს მიწვევა და უმუშევარი ნამდვილად არ დავრჩები"*, - აცხადებს ესპანელი სპორტსმენი.

ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონმა ლენს არმსტრონგმა ცოტა ხნის განაცხადა, რომ სამწლიანი პაუზის შემდეგ პროფესიულ სპორტში აპირებს დაბრუნებას. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ამერიკელი "ასტანაში" გააგრძელებს კარიერას.

რაც შეეხება კონტადორს, წელს მან უნიკალურ შედეგს მიაღწია - ჯირო დ'იტალია და ვუელტა მოიგო და პირველი ესპანელი გახდა, ვისაც კარიერაში სამი დიდი ველომარათონი აქვს მოგებული. კონტადორმა ტურ დე ფრანსზე 2007 წელს გაიმარჯვა.

■ ■ ■

ამასობაში გაირკვა, რომ ლენს არმსტრონგი 2009 სეზონს Tour Down Under-ის მრავალდღიან რბოლაში მონაწილეობით გახსნის. ტრადიციისამებრ, ეს შეჯიბრი იანვარში ავსტრალიაში იმართება და ის პირველი რბოლაა "პროტურის" სერიაში. გაისად Tour Down Under-ის ჩატარება 20-25 იანვარს არის ნავარაუდები.

არმსტრონგის ავსტრალიაში გამოსვლა ველომრბოლის ვებგვერდზე ოფიციალურად დადასტურდა.

რაგბი

# ავსტრალიამ შემადგენლობა დაასახელა



ჯეიმს ო'კონორი

**ავსტრალიის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რობი დინსმა** ნოემბრის სატესტო მატჩებისთვის შემადგენლობა გამოაცხადა.

გუნდში 34 მორაგბე შევიდა, აქედან ოთხი მოთამაშე აქამდე არასოდეს მიუწვევიათ ეროვნულ გუნდში. რამდენიმე მორაგბე (**ბერიკ ბარნსი, უაიკლიფ პალუ, ლუკ ბერჯესი**), რომელმაც ტრავმების გამო სამი ერის თასის ბოლო მატჩები გამოტოვა, ასევე შეყვანილია განაცხადში. და კიდევ, გუნდს შეიძლება შეუერთდეს ტრავმირებული **ლოტე ტიკური**.

*"რატომ შევიყვანე გუნდში 18 წლის ჯეიმს ო'კონორი? ვფიქრობ, მოვიდა დრო, ამ ბიჭმა საერთაშორისო არენაზე სცადოს ბედი. ამ ორი თვის განმავლობაში ის უდიდეს გამოცდილებას მიიღებს"*, - განაცხადა დინსმა.

ო'კონორი "ვოლაბების" ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მორაგბე გახდება. ავსტრალიის ნაკრებს ხუთი ამხანაგური მატჩი ელის. პირველი 15 ნოემბერს ინგლისში გაიმართება, მანამდე კი ავსტრალია ჰონგკონგში ბლედისლოუს თასისთვის ახალ ზელანდიას გაეჯიბრება.

■ ■ ■

სატესტო მატჩებამდე ავსტრალია წლის საუკეთესო მორაგბეს გამოავლენს. უკვე დასახელდა იმ ხუთი მოთამაშის გვარი, ვინც "ჯონ ილსის მედლის" (John Eales Medal) მოპოვებაზე აცხადებს პრეტენზიას. ესენი არიან: **როკი ელსომი, მეტ ჟიტო, სტირლინგ მორთლოკი,** უაიკლიფ პალუ და **ჯორჯ სმიტი**.

ტრადიციისამებრ, ლაურეატს თავად მორაგბეები ირჩევენ. ისინი ყოველი მატჩის შემდეგ ერთმანეთს ნიშნებს უწერენ და ბოლოს მათი ქულებს აჯამებენ. გასულ წელს ეს ტიტული **ნათან შარპს** ერგო.

ავსტრალიაში კიდევ ერთი მსგავსი პრემია არსებობს. ამ შემთხვევაში ქვეყნის საუკეთესო მოთამაშეს სხვადასხვა ვებგვერდების მეშვეობით თავად გულშემატკივრები ირჩევენ. ორივე ჯილდოს მფლობელი 23 ოქტომბერს გახდება ცნობილი.

# იქნება ახალი ტურნირი?

**ახალი ზელანდიის** ნაკრების კაპიტანმა **რიჩი მაკოუმ** განაცხადა, რომ მხარს უჭერს მსოფლიოს ათ საუკეთესო ნაკრებს შორის ახალი ტურნირის ჩატარების იდეას. მაკოუ ოქტომბერში, IRB-ის კონგრესზე ამ იდეის მხარდასაჭერად სიტყვითაც გამოვა.

*"თუ ამ იდეას სწორად შევასხამთ ხორცს, მომავალი ტურნირი ნამდვილ სპექტაკლად იქცევა. სეზონის ბოლოს ამხანაგური მატჩების ნაცვლად, უმჯობესი იქნება, თუ ასეთი ტიპის ტურნირს ჩავატარებთ. ეს მონაწილეებსაც მოეწონებათ და გულშემატკივრებსაც"*, - მოჰყავს მაკოუს სიტყვები New Zealand Press Association-ს.

ტურნირს, სავარაუდოდ, მსოფლიოს სერია (World Series) ერქმევა. მისი გამართვის იდეა რაგბის საერთაშორისო კავშირს (IRB) ეკუთვნის. ამ ორგანიზაციას მსოფლიოს თასის გარდა, ნაკრებებისთვის კიდევ ერთი სერიოზული ტურნირის ჩატარება სურს. მსოფლიოს სერიაში დიდი საპრიზო ფონდი იქნება - დღეისთვის სახელდება 22 მილიონი ავსტრალიური დოლარი.

ვარაუდობენ, რომ გუნდები ერთწრიანი სისტემით ითამაშებენ და სამი ერისა და ექვსი ერის თასების ზოგიერთ მატჩს მსოფლიოს სერიის ჩათვლაში გაითვალისწინებენ. ფინალური მატჩის მასპინძელი შეიძლება "უემბლის" სტადიონი გახდეს.

პირველი ტურნირის ჩატარება 2010 წელს არის ნავარაუდები. მსოფლიოს სერიაში თამაშზე პრეტენზიას აცხადებენ ახალი ზელანდია, სამხრეთი აფრიკა, ავსტრალია, არგენტინა, ინგლისი, უელსი, საფრანგეთი, ირლანდია, შოტლანდია და იტალია.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### ჩოგბურთი

# წილი ნაყარია

| 1/8 | 1/4 | 1/2 | ფინალი |
|---|---|---|---|
| არგენტინა (1) – ჰოლანდია | | | |
| ჩეხეთი – საფრანგეთი (8) | | | |
| აშშ (4) – შვეიცარია | | | |
| ხორვატია (5) – ჩილე | | | |
| შვედეთი (6) – ისრაელი | | | |
| რუმინეთი – რუსეთი (3) | | | |
| გერმანია (7) – ავსტრია | | | |
| ესპანეთი (2) – სერბეთი | | | |

დევისის თასის ნახევარფინალური მატჩების შემდეგ, ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში 2009 წლის გათამაშების წილისყრა გაიმართა.

მსოფლიოს ლიგაში მონაწილე 16 გუნდი მერვედფინალში შემდეგნაირად გადანაწილდა: არგენტინა-ჰოლანდია, ჩეხეთი-საფრანგეთი, აშშ-შვეიცარია, ხორვატია-ჩილე, რუმინეთი-რუსეთი, შვედეთი-ისრაელი, გერმანია-ავსტრია, ესპანეთი-სერბეთი.

მერვედფინალური მატჩები 6-8 მარტს გაიმართება, მეოთხედფინალი - 10-12 ივლისს, ნახევარფინალი - 18-20 სექტემბერს და ფინალი - 4-6 დეკემბერს.

■ ■ ■

იტალიის ჩოგბურთის ფედერაციამ მკაცრი სასჯელი გამოუტანა ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან ჩოგბურთელს **სიმონე ბოლელის**. ამ უკანასკნელმა გასულ უიქენდზე დევისის თასის ევრო-აფრიკულ ჯგუფში გამოსვლა იუარა და სანაცვლოდ ბანგკოკისა და ტოკიოს ტურნირებისთვის მომზადებაზე გააკეთა აქცენტი.

იტალიამ ბოლელის გარეშე დაამარცხა ლატვიის ნაკრები (3:2). რაც შეეხება მსოფლიოს კლასიფიკაციის 45-ე ნომერს, ამიერიდან მას არც დევისის თასზე და არც ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალება აღარ ექნება.

გია თვალაბეიშვილი

### ავტოსპორტი

# ჟაკ ვილნევი არგენტინაში წავიდა

ფორმულა 1-ში კარიერის დასრულების შემდეგ, მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონმა **ჟაკ ვილნევმა** ძალები ამერიკულ სერია ნასკარში და ლე მანის 24-საათიან რბოლაში მოსინჯა. მომავალ უიქენდზე კანადელი ავტომრბოლი არგენტინაში, Top Race V6-ის სარბოლო სერიაში მიიღებს მონაწილეობას.

რბოლა **ოსკარ ალფრედო გალვესის** სახელობის ავტოდრომზე ჩაივლის - ეს ტრასა ვილნევს ჯერ კიდევ ფორმულაში გამოსვლის პერიოდიდან ახსოვს.

*"ბუენოს აირესი ჩემთვის ფეხბედნიერი ქალაქია. აქ ყოველთვის წარმატებას ვაღწევდი. ამიტომაც შეთავაზებისას ბევრი არ მიფიქრია და მაშინვე არგენტინისკენ გავემგზავრე. აქ ჩამოსვლისას განსხვავებული ტრასა დამხვდა - ეს არის გრძელი წრე, სადაც ძალიან ცოტა მოსახვევია. ფორმულაში გამოსვლისას, ამ ტრასას სულ სხვანაირი კონფიგურაცია ჰქონდა. ვფიქრობ, ძალიან გავერთობით!"* - განაცხადა ვილნევმა.

სერია Top Race V6 - ნასკარის არგენტინულ ვერსიად უნდა მივიჩნიოთ. აქ "ჯენერალ მოტორსის", "მერსედესის", "პეჟოსა" და "ფოლკსვაგენის" სპეციალურად მომზადებული მანქანებით ეჯიბრებიან ერთმანეთს.

გია თვალაბეიშვილი



## TV სპორტი

### 25 სექტემბერი. ხუთშაბათი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბეტისი.
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სპორტინგი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.
18:10 ზუსტი გათვლა.
18:30 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ესპანიოლი.
20:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:40 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
20:50 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ვალენსია (LIVE).
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბეტისი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ჰამბურგი.
09:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
09:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-სტოკი.
11:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
13:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
14:45 სპორტდოსიე. თხილამურები.
15:10 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
15:20 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. პიტსბურგი-დეტროიტი.
17:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მანჩესტერ იუნაიტედი-ვილიარეალი.
18:55 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
19:25 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:35 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. ბოკა ხუნიორსი-ლიგა დე კიტო.
21:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ვალენსია (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალიადოლიდი-ალმერია.
01:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
03:40 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. პიტსბურგი-დეტროიტი.
05:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.

**EUROSPORT**

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
11:00 ცხენოსნობა. სუპერლიგა. ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
13:45 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. დროზე რბოლა. იტალია.
15:00 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. დროზე რბოლა. იტალია (LIVE).
19:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 სნუკერი.
21:15 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. ლატვია.
22:15 პროფესიული კრივი. მძიმე წონა. ა. პოვეტკინი (რუსეთი)-ტ. საიკსი (აშშ). რუსეთი.
00:00 რალი. IRC-ის ახალი სერია. იტალია (LIVE).
00:30 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. დროზე რბოლა. იტალია.
03:15 სპორტული მეგზური.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ექსტრემალური სპორტი.
14:30 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
15:00 ახალი ამბები.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
18:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ფინალი. აზერბაიჯანი.
18:45 ახალი ამბები.
19:00 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. კანბერა. ავსტრალია.
19:30 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.
21:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
22:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ჯეფ იუნაიტედი-ნაგოია.
23:30 კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი.
01:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
05:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ინგლისის ლიგის თასი | |
|---|---|
| ასტონ ვილა-ქუინზ პარკი | 0:1 |
| ბრაიტონი-მანჩ. სიტი | 2:2, პენ. 5:3 |
| იფსვიჩი-ვიაგნი | 1:4 |
| ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1:2 |
| პორტსმუტი-ჩელსი | 0:4 |
| ბოლქბერნი-ევერტონი | 1:0 |

| იტალია. სერია C1/A | |
|---|---|
| სპალ-კრემონეზე | 0:0 |

| გერმანიის თასი | |
|---|---|
| დორტმუნდი-ჰერტა | 1:1, დ.დ. 2:1 |
| ჰამბურგი-ბოხუმი | 2:0 |
| ოფენბახი-კარლსრუე | 0:2 |
| ობერნოილანდი-ვოლფსბურგი | 0:7 |
| ვეენი-ალემანია | 1:0 |
| ბაიერნი-ნიურნბერგი | 2:0 |
| კარლ ცაისი-ფრანქფურტი | 1:0 |
| ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი | 3:1 |
| შტუტგარტი-არმინია | 2:0 |

| საფრანგეთი. ლიგის თასი | |
|---|---|
| მონაკო-ტულუზა | 0:1 |
| მონპელიე-ლილი | 2:2, პენ. 4:2 |
| მეცი-ტრუა | 3:1 |
| გრენობლი-ნანსი | 2:2, დ.დ. 2:3 |
| გინგამი-სტ. ეტიენი | 4:1 |
| ჰავრი-კაენი | 0:0, დ.დ. 3:1 |
| ლორიანი-ლანსი | 0:3 |
| რენი-ლე მანი | 2:2, პენ. 4:3 |
| სოშო-მარსელი | 1:0 |

| ჰოლანდიის თასი | |
|---|---|
| დე გატავენი-ექსელსიორი | 0:1 |
| ემენი-ტვენტე | 0:5 |
| აიაქსი II-ვიტესი | 0:2 |
| კაპელი-როდა | 2:4 |
| დე ტრეფერსი-გრააფსხ. | 3:3, დ.დ. 3:4 |
| ვეენედაალი-ბრედა | 1:3 |
| ჰსც-სპარტა (რ) | 1:2 |
| კოზაკენი-ვკე ემენი | 1:1, დ.დ. 1:2 |
| მაასტრიხტი-ჰერენვეენი | 0:3 |
| კუიკ ბოისი II-ეინდჰოვენი | 0:3 |
| სპაკენბურგი-ტელსტარი | 0:1 |
| სპარტა (ნ)-ლინდენი | 1:1, დ.დ. 1:2 |
| ვენლო-ვოლენდამი | 2:2, დ.დ. 2:3 |
| ფეიენოორდი-ტოპ ოსი | 0:0, დ.დ. 3:0 |

| ბელგია | |
|---|---|
| მეხელენი-ბრიუგე | 1:1 |

| პორტუგალია. ლიგის თასი | |
|---|---|
| ლეიქსოეში-რიუ ავე | 1:2 |
| კოვილია-ჟილ ვისენტე | 1:2 |
| ამადორა-ვიზელა | 4:1 |
| ტროფენსე-ლეირია | 1:0 |
| ეშტორილი-ოლანენსე | 2:1 |
| ფრეამუნდე-გონდომარი | 0:1 |

| შოტლანდია. ლიგის თასი | |
|---|---|
| კილმარნოკი-აბერდინი | 4:2 |
| მოზერველი-ჰემილტონი | 1:1, დ.დ. 1:2 |
| პარტიკი-რეინჯერსი | 1:1, დ.დ. 1:2 |

| დანია | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ნორდსილანდი | 2:1 |

| ნორვეგიის თასი | |
|---|---|
| სტაბეკი-მიოლდე | 3:0 |

| შვედეთი | |
|---|---|
| გეფლე-გაის | 0:0 |
| ჰელსინგბორგი-კალმარი | 1:0 |
| გიოტებორგი-ლიუნგსკილე | 0:0 |
| იურგორდენი-აიკ | 1:1 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| დეგერფორსი-ლანდსკრონა | 2:0 |
| ბუნკეფლო-კვიდინგი | 2:2 |
| მიალბიუ-ფალკენბერგი | 4:1 |
| სირიუსი-ბრომაპიოკარნა | 2:2 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ინტერი-მარიეჰამნი | 2:0 |
| კუოპიო-ტამპერე | 1:1 |

| ავსტრია | |
|---|---|
| აუსტრია (ვ)-ალტახი | 2:1 |
| კაპფენბერგი-აუსტრია (კ) | 0:2 |
| მატერსბურგი-ლინცერი | 1:4 |
| ზალცბურგი-შტურმი | 3:1 |

| თურქეთის თასი | |
|---|---|
| ალანია-გენჩლერი | 2:1 |
| ბეიქოზი-ალთაი | 0:1 |
| ისქენდერუნი-კაისერი | 1:5 |
| ისთანბული-ანკარა | 0:1 |
| ანკარაგიუჯუ-გირეშუნი | 5:1 |
| ბურსა-ვანი | 3:0 |
| ესქისეჰირი-დიარბაქირი | 2:0 |
| ბუიუქსეჰირი-თოქათი | 1:1, დ.დ. 1:2 |
| ქონია-გიუნგორენი | 1:0 |
| მალათია-ჰაჩეთეფე | 1:0 |
| მანიშა-ქოჯაელი | 4:1 |
| რიზე-გაზიანთეფი | 0:2 |
| სამსუნი-ანთალია | 1:1, პენ. 7:8 |
| ტრაბზონი-ქარაბუქი | 2:0 |

| კვიპროსის თასი | |
|---|---|
| არისი (ლ)-აეპ | 1:1 |
| აია-ეთნიკოსი (ა) | გადაიდო |
| ჰალკანორასი-ენოსისი | 2:3 |
| მეაპ-აეკ | 0:1 |
| ნეა სალამისი-დოხა | 1:3 |
| ონისილოსი-ენთოი | 0:1 |
| პაეეკ-ატრომიტოსი | 0:2 |
| ოლ. ნიქოზია-აელ | 0:3 |

| ისლანდია | |
|---|---|
| ჰაფნარი-ბრეიდაბლიკი | 3:0 |

| სლოვაკეთის თასი | |
|---|---|
| არტმედია-ლუჩენეცი | 2:0 |

| რუსეთის თასი | |
|---|---|
| ტომი-ვოლგა | 2:2, პენ. 4:1 |
| მოსკოვი-ტერეკი | 3:0 |
| კრილია-სიბირი | 0:2 |
| ლოკომოტივი-ვიტიაზი | 1:0 |
| შინიკი-სპარტაკი | 1:2 |
| ცსკა-ბალტიკა | 1:0 |
| რუბინი-ამკარი | 0:0, პენ. 4:1 |

| სლოვენია | |
|---|---|
| პრიმორიე-დომჟალე | 3:3 |
| დრავა-ნაფტა | 1:0 |
| ინტერბლოკი-გორიცა | 2:0 |
| კოპერი-მარიბორი | 1:1 |
| რუდარი-პუბლიკუმი | 2:2 |

| პოლონეთის თასი | |
|---|---|
| სტალი-ბელხატოვი | 1:0 |
| ლუბლინი-ლკს | 0:2 |
| ოპალენიცა-ზაგლებე | 1:0 |
| ვარტა-რუხი | 0:2 |
| ზაბიერჟოვი-კორონა | 3:0 |
| იასტრჟებე-ზაგლებე | 3:3 |
| ლეხია II-ვისლა | 0:3 |
| არკა-ოდრა | 1:2 |

### ჰოკეი

| კჰლ | |
|---|---|
| ვიტიაზი-დინამო (მნ) | 0:2 |
| სპარტაკი-დინამო (რ) | 5:1 |
| ცსკა-დინამო (მ) | 3:2 |

### ჩოგბურთი

| ATP. ბანგკოკი | |
|---|---|
| ტროიცკი-სანტორო | 7:6, 6:2 |
| ბოლელი-ბელუჩი | 6:3, 6:3 |
| ცონგა-დლუჰი | 7:6, 3:6, 7:6 |
| ნიემინენი-მ. ჯოკოვიჩი | 6:2, 6:0 |
| ზვერევი-სმეეტსი | 6:4, 6:4 |
| მონფილსი-კენდრიკი | 6:4, 7:6 |
| მელცერი-იანგი | 6:3, 6:3 |

| ATP. პეკინი | |
|---|---|
| სოედა-ბაი | 6:4, 7:5 |
| კარანუშიჩი-ევანსი | 6:7, 6:1, 6:7 |
| სელა-დევილდერი | 6:4, 6:3 |
| ვერდასკო-დევილდერი | 6:3, 6:3 |
| შერერი-სუნი | 6:4, 7:6 |
| კუერი-ლევინე | 1:6, 6:2, 7:6 |
| მინარი-ლი | 6:3, 3:6, 6:2 |

| WTA. პეკინი | |
|---|---|
| ა. რადვანსკა-ჟენგი | 2:6, 3:6 |
| ჰანტუხოვა-ტანასუგარნი | 6:1, 0:6, 7:5 |
| იანკოვიჩი-ვოზნიაჩკი | 6:3, 7:5 |

| WTA. სეული | |
|---|---|
| სტოსური-ლისიცკი | 6:4, 6:7, 6:3 |
| კრებიასი-ამანმურადოვა | 7:6, 6:2 |
| პეერი-მორიტა | 6:4, 7:5 |
| მაკაროვა-ზაკოპალოვა | 6:3, 6:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ინტერვიუ მაიკ ბრაუნთან

# კლივლენდს ჩემპიონობა შეუძლია



ლებრონ ჯეიმსი

"კლივლენდ კავალიერზის" მთავარმა მწვრთნელმა მაიკ ბრაუნმა ევროპაში იმოგზაურა, სადაც "ძველი კონტინენტის" წამყვანი კლუბების მუშაობის პროცესს აკვირდებოდა. სამშობლოში დაბრუნებულმა სპეციალისტმა ევროპული კალათბურთის უპირატესობაზე ისაუბრა, ხაზი გაუსვა თავისი გუნდის ლიდერის ლებრონ ჯეიმსის პროგრესსა და "კლივლენდის" საჩემპიონო ამბიციებს.

**- დღეს ბევრს საუბრობენ იმ განსხვავებაზე, რომელიც NBA-სა და ევროპულ კალათბურთს შორის არსებობს. რა შეიძლება ისწავლოს ამერიკელმა მწვრთნელმა ევროპაში?**

- NBA და ევროპული კალათბურთი დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩვენს განკარგულებაში უნიჭიერესი კალათბურთელები არიან - კობი ბრაიანტი, ლებრონ ჯეიმსი, ალენ აივერსონი, კარმელო ენტონი... შეგიძლიათ ამ ბიჭებს უბრალოდ მისცეთ ბურთი და სთხოვოთ, რამე მოიფიქრონ. თხოვნას აუცილებლად შეგისრულებენ. ევროპაში თითქმის შეუძლებელია ასეთი დონის კალათბურთელების პოვნა და შეტევაში თამაშის ერთ კაცზე აწყობა. სწორედ ამიტომაც, აქ უკეთ იციან გადაცემის შესრულება, ბურთიც უფრო აქტიურად მოძრაობს, უკეთესად აყენებენ "ბლოკს", უკეთესია სივრცითი აზროვნება...

**- რამდენად მნიშვნელოვანია NBA-ისა და ევროპული კალათბურთის დაახლოება? შესაძლებელია თუ არა ამ ორიდან ერთი სრულფასოვანი თამაშის მიღება?**

- ჩვენ სწორედ ამ მიმართულებით ვმუშაობთ. მაგალითად, ამერიკაში სრულფასოვანი ზონური დაცვის თამაში ჯერ კიდევ შეუძლებელია, თუმცა ზოგიერთი შეზღუდვა უკვე მოგვიხსნეს - 10-15 წლის წინ ამას ვერავინ წარმოიდგენდა. ევროპაში სამქულიან ხაზს უკან გადასწევენ. ასე რომ, ნელ-ნელა, მაგრამ მეთოდურად ყველანაირი სხვაობა იშლება. ვფიქრობ, ერთ მშვენიერ დღეს, მთელ მსოფლიოში კალათბურთს ერთიანი წესებით ითამაშებენ.

**- თქვენ რა გირჩევნიათ: ეს გაერთიანებული თამაში ამერიკულ მოდელთან იყოს უფრო ახლოს თუ ევროპულთან?**

- რა თქმა უნდა, ამერიკულთან. შეჩვეული ვარ!

**- სხვათა შორის, ამ ზაფხულს ბევრი ევროპელი თუ ამერიკელი კალათბურთელი NBA-დან ევროპულ ლიგებში გადაბარგდა. ალბათ, ამერიკაში გაკვირვებული არიან ამ მოვლენით. შეიძლება თუ არა ამან NBA-ის მომავალზე იქონიოს გავლენა?**

- ეს დადებითი მოვლენაა. არსებობენ კარგი ევროპელი კალათბურთელები, რომლებიც NBA-ში გადმოვლენ და იქ სამუშაო ადგილს იშოვიან. ამერიკელისთვის ევროპაში გადაბარგებაც მომგებიანია. იქ მაღალ ხელფასს გადაუხდიან, სხვა კულტურის გაცნობის საშუალება ექნებათ და რაც მთავარია, კარგი კალათბურთს ისწავლიან.

**- ამ ზაფხულს ლებრონ ჯეიმსმა განაცხადა, რომ უარს არ იტყვის ევროპაში თამაშზე. 50 მილიონად... როგორ ფიქრობთ, ეს სერიოზული განცხადება იყო?**

- გაუთავებლად მისვამენ შეკითხვებს ლებრონის მომავალ კარიერაზე - წავა თუ არა ის "ნიუ იორკში", "ნიუ ჯერსიში" ან "ჩიკაგოში"? ოლიმპიადაზე კი, ბუნებრივია, ევროპასთან დაკავშირებითაც გაჩნდა კითხვები. ამის მიზეზი ის არის, რომ ჯეიმსს ორ წელიწადში უმთავრდება "კლივლენდთან" კონტრაქტი. ჩემი პასუხი ყოველთვის ერთნაირია: ორი წელი ძალიან დიდი დროა. დღევანდელი დღით ცხოვრებას ვარ მიჩვეული. ჩვენ კარგი გუნდი გვყავს და ჩემპიონობის შანსი გაგვაჩნია. თუ ამ მიზანს მივაღწევთ, ლებრონი "კლივლენდიდან" წასვლას არ მოისურვებს.

**- NBA-ში მწვრთნელის ბედი არაპროგნოზირებადია...**

- გეთანხმებით. ამიტომაც ვამბობ, რომ ორი წლით წინ არ ვიხედები.

**- შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ NBA-ში უკვე დადგა ლებრონ ჯეიმსის ეპოქა? თუ კიდევ ცოტა უნდა მოვითმინოთ?**

- ის ჩამოყალიბებული ვარსკვლავია, მაგრამ კიდევ ბევრჯერ გაგვაოცებს. ლებრონი ძალიან ბევრს და მონდომებით მუშაობს. ასეთი თავდადება იშვიათად მინახავს. ის ყოველ წელს აუმჯობესებს თამაშს.

**- ახალი სეზონის წინ "კავალიერსმა" ორი მცველი დაიმატა, რომელსაც სასტარტო ხუთეულში მოხვედრის პრეტენზია აქვს. ლაპარაკია მო უილიამსსა და ტერენს კინსიზე. რას იტყვით უკანა ხაზის ასეთ ცვლილებაზე?**

- მო უილიამსი მართლაც შეიძლება გახდეს ძირითადი გამთამაშებელი. ტერენსს ისე კარგად არ ვიცნობ, რადგან გასულ სეზონში ევროპაში თამაშობდა, მაგრამ ის ძალიან მოსწონს ჩვენს გენერალურ მენეჯერ დენი ფერის. მეეჭვება, რომ ის სასტარტოში მოხვდეს... ვნახოთ.

**- თქვენს გუნდში პლეიმეიკერის ფუნქციების შესრულება რთული საქმეა. აქ ლებრონი თამაშობს, რომელსაც ბურთი არავისთვის ემეტება...**

- სულაც არა. ჩვენი შეტევითი სქემების მიხედვით არა მხოლოდ გამთამაშებელს, არამედ შემტევ მცველსა და მსუბუქ ფორვარდსაც შეუძლიათ ბოლო პასის მიცემა. მო უილიამსი - პირველი ნომერია, თანაც სნაიპერული თვისებები გააჩნია. ხანდახან ისე ავაწყობთ შეტევებს, რომ სწორედ მას გაიყვანენ სასროლ პოზიციაზე. ლებრონი ბურთს იოლად ელევა და ეს მოსაც და მთლიანად გუნდსაც დიდ სარგებლობას მოუტანს.

**- ამ ზაფხულს, პირველ რიგში, უკანა ხაზის გაძლიერებით იყავით დაკავებული. ეს იმას ნიშნავს, რომ წინა ხაზზე ჟიდრუნას ილგაუსკასის, ბენ უოლასისა და ანდერსონ ვარეჟაოს თამაშით კმაყოფილი ხართ?**

- დიახ, ეს ტრიო მომწონს. გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ გამოცდილ ლორენცენ რაიტთან გავაფორმეთ კონტრაქტი. ამასთან, წლევანდელ დრაფტზე ორი კარგი ბიჭი ავიყვანეთ - ჯეი ჯეი ჰიქსონი "ჩრდილოეთ კაროლინადან" და დარნელ ჯექსონი "კანზასიდან". წინა ხაზში მოთამაშეების ასეთი კრებულით კმაყოფილი ვარ, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ პერიოდულად ლებრონ ჯეიმსი მძიმე ფორვარდის პოზიციაზე გადავიყვანო. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მაღლებს დახმარება დასჭირდებათ.

**- საინტერესოა... ლებრონი კარიერას გამთამაშებლის ამპლუაში იწყებდა... იქნებ ერთხელ ცენტრადაც ათამაშოთ?!**

- ლებრონი იმდენად ნიჭიერია, რომ ერთდროულად ცენტრის პოზიციაზეც ითამაშებს, მოედანზე მატჩს კომენტარს გაუკეთებს და მაყურებელს პოპკორნს დაურიგებს.

**- გასული სეზონი გავიხსენოთ. კმაყოფილი ხართ იმ გაცვლით, რომლის შედეგადაც "კლივლენდმა" ბენ უოლასი მიიღო?**

- ბენი ჭკვიანი ადამიანია - მოედანზე და მის ფარგლებს გარეთაც. მას შეუძლია ახალგაზრდებთან ურთიერთობა, ყოველთვის სასიამოვნო გარემოს ქმნის გასახდელში. მისი მოქმედება დაცვაში გუნდს ძალზე წაადგება. მართალია, უოლასის ნაცვლად ორი კარგი ახალგაზრდა - ლარი ჰიუზი და დრიუ გუდენი დავთმეთ, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ბენი ჩვენს გუნდს ყველა ასპექტში დაეხმარება.

**- შემადგენლობაში განხორციელებული ამ ცვლილებებით უნდა ველოდეთ თუ არა ფინალურ სერიაში "კავალიერზის" დაბრუნებას?**

- ჩვენ ჩემპიონობაც შეგვიძლია. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# სანზი ნეშის შემცვლელს ამზადებს



"ფინიქს სანზმა" ახალი სეზონისთვის ევროპელი კალათბურთელი დაიმატა. ამერიკულმა კლუბმა სლოვენიის ნაკრების გამთამაშებელ **გორან დრაგიჩთან** (22 წლის, 192 სმ) გააფორმა კონტრაქტი. ხელშეკრულება სამწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს.

დრაგიჩმა 2008 წლის დრაფტში 45-ე ნომერი მიიღო, თუმცა თანაამპლუელებს შორის მეორე ნომერი იყო, "ჩიკაგოს" მიერ არჩეული **დერიკ როუზის** შემდეგ.

"სანზის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ დრაგიჩი უკვე 2008-09 წლების სეზონში მოხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში. ის "ფინიქსის" ძირითადი პლეიმეიკერის **სტივ ნეშის** დუბლიორი იქნება. რამდენიმე წლის შემდეგ კი, სავარაუდოდ, კანადელი ვეტერანის ადგილს დაიკავებს სასტარტო ხუთეულში.

გასულ სეზონში სლოვენიელი ლიუბლიანის "ოლიმპიის" ღირსებას იცავდა. ადრიატიკის ლიგაში მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 12.0 ქულას, 3.1 მოხსნა და 1.7 ჩაჭრას უდრიდა.

# ნიქსი მარბერის უშვებს




ამ კვირის ბოლოს უნდა გაირკვეს "ნიუ იორკ ნიქსის" მცველის **სტეფონ მარბერის** ბედი. Newsday-ის ცნობით, ნიუიორკული კლუბის ხელმძღვანელობა 31 წლის კალათბურთელს ტრანსფერზე დააყენებს.

იმ შემთხვევაში, თუ ვეტერანი გამთამაშებლით არც ერთი სხვა კლუბი არ დაინტერესდება, კალათბურთელსა და კლუბს შორის მოქმედი კონტრაქტის გაწყვეტის შესახებ დაიწყება მოლაპარაკება. ხელშეკრულების თანახმად, მომავალ სეზონში მარბერიმ დაახლოებით 21 მილიონი დოლარი უნდა გამოიმუშაოს.

მარბერის კარიერაში ორჯერ უთამაშია "ყველა ვარსკვლავის მატჩში". "ნიუ იორკის", "ფინიქსის", "ნიუ ჯერსისა" და "მინესოტას" შემადგენლობაში მცველს 823 მატჩი დაუგროვდა. მისი კარიერული მონაგარი 19.7 ქულასა და 7.8 მოხსნას შეადგენს.

## ბოსტონს პოლარდი აღარ უნდა

"ბოსტონ სელტიქსის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ არ აპირებს ვეტერან ცენტრ **სკოტ პოლარდთან** ახალი კონტრაქტის გაფორმებას. ამ ინფორმაციას გაზეთი Boston Globe ავრცელებს.

შარშან პოლარდი NBA-ის ჩემპიონი გახდა და რამდენიმე დღის წინ "ბოსტონის" სხვა კალათბურთელებთან ერთად თეთრ სახლში პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშთან** შეხვედრასაც დაესწრო, მაგრამ დღეიდან ვეტერანს ახალი კლუბის ძებნა მოუწევს.

## სპურსი დაცვას აძლიერებს

"სან ანტონიო სპურსმა" "ატლანტის" ყოფილი მოთამაშით **სალიმ სტაუდმაიერით** გადაწყვიტა დაცვითი ხაზის გაძლიერება.

Arizona Daily Star-ის ინფორმაციით, "სპურსის" მთავარი მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი** სტაუდმაიერს ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველის **ბრიუს ბოუენის** დუბლიორად მიიჩნევს. სალიმმა უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს, თუმცა ხელშეკრულების დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

## დიქსონი ვაშინგტონში მოემზადება

"ვაშინგტონ უიზარდსის" პრეზიდენტმა **ერნი გრიუნფელდმა** გამოაცხადა, რომ მალე მისი გუნდის განკარგულებაში იქნება მცველი **ხუან დიქსონი**.

ამასთან, ამერიკული პრესა იუწყება, რომ დიქსონს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის გარანტია ჯერ არ მიუღია. ხუანმა საწვრთნელ შეკრებაზე უნდა მოიპოვოს მომავალ სეზონში "უიზარდსის" მაისურით თამაშის უფლება.

## ივკოვიჩი დარჩა

სერბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობას გააგრძელებს ცნობილი სპეციალისტი **დუშან ივკოვიჩი**.

სერბებმა წარმატებით განვლეს ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს. ამის შემდეგ, ქვეყნის კალათბურთის ფედერაციამ ივკოვიჩს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატისთვის ნაკრების მომზადება დაავალა.